საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ვ. უზნაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

გამოიცემა
„მეცნიერება"
თბილისი
1965

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ვ. უზნაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა



გამომცემლობა
„მეცნიერება"
თბილისი
1965

027
027 (47.922)
უ 286

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის საქმიანობა დაარსებიდან დღემდე. მასში მოცემულია ბიბლიოთეკის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, აგრეთვე განხილულია საბიბლიოთეკო მუშაობის ყველა მხარე: წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტება, საერთაშორისო წიგნთგაცვლა, წიგნობრივი ფონდების დამუშავება და დაცვა, საკატალოგო მეურნეობა, მკითხველთა მომსახურება, სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული და მეთოდური მუშაობა. შრომაში განზოგადებულია ბიბლიოთეკის მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

შესავალი

სკკპ XXII ყრილობამ ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელი ჩაწერა კაცობრიობის პროგრესის მატიანეში. მან შეაჯამა ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი შედეგები და მიიღო სკკპ ახალი პროგრამა—კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა.

XXII ყრილობამ განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიად სამუშაოთა ვრცელი გეგმა.

ამ მშენებლობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კომუნიზმის მაღალგანვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური ხასიათით და მორალით.

პარტია გვასწავლის, რომ კომუნისტური მშენებლობის მძლავრ, მუდმივმოქმედ ფაქტორს წარმოადგენს იდეოლოგიური მუშაობა მასებში.

პარტიის იდეოლოგიური მუშაობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიბლიოთეკებს.

სკკპ 1963 წლის ივნისის პლენუმმა კიდევ უფრო გააძლიერა ბიბლიოთეკების ყურადღება მასებში იდეოლოგიური მუშაობის გაფართოებაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მაღალი შეფასება მისცა ბიბლიოთეკებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი უნდა გადაიქცნენ პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენ პუნქტებად მშრომელი მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ბიბლიოთეკებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა ადამიანის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მათ აღზრდაში კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში არნახულად გაიზარდა ბიბლიოთეკების—ამ მძლავრი კულტურულ-სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერების ქსელი. ახლა საბჭოთა კავშირში ოთხას ათასამდე ბიბლიოთეკაა, რომელთა წიგნების ფონდი 2 მილიარდამდე ტომს აღწევს. ჩვენს ქვეყანაში ყოველ ხუთას მოსახლეზე ერთი ბიბლიოთეკა მოდის. ამ მხრივ საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას. ჩვენში 100 მცხოვრებზე 8-ჯერ მეტი წიგნი მოდის ვიდრე აშშ-ში. ამჟამად ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე განვითარებული საბიბლიოთეკო ქსელი.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ნაციონალურ რესპუბლიკებში ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებას.

საბჭოთა საქართველოში საბიბლიოთეკო ქსელმა დიდ განვითარებას მიაღწია. ამჟამად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მუშაობს 5000-ზე მეტი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნების ფონდი 30 მილიონამდე ტომს აღწევს.

პარტიის ახალ პროგრამაში საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასმულია მეტად საპატიო ამოცანა: „საბჭოთა მეცნიერების საქმეა, განუმტკიცონ საბჭოთა მეცნიერებას მოპოვებული მოწინავე პოზიციები ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში და დაიკავონ წამყვანი მდგომარეობა მსოფლიო მეცნიერებაში ყველა ძირითადი მიმართულებით*.

ამ ამოცანის შესრულებაში დიდი როლი ეკისრებათ აკადემიური ბიბლიოთეკების მუშაკებს, მათ თავისი ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოიყენონ მეცნიერების მიერ დასახული მიმართულებათა და პრობლემათა გადაწყვეტის საქმეში, უნდა მიაწოდონ მეცნიერ-მუშაკებს სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ლიტერატურა, როგორც სამამულო ისე უცხოური, შეადგინონ ბიბლიოგრაფიული საძიებელი და სათანადო მუშაობა აწარმოონ მეცნიერ-მუშაკთა შორის ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდისათვის, ხელმისაწვდომი გახადონ მეცნიერებისათვის ის ძვირფასი წიგნების ფონდი, რომელიც ბიბლიოთეკაში არსებობს.

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი სამეცნიერო ცენტრი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დაარსდა 1941 წლის თე-

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. თბ., 1961, გვ. 143.

ბერვალში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება ახალი ეტაპი იყო ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებისა და ეროვნული სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

თავდაპირველად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შედიოდა 14 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ორ განყოფილებაში: საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო განყოფილებებში. იმხანად მეცნიერებათა აკადემია თავის რიგებში ითვლიდა 16 ნამდვილ წევრს.

დღეისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ექვსი განყოფილება აქვს: მათემატიკისა და ფიზიკის, დედამიწის შესწავლილ მეცნიერებათა, გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის, ბიოლოგიის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა.

აკადემია აერთიანებს 34 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას და თავის რიგებში ითვლის 58 ნამდვილ წევრს და 32 წევრ-კორესპონდენტს. დიდად გაიზარდა მეცნიერთა კოლექტივი, რომელთა რიცხვი ამჟამად 2000 აღემატება*.

აკადემიის დაარსებისთანავე აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ბიბლიოთეკა, რომლის წიგნების ფონდი ორი ათას ცალს აღწევდა. ბიბლიოთეკაში მუშაობდა მხოლოდ ერთი თანამშრომელი: ბიბლიოთეკის ამოცანა იყო აკადემიის პრეზიდიუმის მეცნიერ მუშაკთა და სხვა თანამშრომელთა მომსახურება.

აღნიშნულ ორ სამეცნიერო განყოფილებაში შემავალი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკებს მომსახურებას უწევდა ინსტიტუტებთან არსებული ბიბლიოთეკები. ინსტიტუტების ბიბლიოთეკებიდან თავისი პროფილური ლიტერატურის მდიდარი ფონდით გამოირჩეოდნენ ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის, გეოლოგიის, მათემატიკისა და სხვა ინსტიტუტების ბიბლიოთეკები.

მეცნიერებათა აკადემიის ზრდასთან ერთად დაისვა ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის შექმნის საკითხი. 1943 წელს აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით გამოიყო კომისია აკადემიკოს ს. ჯანაშიას თავმჯდომარეობით. აღნიშნულმა კომისიამ 1944 წ. 3 აგვისტოს

---

* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1963 წლის საქმიანობის ანგარიში. თბ., 1963, გვ. 7. და დანართი № 2.

პრეზიდიუმს წარუდგინა წინადადებები ფუნდამენტალური ბიბლიოთეკისათვის შტატის და ბიუჯეტის დამტკიცების, შენობის გამოყოფის, ბეჭდური პროდუქციის უფასო სავალდებულო ცალების მიღების და ინსტიტუტების ბიბლიოთეკებიდან სადუბლეტო ცალების ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკისათვის გადაცემის შესახებ.

1945 წელს ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკას დაუმტკიცდა შტატი 14 კაცის რაოდენობით და ბიბლიოთეკა დაექვემდებარა აკადემიის საქმეთა მმართველობას. ასეთი მცირე შტატი და ბიბლიოთეკის მაშინდელი სტრუქტურული დაქვემდებარება საქმეთა მმართველობაზე გაუმართლებელი იყო, რაც ხელს უშლიდა ბიბლიოთეკის ნორმალურ განვითარებას. 1950 წლიდან აღნიშნული მდგომარეობა გამოსწორდა, ბიბლიოთეკა გამოეყო საქმეთა მმართველობას და დაუმტკიცდა საკუთარი ბიუჯეტი.

ამ პერიოდისათვის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანა იყო წიგნების ფონდის დაგროვება. გარდა იმისა, რომ ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკამ აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებიდან მიიღო სადუბლეტო ცალები, 1948 წელს აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით ლიტერატურის შესარჩევად და მისაღებად მოსკოვსა და ლენინგრადში მივლინებულ იქნა მეცნიერ მუშაკთა დიდი ჟგუფი, დოც. ნ. ლორთქიფანიძის და ე. ჟუჟუნაძის ხელმძღვანელობით. რომელმაც შეარჩია წიგნები და პერიოდიკა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის, ტიმირიაზევის სახელობის სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა სარეზერვო და სადუბლეტო ფონდებიდან. ამავე მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფმა შეარჩია და მიიღო ლიტერატურა სახელმწიფო ლიტერატურის ფონდიდანაც.

ბიბლიოთეკის წიგნების ფონდების ზრდას ხელი შეუწყო აგრეთვე ლიტერატურის შესაძენი თანხების ვადიდებამ და 1946 წლიდან სსრკ ბეჭდური პროდუქციის უფასო სავალდებულო ცალების მიღებამ.

აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებამ ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი საგრძნობლად გაიზარდა. ის 1949 წ. 1 იანვრისათვის 400.000 ბეჭდურ ერთეულს შეიცავდა. ამ დროიდან ბიბლიოთეკის დაკომპლექტებას გეგმიანი ხასიათი მიეცა. ის სისტემატურად მდიდრდებოდა ახალი პროფილური ლიტერატურით. დაგროვდა მეცნიერების თითქმის ყველა დარგის ლიტერატურა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა უცხოეთში გამოცემული

ქართველოლოგიური ლიტერატურისა და საზღვარგარეთის ძველი კულტურული კერების სიძველეთასაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფილმების მიღებას საერთაშორისო წიგნთგაცვლით. აღნიშნული მიკროფილმების მიღებით ბიბლიოთეკამ დიდი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას.

სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკამ ანდერძით ან შესყიდვით მიიღო ცნობილი მეცნიერების აკადემიკოს ე. თაყაიშვილის, აკადემიის საპატიო წევრის აკადემიკოს ვ. ვორონინის, აკად. ა. ბაიკოვის პირადი ბიბლიოთეკები, აგრეთვე პროფ. მ. პოლიევქტოვის წიგნების კოლექცია.

პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ანდერძით გადასცა პირადი ბიბლიოთეკა—მუზეუმი რომლის წიგნების ფონდი 60000 ტომს აღწევს და შეიცავს მრავალ იშვიათ გამოცემას. ბიბლიოთეკა-მუზეუმი ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას ექვემდებარება და მისი ხელმძღვანელობით მუშაობს.

ბიბლიოთეკაში დაცულია აგრეთვე ცნობილი რევოლუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის სილიბისტრო თოდრიას წიგნების კოლექცია, რომელიც უმთავრესად მარქსისტულ ლიტერატურას შეიცავს.

ბიბლიოთეკის სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია

ბიბლიოთეკის წარმატებითი მოღვაწეობა დიდად არის დამოკიდებული მის სტრუქტურასა და მუშაობის ორგანიზაციაზე.

ამჟამად ბიბლიოთეკის სტრუქტურა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. დირექცია.
2. საბიბლიოთეკო საბჭო.
3. დაკომპლექტებისა და წიგთგაცვლის განყოფილება.—
   ა) საერთაშორისო და შინაგანი წიგნთგაცვლის სექტორი.
   ბ) უცხოური ლიტერატურის სექტორი.
   გ) გაცვლითი ფონდის სექტორი.
4. დამუშავებისა და კატალოგების განყოფილება.
   ა) პერიოდიკის დამუშავების სექტორი.
5. სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება.
6. მკითხველთა მომსახურების განყოფილება.

ა) სამკითხველო დარბაზი.
ბ) ბიბლიოთეკათშორისი და საერთაშორისო აბონემენტი.
გ) ფილიალი.

7. წიგნის დაცვის განყოფილება.
8. ა) ჰიგიენისა და რესტავრაციის სექტორი.
9. მეთოდური განყოფილება.
10. ფოტოლაბორატორია.
11. საამკინძაო სახელოსნო.
12. ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილი.
ა) კანცელარია.
ბ) ბუღალტერია.
გ) საწყობები.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტრუქტურა



სურ. 2

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღნიშნული სტრუქტურის მიხედვით მიმდინარეობს მუშაობა. ყველა საჭირო ბეჭდური გამოცემა დაიკვეთება დაკომპლექტებისა და წიგნთგაცვლის განყოფილების მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პროფილის გათვალისწინებით აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საბიბლიოთეკო საბჭოს მიერ დამტკიცებული

დაკომპლექტების თემატური გეგმის საფუძველზე. მიღებულ ლიტერატურას დაკომპლექტებისა და წიგნთგაცვლის განყოფილება აგზავნის ძირითად ფონდში, ხოლო ენციკლოპედიებს, საცნობარო ხასიათის ლიტერატურას და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებების თითო ცალს—სამკითხველო დარბაზსა და სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ფონდებში. სამეცნიერო ბიბლიოთეკების კოლექტორისაგან მიღებული ფასიანი სავალდებულო ცალების გარდა დაკომპლექტებისა და წიგნთგაცვლის განყოფილება დამატებით ეგზემპლარებს იძენს ადგილობრივ ბიბ-კოლექტორში, საქწიგნისა და ბუკინისტურ მაღაზიებში.

უცხოური ლიტერატურის დაკომპლექტების სექტორი უცხოურ ლიტერატურას იძენს ცალკეული ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი დაკვეთების საფუძველზე. ინსტიტუტები დაკვეთებს იხილავენ თავიანთი საბიბლიოთეკო საბჭოების სხდომებზე. აღნიშნული დაკვეთები წინასწარ ისინჯება ცენტრალური ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის დაკომპლექტების სექტორის მუშაკთა მიერ, რის შემდეგ დაკვეთებს იხილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საბიბლიოთეკო საბჭო. რომლის წევრებია მეცნიერების ყველა დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები—აკადემიის ნამდვილი წევრები, წევრ-კორესპონდენტები, მეცნიერებათა დოქტორები, კანდიდატები. უცხოური ლიტერატურის დაკვეთები ეგზავნება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წიგნის განყოფილებას, რომელიც გასინჯვის შემდეგ მათ შესასრულებლად უგზავნის „მეჟდუნაროდნაია კნიგას“.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა უცხოური ლიტერატურის მიღება საერთაშორისო გაცვლით, რომელიც ცენტრალიზებული წესით ხორციელდება. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ აკადემიის სისტემის ყველა სამეცნიერო დაწესებულებისათვის.

საერთაშორისო წიგნთგაცვლა დიდად უწყობს ხელს საძეცხიერო და კულტურული ურთიერთობის განვითარებას უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან და ბიბლიოთეკებთან. საერთაშორისო წიგნთგაცვლის გაფართოების შედეგად საგრძნობლად მცირდება ვალუტის ხარჯვა უცხოური ლიტერატურის შეძენაზე.

გაცვლით ფონდში თავს იყრის როგორც ძველი წლების, ისე ახალი გამოცემებიც, რომელთა შეძენა სისტემატურად ხორციელდება წინასწარ დადგენილი რაოდენობით.

დაკომპლექტებისა და წიგნთგაცვლის განყოფილებაში შემოსული ლიტერატურა სათანადო აღრიცხვის შემდეგ გადაეცემა დამუშავებისა და კატალოგების განყოფილებას, სადაც მიღებული საკლასიფიკაციო სქემის მიხედვით წარმოებს წიგნების ბიბლიოთეკური დამუშავება (ინდივიდუალური ან ჯგუფური) და მათი ასახვა კატალოგებში—ანბანურსა და სისტემატურში. მკითხველთა კატალოგების გარდა განყოფილებაში არის აგრეთვე სამსახურებრივი ანბანური კატალოგი. პერიოდიკის დამუშავების სექტორი დირექციის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის საფუძველზე ამუშავებს პერიოდიკას და ასახავს მათ პერიოდიკის ანბანურსა და სისტემატურ კატალოგში.

დამუშავებისა და კატალოგების განყოფილებიდან წიგნები სათანადო აქტით ბარდება წიგნის დაცვის განყოფილებას. წიგნის დაცვის განყოფილებიდან წიგნები გაიცემა მკითხველთა მომსახურების განყოფილებაში მკითხველთა მოთხოვნის ფურცლების მიხედვით.

მკითხველთა მომსახურების განყოფილება წიგნების გაცემას აწარმოებს სამკითხველო დარბაზში და შინ. ასევე წიგნები იგზავნება ბიბლიოთეკათშორისი და საერთაშორისო აბონემენტით სათანადო მოთხოვნის საფუძველზე. ამ წესითვე წარმოებს წიგნების მიღება სსრკ და უცხოეთის დიდი ბიბლიოთეკებიდან. წიგნების გაცემა ხდება აგრეთვე ფილიალიდან.

სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მუშაობა წარმოებს სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებლების შედგენაზე. განყოფილება დაკავშირებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ ინსტიტუტებთან, ეცნობა მათ თემატიკურ გეგმებს და ამის შესაბამისად აწარმოებს ბიბლიოგრაფიულ მუშაობას. განყოფილება აგრეთვე ემსახურება მკითხველებს ზეპირი და წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობების მიზნით მოეწყო ფილიალი, რომელიც დიდ მუშაობას აწარმოებული განყოფილების კარტოთეკების, სისტემატური კატალოგისა და საცნობარო ლიტერატურის საშუალებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების—„ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მიღების შემდეგ ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნების ფონდის ფართო მასებისათვის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით მოეწყო ფილიალი, რომელიც დიდ მუშაობას აწარმოებს სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მიწოდებისა და ბიბ-

ლიოგრაფიული ინფორმაციის ხაზით. ამავე დადგენილების საფუძველზე ბიბლიოთეკაში შეიქმნა მეთოდური განყოფილება, რომელიც მეთოდურ დახმარებას უწევს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებს. ატარებს კონსულტაციებს როგორც ადგილებზე, ისე ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, აწყობს სემინარებს. მოკლევადიან კურსებს და სხვა მეთოდური ხასიათის ღონისძიებებს.

ჰიგიენისა და რესტავრაციის სექტორი სისტემატურ მეთვალყურეობას უწევს ტემპერატურას, ჰაერის ტენიანობას წიგნსაცავში, აწარმოებს დამტვერილი წიგნების გაწმენდას, ახდენს დეზინფექციასა და დეზინსექციას, დაზიანებული წიგნების, ჟურნალებსა და სხვა ბეჭდური ნაწარმოებების რესტავრაციას.

ფოტოლაბორატორია აწარმოებს მიკროფილმებისა და ფოტოპირების გადაღებას ბიბლიოთეკის ხარვეზების შევსების მიზნით.

საამკინძაო სახელოსნოში წარმოებს წიგნების აკინძვა, დაკანვა და დაკაზმვა.

ბიბლიოთეკის ფონდები მათი დაკომპლექტება და ორგანიზაცია

წიგნის ფონდი თითოეული ბიბლიოთეკის მუშაობის საფუძველია და საბჭოთა კულტურის ოქროს განძს წარმოადგენს. ბიბლიოთეკის განვითარებისათვის წიგნების ფონდს და მის დაგროვებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. წიგნების ფონდის რაოდენობა და შემადგენლობა გავლენას ახდენს მკითხველთა ზრდაზე.

1959 წ. სსრ კავშირში გამოიცა 69 ათასზე მეტი სახელწოდების წიგნი დაახლოებით 1 ბილიარდ 200 მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით. ეს შეადგენს მსოფლიოს ყველა ქვეყნის წიგნის პროდუქციის მეხუთედ ნაწილს. სსრ კავშირში წიგნები იბეჭდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების 89 ენაზე და მსოფლიოს სხვა ხალხთა 46 ენაზე.

საქართველოში 1921—1959 წწ. გამოვიდა 58300 სახელწოდების წიგნი 271800.000 ტირაჟით.

საგამომცემლო საქმის ასეთი განვითარება ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდების გამდიდრებისათვის სამეცნიერო, ტექნიკური, მხატვრული და სხვა სახის ლიტერატურით.

საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული მუშაობის ყველა მხარე დაკავშირებულია წიგნებთან, ჟურნალებთან, გაზეთებთან და მიზ-

ნად ისახავს მკითხველთა შორის მათ გავრცელებას. ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხი და მკითხველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების სისრულე დამოკიდებულია წიგნის ფონდის შემადგენლობაზე, მის ორგანიზაციაზე და მის გეგმიან შევსებაზე ახალი ლიტერატურით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა არ წარმოადგენს რომელიმე ცალკეული ინსტიტუტის ბიბლიოთეკას. წიგნობრივი ფონდის რაოდენობით და ფართო პროფილით ის უფრო ახლოს დგას უდიდეს საჯარო და სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნების ფონდს დიდი მეცნიერული და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. 1964 წლისათვის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი შეადგენდა 1367000 ბეჭდურ ერთეულს. ე. ი. 1945 წელთან შედარებით 19-ჯერ მეტს. ბიბლიოთეკის წიგნების ფონდმა სწრაფად იწყო ზრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როგორც სამამულო ისე უცხოური ლიტერატურით. ბიბლიოთეკის ფონდი ყოველწლიურად ივსებოდა ახალი ლიტერატურით ქართულ, რუსულ, საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოურ ენებზე. ფონდების დაკომპლექტების ძირითად წყაროს წარმოადგენდა:

1. რუსული წიგნების ფასიანი სავალდებულო ცალები, რომლებსაც თემატიური გეგმის მიხედვით გზავნის მოსკოვის სამეცნიერო ბიბლიოთეკების ცენტრალური კოლექტორი.

2. რესპუბლიკური გამოცემების სავალდებულო ფასიანი ცალები, რომლებსაც გზავნიან საქართველოს სსრ სტამბები.

3. საბჭოთა პერიოდიკა დაკვეთით.

4. უცხოური წიგნები და პერიოდიკა დაკვეთით.

5. საერთაშორისო და შინაგანი წიგნთგაცვლა საბჭოთა და უცხოურ სამეცნიერო დაწესებულებებთან და ბიბლიოთეკებთან.

6. წიგნების შეძენა რესპუბლიკურ ბიბკოლექტორში, საქწიგნისა და ბუკინისტურ მაღაზიებში, აგრეთვე ცალკეულ მეცნიერთა ძვირფასი კოლექციების შეძენა.

7. ცალკეულ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ საჩუქრად გადმოცემული წიგნები.

1946 წლიდან 1948 წლამდე ბიბლიოთეკა ღებულობდა სსრ ბეჭდური პროდუქციის უფასო სავალდებულო ცალებს, რამაც ხელი შეუწყო ფონდების სწრაფ ზრდას, მაგრამ ამავე დროს ამან გა-

მოიწვია ფონდების გადატვირთვა ისეთი ლიტერატურით, რომელიც უმნიშვნელო და არაპროფილური იყო აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის: აღნიშნული ლიტერატურის ბიბლიოთეკურ დამუშავებას სპეციალისტთა დიდი რაოდენობა ჭირდებოდა, რაც ბიბლიოთეკის ისედაც მცირე შტატს მეტისმეტად ტვირთავდა. 1948 წლიდან ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ბიბლიოთეკა უფასო სავალდებულო ცალებს აღარ ღებულობს, მის ნაცვლად მიღება ფასიანი სავალდებულო ცალებისა დაკომპლექტების თემატიური გეგმის მიხედვით, ეს ღონისძიება მეტად სასარგებლო იყო ბიბლიოთეკისათვის. ბიბლიოთეკას საშუალება მიეცა დაკომპლექტება ეწარმოებინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების პროფილისა და სამეცნიერო თემატიკის მიხედვით.

ახლადგამოსული ლიტერატურის შეძენის პარალელურად ბიბლიოთეკა საჭირო ზომებს იღებდა ფონდებში არსებული ხარვეზების შესავსებად. შეძენილია წარსული წლების ბევრი საყურადღებო წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. ასე მაგალითად: ვახუშტი ბატონიშვილი—საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წწ. 1913 წ.

ქონდაკი. 1710 წ.

ქართლის ცხოვრება—1854 წ.

ს ა ბ ი ნ ი ნ ი—საქართველოს სამოთხე. 1882 წ.

შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი—ვეფხისტყაოსანი. 1888 წ.

А. Х а х а н о в — Очерки по истории грузинской словесности т. I и II. 1895—1897.

Д. Ч у б и н о в — Грузинско-русско-французский словарь.

Житие Петра Великого, императора и самодержавца всероссийского, отца отечества. 1772.

А. Ц а г а р е л и. Грамоты и др. исторические документы XVIII, столетия, относящиеся в Грузии. 1891

Атлас древной серебрянной и золотой посуды 1909. და სხვა მრავალი.

ფონდების ხარვეზების შევსებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი მონაცემებით: 1948—1960 წწ. აღირიცხა 2760 უარი, ამ ნაკლული ლიტერატურიდან შეძენილი იყო ან მიღებული გაცვლით 1773 წიგნი და პერიოდული გამოცემა.

ბიბლიოთეკის დაკომპლექტების სრულ სურათს წლების მიხედვით იძლევა ქვემოთ მოყვანილი მონაცემები:

წლები	მიღებულია წიგნები	მიღებულია ჟურნალების №№	მიღებულია გაზეთების №№	სულ ბეჭდური ერთეული	შენიშვნა
1946—1950	139000	112000	39000	290.000	
1951—1955	174000	154000	56000	384.000	
1956—1960	183000	161000	60000	404.000	
სულ 15 წელში 1946—1960	496000	427000	155000	1078.000	

1946—1960 წწ. ბიბლიოთეკაში ახლად შემოსული საბჭოთა გამოცემებიდან ბევრი საყურადღებო წიგნი არის მიღებული, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ მომავალი თაობებისათვის და საუკუნეების განმავლობაში არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

1946 წელს აღდგენილ იქნა ვ. ი. ლენინის თხზულებების გამოცემა. 1955 წლისათვის გამოიცა 35 ტომი, შემდეგ განხორციელდა გამოცემა დამატებითი (36—40) ტომებისა. 1958 წელს დაიწყო ვ. ი. ლენინის სრული თხზულებათა გამოცემა 55 ტომად. 1955 წელს დაიწყო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა გამოცემა 30 ტომად. აღნიშნული გამოცემებით გამდიდრდა ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი. ბიბლიოთეკა დაკომპლექტდა აგრეთვე საბჭოთა ისტორიული ლიტერატურით ისეთი მრავალტომიანი გამოცემებით, როგორიცაა: „Всемирная История", „Очерки Истории СССР", История Великой Отечественной войны Советского Союза".

ქართველ მეცნიერთა შრომებიდან ბიბლიოთეკის წიგნების ფონდს მიემატა:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 1—7 ტომი.

შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე—ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1—11, მისივე Творчество Руставели.

ა. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი—ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი—საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX ს., ტ. 1—5.

ი. დ ო ლ ი ძ ე—ძველი აღმოსავლეთის სამართალი, მისივე ქართული სამართლის ძეგლები; ტ. I.

გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი—ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები.

ა. შ ა ნ ი ძ ე—ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები.

ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა—ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა. იბერიულ-კავკასიურ ენებში.

გ. წ ე რ ე თ ე ლ ი—უძველესი ქართული წარწერები პალესტინაში, მისივე Арабские диалекты средней Азии.

ნ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს შრომები—ანალიზური გეომეტრიის კურსი, თეორიული მექანიკის კურსი,

— Некоторые основные задачи математической теории упругости. Основные уравнения: Плоская теория упругости; кручение и изгиб.

— Сингулярные интегральные уравнения. Граничные задачи теории функций и некоторые их приложения к математической физике.

M u s k h e l i s h v i l i N.— Singular Integral Equations, Some Basic Problems of the Mathematical Theory of Elasticity.

ვ ე კ უ ა, ი.—ლეჟანდრის ფუნქციათა თეორიისათვის,

Новые методы решения эллиптических уравнений. Обобщенные аналитические функции.

К у п р а д з е В.—Граничные задачи теории колебаний и интегральные уравнения.

— Методы потенциала в теории упругости.

K u p r a d z e W. Randwertaufgaben der Schwingungstheorie und Integralgleichungen.—Progress in Solid Mechanics, Vol. III,

ე. ხ ა რ ა ძ ე—ასტრონომია.

ა. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე—ნარკვევები გეოლოგიის ისტორიიდან. მისივე Геологические наблюдения в Окрибе.

გ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე— Домиоциновый эффузивый вулканизм Грузии.

ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი—Геоморфологические районы Грузинской ССР.

ლ, დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი—История эволюционной полеонтологии от Дарвина до наших дней.

ს. დ უ რ მ ი შ ი ძ ე—Пути превращений основных и вторичных продуктов спиртового брожения.

ნ. კეცხოველი—კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში. მისივე საქართველოს მცენარეული საფარი.

ბ. ყურაშვილი— Гельминты охотничье—промысловых птиц Грузии.

რ. დვალი—ტრაქტორის თეორია.

ი. ბერიტაშვილი—О нервных механизмах пространственной ориентации высших позвоночных животных.

ს. ნარიკაშვილი—თავის ტვინის ღეროს ბადებრივი ფორმაციის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ზოგიერთი საკითხი.

ჭ. ბახტაძე—Развитие культуры чая в СССР.

ო. ონიაშვილი.—Некоторые динамические задачи теории оболочек.

ვ. ჩუბინაშვილი—ქართული ხელოვნების ისტორია, მისივე ქართული ოქრომჭედლობა.

შ. ამირანაშვილი—ქართული ხელოვნების ისტორია.

ვ. ბერიძე—სამცხის ხუროთმოძღვრება XIII—XVI სს.

კ. კეკელიძე—ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, ტომი 1—8.

ი. აბულაძე—ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს.

ა. ბარამიძე—ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.

გ. ჯიბლაძე—კრიტიკული ეტიუდები. ესთეტიკური თეორიის საკითხები.

პ. ინგოროყვა—გიორგი მერჩულე.

ივ. ჯავახიშვილი—ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, ქართველი ერის ისტორია, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.

—ქართლის ცხოვრება, I, II ტომი, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

კოლექტიური ნაშრომი „მცხეთა“.

გ. მელიქიშვილი—Урартские клинообразные надписи.

ს. ყაუხჩიშვილი—გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 1—4, მისივე გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონი. გეორგიკა ტ. V.

ს. ჯ ი ქ ი ა—გურჯისტანის ვილაითის დიდი დავთარი.

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი—1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში.

და სხვა მეცნიერთა მრავალი შრომები.

ბიბლიოთეკის ფონდებს შეემატა მრავალი შრომა მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ ახალ დარგთაგან, როგორიცაა, ელექტრონიკა, გამოყენებითი ქიმია, გამოთვლითი მოწყობილობა, კიბერნეტიკა და სხვა. დიდი რაოდენობითაა მიღებული წიგნები პლასტმასის ტექნოლოგიაზე სამშენებლო ტექნიკაზე. ბიბლიოთეკამ მოცემული პერიოდის განმავლობაში მიიღო მრავალი კაპიტალური შრომა ფიზიკა-მათემატიკური დარგიდან. მაგ.: მ. ვ. ლომონოსოვის—რჩეული თხზულებები ქიმიასა და ფიზიკაში, ფიზიკური ენციკლოპედიური ცნობარი, ტომი I. მათემატიკა სსრკ-ში 40 წლისთავზე 1917—1957. ს. მ. ვავილოვის თხზულებები და სხვა.

მხატვრული ლიტერატურიდან მიღებულია რუსი და უცხოეთის კლასიკოსების ლ. ნ. ტოლსტოის, ა. ს. პუშკინის, თ. მ. დოსტოევსკის, მ. ლომონოსოვის, მ. გორკის, უ. შექსპირის, ჯ. ბაირონის, ო. ბალზაკის, ჟიულ ვერნის, რ. როლანის ნაწარმოებები. ქართველი კლასიკოსებიდან—ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა ფშაველას თხზულებები. ბიბლიოთეკის წიგნების ფონდს შეემატა მოძმე რესპუბლიკების კლასიკოსების შრომები: ნიზამი განჯელის, მირზა ფატალი ახუნდოვის, მირზა ალეკპერ საბირის, ჯალილ მამედ კულიზადეს, სამედ ვურგუნის, ხაჩატურ აბოვიანის, ა. შირვანზადეს, ოვანეს თუმანიანის, ავეტიკ ისაკიანის, იაკუბ კოლასის, იანკა კუპალას, აბაი კუნანბაევის, იან რაინისის, ვილის ლაცისის, იულიუს იანონისის, პიატრას ცვირკას, ფირდოუსის, რუდაქის, ომარ ხაიამის, ტურსუნ-ზადეს, ალიშერ ნავოის, ტარას შევჩენკოს, ივანე ფრანკოსი, მ. მ. კოციუბინსკის, ლესია უკრაინკას, ლიდია კოიდულას, ედუარდ ვილდეს და სხვებისა.

საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე პერიოდული გამოცემების—ჟურნალების, შრომების, ბიულეტენებისა და სხვა გრძელდებადი გამოცემების მიღება.

1948 წ. დაარსდა სსრკ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი, რომელიც სცემს „რეფერატულ ჟურნალებს“, სადაც აღრიცხულია მსოფლიოს ყველა ენაზე გამოქვეყნებული ახალი წიგნები და საჟურნალო სტატიები. ამ ჟურნალების მიღებამ საგრძნობლად გაამდიდრა ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატი. გაიზარდა აგ-

რეთვე ქართულ, რსულ და უცხოურ ენებზე გამოსული გაზეთების მიღება ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ერთ-ერთი წყაროა უცხოური გამოცემები, როგორც მიმდინარე, ისე წარსული წლებისა. უცხოური ლიტერატურის მიღება წარმოებს როგორც გამოწერით, ისე საერთაშორისო წიგნთგაცვლით. უცხოური ლიტერატურა გამოიწერება აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების პროფილის შესაბამისად. უცხოური ლიტერატურით ბიბლიოთეკის ფონდების გამდიდრებას დიდად შეუწყო ხელი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ უცხოური ვალუტის საკმაო რაოდენობით გამოყოფამ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას უცხოური ვალუტის ლიმიტის ოდენობით მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს შორის მეორე ადგილი უჭირავს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის შემდეგ. ჩვეულებრივ გამოცემებთან ერთად ბიბლიოთეკა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან იღებს აგრეთვე საჭირო ლიტერატურის მიკრობარათებს. ასე მაგალითად, 1960 წ. პროფესორ ვ. გოგუაძის რჩევითა და დახმარებით საფრანგეთიდან მივიღეთ „Chemisches Zentralblatt"-ის 1—70 ტომის (1830—1900 წწ.) მიკრობარათები. აღსანიშნავია, ის რომ აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა ბიბლიოთეკაში არ მოიპოვებოდა „Chemisches Zentralblatt"-ის სრული კომპლექტები, რაც დიდად აფერხებდა ქიმიის დარგში მუშაობას.

მიკრობარათები არ არის ჩვეულებრივი საკატალოგო ბარათები. ეს არის მიკრო გაუმჭვირავი ბარათები, რომლებსაც იღებენ ფოტოგრაფიულად. მიკრობარათის გამოსახულება მკაფიო და ნათელია. მისი წაკითხვა ხდება სპეციალური საკითხავი აპარატით ან სპეციალური სათვალეებით. წაკითხვა შეიძლება აპარატის ვარეშეცის მცირე ადგილს იჭერს. მაგ. 1830 წელს გამოცემული 1 ტომის 557 გვერდი მოთავსებულია 12 მიკრობარათზე, და როგორც ვხედავთ იძლევა ადგილის დიდ ეკონომიას. ამ ბარათების მიღებით ბიბლიოთეკამ დიდი სამსახური გაუწია ქართველ ქიმიკოსებს.

ბიბლიოთეკის ფონდს ამდიდრებს გამოჩენილ მეცნიერთა წიგნების კოლექციები. აღვნიშნავთ ზოგიერთს:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს ვ. ვორონინის გარდაცვალების შემდეგ დარჩა პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოსული 9000 ტომისაგან. მისი უახლოესი მოწაფეებისა და თანამშრომ-

ლების რჩევით მისმა ქალიშვილმა ვერა ვორონინამ აღნიშნული კოლექცია გადასცა ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას. აკად. ვ. ვორონინი თავის სამეცნიერო ბიბლიოთეკას ქმნიდა 70 წლის მანძილზე. დიდი შერჩევით აგროვებდა ის წიგნებს ბიოლოგიის, მედიცინის, ფიზიკის, ქიმიისა და მათემატიკის დარგში. განსაკუთრებით ძვირფასია წიგნები საერთო პათოლოგიაში. აქ ბევრი კლასიკური სახელმძღვანელოა. ბიბლიოთეკაში არის ბევრი იშვიათი გამოცემა, რომელიც საქართველოს დიდ ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება, მაგ.:

1. Ergebnisse der allgemeinen Pathologie und pathologischen Anatomie des Menschen und der Tiere. Hrsg. von O. Lubarsch und R. Ostertag. Wiesbaden, 1896

2. Бехтерев, В, —Основы учения о функциях мозга. СПБ, 1903.

წიგნები განლაგებულია სისტემატური წესით. კოლექციიდან წიგნები შინ არ იცემა. ამ კოლექციის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ განსვენებული აკადემიკოსს წიგნების უმრავლესობაზე გაკეთებული აქვს თავისი მინაწერები და შენიშვნები.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს აკადემიკოს ა. ბაიკოვს გარდაცვალების შემდეგ ქ. მოსკოვში დარჩა მეტად ღირსშესანიშნავი ბიბლიოთეკა, (8000). საქართველოში მომუშავე მისი მოწაფეების რჩევით მისმა მეუღლემ ა. ბაიკოვამ წიგნების კოლექცია გადმოსცა ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას. აკადემიკოსი ა. ბაიკოვი იყო ფართო განათლების დიდი მეცნიერი. მის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია არა მარტო ვიწრო სპეციალობის წიგნები, არამედ ლიტერატურა მეცნიერების მრავალი დარგიდან როგორც რუსულ, ისე უცხო ენებზე. მათ შორის მაინც ძირითადია: ქიმია, ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია, გეოლოგია-მინერალოგია და სხვა. ეს კოლექცია დიდი შენაძენია ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდისათვის.

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ე. თაყაიშვილმა საფრანგეთიდან დაბრუნებისას ჩამოიტანა პირადი ბიბლიოთეკა (3600 ტომი), რომელშიც თავმოყრილია ლიტერატურა უმთავრესად საქართველოს ისტორია-არქეოლოგიის დარგში, და ანდერძით დაუტოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. ეს კოლექცია მიიღო ბიბლიოთეკამ და დაამუშავა ბიბლიოთეკურად. ფონდში მოიპოვება ისეთი იშვიათი გამოცემები, როგორიცაა „ქრონიკები" და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შევსებული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მი-

ერ 1897. თაყაიშვილი ე.—არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937. მისივე „არქეოლოგიური ექ-სპედიცია კოლა—ოლთისში და ჩანგლში 1907 წ., პარიზი, 1937. Фадеев, Р. „Письма с Кавказа к редактору Московских ведо мотей 1865.

პროფესორი ვ. პოლიევქტოვი დიდხანს მუშაობდა საქართველოში. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მისმა ქვრივმა პროფ. რ. ნიკოლაძემ განსვენებულის წიგნების ფდიდარი კოლექცია (3300 ტომი) გადასცა ცენტრალურ-სამეცნიერო ბიბლიოთეკას. ფონდში თავმოყრილია ძვირფასი ლიტერატურა საქართველოსა და კავკასიის შესახებ და შრომები 19 საუკუნეში რუსი და ევროპელი მოგზაურების შესახებ, რომელთაგან საყურადღებოა: „Русский Биографический словарь“ 1—25 т. т., Белокуров С. А.—Московский архив Министерства иностранных дел“ в 1812 году. 1912. Бартоломей Ф. Ф.—„Посольство Князя Меншикова в Персию в 1826 году“, 1904.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, რომელიც პოეტმა ანდერძით გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. შეიცავს 60000 ბეჭდურ ერთეულს. მის ფონდში თავმოყრილია ძვირფასი, უნიკალური ლიტერატურა. აქ ინახება ისეთი წიგნები, გაზეთები, და სხვა გამოცემები, რომლებიც შეიძლება ვერ ნახოთ საქართველოს ვერც ერთ უდიდეს ბიბლიოთეკაში. ფონდში არის ქართველი კლასიკოსების ყველა გამოცემა—შ. რუსთაველის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვათა თხზულებები. წიგნის თაროებზე ნახავთ მსოფლიო კლასიკოსების — უ. შექსპირის, ი. გოეთეს, ლ. ტოლსტოის, მ. გორკის, პ. მერიმეს, ა. დანტეს, ფ. სტენდალის და სხვათა ქართულ გამოცემებს. ბიბლიოთეკის ფონდში არის „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა. საინტერესოა „ევგენი ონეგინის“ ვარშავის 1899 წ. გამოცემა, რომელიც საფოსტო მარკის ზომისაა. ბიბლიოთეკის ფონდში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი კავკასიათმცოდნეობის ლიტერატურა: Кавказский сборник“ 32 ტომი „Сборник сведений о Кавказских горцах“. 10 ტომი და სხვა.

აკად. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა—მუზეუმის წიგნების ფონდისათვის დამახასიათებელია, რომ თითქმის ყველა წიგნს აქვს აკადემიკოსის მიერ გაკეთებული მინაწერები და შენიშვნები. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა არ არის შემთხვევით შეძენილი წიგნე-

ბის ფონდი, არამედ მასში ლიტერატურა შერჩეულია წინასწარ განსაზღვრული გეგმით, რომელიც ხორციელდებოდა 50 წლის განმავლობაში. ამ ფონდის ბიბლიოთეკური დამუშავება დაწყებულია, რომლის დასრულება ნავარაუდევია 1965 წლისათვის. განზრახულია ბეჭდური სისტემატური ანოტირებული კატალოგის (სამი ტომის) გამოცემა და სამუშაო ანბანური კატალოგის შედგენა.

ბიბლიოთეკა მუზეუმი ანდერძის თანახმად მოთავსებულია იმ სახლში, (ალგეთის შეს. № 1), რომელშიც პოეტი აკადემიკოსი დაიბადა და თავისი პოეტური შემოქმედებით ცხოვრება გაატარა. აღნიშნულ სახლს სათანადო რემონტი გაუკეთდა. ანდერძის თანახმად ბიბლიოთეკა-მუზეუმი იქ უნდა იყოს მუდმივად.

საერთაშორისო წიგნთგაცვლა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო სამეცნიერო და კულტურული კავშირის გაფართოების საკითხს. საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ლენინის მოძღვრებაზეა აგებული, ითვალისწინებს სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. საბჭოთა მთავრობა აქტიურად იბრძვის მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, თანმიმდევრობით ატარებს ღონისძიებებს ეკონომიური, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობის დამყარებისათვის სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

მეცნიერებისა და კულტურის დიდი აღმავლობითი განვითარებამ სსრკ-ში შექმნა ხელსაყრელი პირობები საერთაშორისო წიგნთგაცვლის განვითარებისათვის. საერთაშორისო წიგნთგაცვლა დიდად უწყობს ხელს სხვა ქვეყნებთან სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას და სამეცნიერო ინფორმაციის განვითარებას.

აღნიშნული საკითხის დიდი მნიშვნელობა ხაზგასმით არის აღნიშნული სკკპ ახალ პროგრამაში: „პარტიას საჭიროდ მიაჩნია გაფართოვდეს სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობა სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან აგრეთვე სხვა ქვეყნებთან მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების ურთიერთგაცვლის, ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ინტერესებისათვის“*. საერთაშორისო წიგნთგაცვლა ამ ამოცანის გადაჭრის დიდმნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

---

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1961, გვ. 143.

საქართველოში საერთაშორისო წიგნთაცვლის წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XIX საუკ. ბოლოს და XX საუკ. დასაწყისში კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. იწყებენ საერთაშორისო წიგნთგაცვლას. 1911 წლისათვის მათ 87 უცხოეთის დაწესებულებასთან ჰქონდათ კავშირი. უგზავნიდნენ მათ კავკასიის მუზეუმის შრომებს და სამაგიეროდ ღებულობდნენ პროფილის შესაბამის ლიტერატურას. 1905—1911 წწ. საერთაშორისო გაცვლით მიღებულ იყო 1155 ტომი.

პირველმა მსოფლიო ომმა და მენშევიკების ბატონობამ საქართველოში შეაფერხა საერთაშორისო წიგნთგაცვლის განვითარება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან რამდენიმე წლის შემდეგ საერთაშორისო წიგნთგაცვლა დაიწყო. კ. მარქსის სახ. რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტებისა და აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებმა.

დიდ სამამულო ომის პერიოდში საერთაშორისო წიგნთგაცვლის წარმოება შეწყდა, 1948 წლიდან კი ისევ განახლდა. გაცვლას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკა, მაგრამ ამ საქმის გაფართოებას ხელს უშლიდა ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის არაოპერატიული მუშაობა

1955 წლიდან მთავრობის ღადგენილებით საერთაშორისო წიგნთგაცვლის უფლება მიეცა ცალკეული უწყების დიდ ბიბლიოთეკებს, რამაც სწრაფად განავითარა ურთიერთობა უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან.

საერთაშორისო წიგნთგაცვლა წარმოადგენს ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების საყურადღებო წყაროს. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა დღეისათვის წარმოადგენს საერთაშორისო წიგნთაცვლის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს საქართველოს სს რესპუბლიკაში. 1964 წლის დასაწყისისათვის ბიბლიოთეკას ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს 56 ქვეყნის 1026 დაწესებულებასთან, მათ შორის 38 მეცნიერებათა აკადემიასთან, 103 უნივერსიტეტთან, 55 ბიბლიოთეკასთან, 292 ინსტიტუტთან და კოლეჯთან, 45 მუზეუმთან, 157 ობსერვატორიასთან, 120 საზოგადოებასთან და 216 სხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან.

ბიბლიოთეკას გაცვლითი ურთიერთობა აქვს 12 სოციალისტური ქვეყნის 343 სამეცნიერო დაწესებულებასთან, 25 კაპიტალისტური ქვეყნის 606 სამეცნიერო დაწესებულებასთან. ეკონომიურად

სუსტად განვითარებულ ქვეყნებიდან აზიის 8 ქვეყნის 42 სამეცნიერო დაწესებულებასთან, სამხრეთ ამერიკის 8 ქვეყნის 31 სამეცნიერო დაწესებულებასთან, აფრიკის 3 ქვეყნის 4 სამეცნიერო დაწესებულებასთან.

ბიბლიოთეკას გაცვლითი ურთიერთობა აქვს დამყარებული პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ჩინეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დანიის, საბერძნეთის, იტალიის, ნორვეგიის, ავსტრიის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან, ბუდაპეშტის, პრაღის, ვარშავის, პეკინის, ბუქარესტის, სოფიის, ჰარვარდის, კემბრიჯის, ოქსფორდის, კალიფორნიის, კონსტანტინეპოლის, ოსლოს, კოპენჰაგენის, ბერნის, გეტინგენის უნივერსიტეტებთან, აშშ კონგრესის, ნიუ-იორკის საჯარო. საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკებთან, ბრიტანეთის მუზეუმთან.

ბიბლიოთეკა გაცვლით ღებულობდა მეცნიერების ყველა დარგის ლიტერატურას. მიღებული ლიტერატურიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნები და ჟურნალები, რომლებიც ქართული მწერლობისა და კულტურის საკითხებს ეხება. ეს ლიტერატურა საინტერესოა როგორც სპეციალისტისათვის, ისე ყველა იმ პირისათვის, ვინც დაინტერესებულია ქართველოლოგიის საკითხების შესწავლით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

ინგლისელი ორიენტალისტის, ქართველოლოგის, ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკისმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორის დ. ლენგის „ქართული ნუმიზმატიკის ისტორია“, „ძველ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებანი და ლეგენდები“, „ექვთიმე ივერი და თქმულება ვარლაამსა და იოსაფზე“, „ქართული მონარქიის უკანასკნელი წლები 1658—1832“ და სხვა მრავალი ცალკე ამონაბეჭდი და წიგნი.

ინგლისელი ორიენტალისტის სტივენსონის „ამირან დარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი. მისივე წერილი „ვეფხისტყაოსანზე“.

პროფესორ ჟ. გარითისაგან მიღებულია მრავალი შრომა მძღვნილი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების შესწავლისადმი. მ. შ. „სინას მთის პალესტინურ-ქართული კალენდარი (X საუკ.)“, „ქართულ ხელნაწერთა კატალოგი“ და სხვა.

იარ. იედლიჩკასაგან მიღებულია „ვეფხისტყაოსნის“ მისივე ჩეხური თარგმანი.

გ. გრაფისაგან მიღებულია „არაბული ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1—5.

გ. ფეკეტესაგან მიღებულია—„მე-16 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის“.

ვ. ბრუკმანისაგან მიღებულია ჰონიგმანის ნაშრომი „ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორია და გეოგრაფია“.

მ. თარხნიშვილის და ი. ასფალგის „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია“ (კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომის მიხედვით).

ი. ნილის—„თბილისის ყვავილები (ქართული ეკლესიის ისტორიიდან).

კ. ბოურას ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

ნეაპოლის ბიბლიოთეკიდან მიღებულია XVII საუკუნეში ჩაწერილი ათი ქართული ზღაპრის მიკროფილმი. ამ ზღაპრების დედნები დაცულია პატრი ბერნარდეს არქივში. პროფ. მ. ჩიქოვანმა ამ ზღაპრების საფუძველზე გამოკვლევა დაწერა, რომელიც იბეჭდება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებულში შემდეგი სახელწოდებით „XVII საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები“.

ვატიკანის ბიბლიოთეკიდან მიღებულია ვ. კორბოს—„არქეოლოგიური გათხრები ხირბეთ სიოარ ალ-ღანამში“. წიგნში აღწერილია V—VI საუკუნის ქართული მონასტრის ნაშთები. მიღებულია აგრეთვე დევი დელა ვიდას—„იოანე მოსხის არაბული ვერსიის შესახებ“.

უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკიდან მიღებულია „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანის (მთარგმნელი ბელა ვიკარი) მიკროფილმი „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული თარგმანი ჩვენი რესპუბლიკის უდიდეს ბიბლიოთეკების ფონდში არ მოიპოვება.

ბოდლეის ბიბლიოთეკიდან მიღებულია — ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ინგლისური თარგმანის მიკროფილმი (თარგმანი მ. უორდროპისა).

გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მატიანის ხელნაწერის მიკროფილმი. ბოდლის ბიბლიოთეკიდანვე მიღებულია მარჯორი უორდროპის არქივში დაცული, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორი ხელნაწერის მიკროფილმები. ეს ხელნაწერებია: N—27—ე. წ. თარხან-მოურავისეული ნუსხა, XVII საუკუნისა, და N—17—მზეხათუნისეული ნუსხა, XVIII ს. ორივე ხელნაწერი

ძვირფასი შენაძენია რუსთველოლოგიური ძიებისათვის. ისინი შედიან „ვეფხისტყაოსნის“ იმ 48 ძირითადი ხელნაწერების რიცხვში, რომელთა მიხედვითაც წარმოებს დღეს პოემის აკადემიური ტექსტის დადგენა.

მინიატურული სახარება—ოთხთავის (გადაწერილი იერუსალიმის მახლობლად ჯვრის მონასტერში) მიკროფილმი და სხვა.

ოქსფორდის უნივერსიტეტიდან მიღებულია XI საუკუნის ხელნაწერის—ბერთის სახარების მიკროფილმი.

ბრიტანეთის მუზეუმიდან მიღებულია ფოტოპირი სერგი რეშანელის შრომისა „ტრაქტატი მიზეზთათვის“ (სირიული ტექსტი: მ. ბროსეს (უმცროსი) სტატიის „მასალები საფრანგეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ ლუდოვიკო XIV მეფობის დასასრულს“ მიკროფილმი და სხვა მრავალი შრომა.

ბიბლიოთეკის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1956 წელს აშშ კონგრესის ბიბლიოთეკიდან 215 ქართული ხელნაწერის მიკროფილმის მიღება. ხელნაწერები, რომლებიც IX—XI საუკუნეს განეკუთვნება დაცულია იერუსალიმსა და სინას მთაზე. ამ მიკროფილმების საშუალებით ჩვენი მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ძველი ქართული მწერლობის მრავალი ძეგლი, რომლებიც მანამდე მხოლოდ კატალოგებით იყო ცნობილი. ასე მაგალითად, მიკროფილმებში აღმოჩნდა „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია. ამ რედაქციის შესწავლით გაირკვა მრავალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა. დღეს მეცნიერებაში უკვე დავას არ იწვევს, ის, რომ საყოველთაოდ გავრცელებული ბერძნული ტექსტი თარგმნილია ქართულიდან. 1956 წელს მიკროფილმების მიღებასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილ მკითხველთა კონფერენციაზე „ბალავარიანის“ შესახებ მოხსენებები წაიკითხეს აკად. გ. წერეთელმა, აკად. შ. ნუცუბიძემ, პროფესორმა ილია აბულაძემ. მიკროფილმების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ პროფესორმა ილია აბულაძემ „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია გამოაქვეყნა გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ. ძეგლი გამოიცა რუსულ ენაზეც (თარგმანი ბიძინა აბულაძისა) პროფ. ილია აბულაძის რედაქციითა და შესავალი წერილით.

აკად. შ. ნუცუბიძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „ბერძნული რომანის ვარლაამ და იოსაფის წარმოშობისათვის“. მიღებულ მიკროფილმებში აღმოჩნდა უძველესი თარიღიანი ხელნაწერის—სინური მრავალთავის (864) მიკროფილმი. ჩვენი ძველი მწერლობის ეს შესანიშნავი ძეგლი 1859 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ. საინტერესოა ავრეთვე IX—X საუკუნეების ფსალმუნთა კრებულები, იოანე ოქრო-



სურ 3

იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში დამზადებული ვრცელი ბალავარიანის ხელნაწერის ფოტოპირის პირველი ფურცელი

პირის, ბასილი დიდის, ეფრემ ასურის ჰომილეტიკური თხზულებანი და სხვა.

ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1957 წელს სათანადო დადგენილება გამოიტანა. რის საფუძველზე მიკროფილმებიდან გადაღებულ იქნა ორ-ორი ცალი ფოტოპირი, რომლის ერთი ცალი გადაეცა აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს ხოლო მეორე ცალი—მიკროფილმთან ერთად დარჩა ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

1959 წელს აშშ კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიღებულ იქნა დამატებით 8 მიკროფილმი. მათ რიცხვში ათონის მთის ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა (X—IX სს.) მიკროფილმები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 913 წელს გადაწერილი ოპიზის სახარების მიკროფილმი.

ჰარვარდის უნივერსიტეტიდან მიღებულია 400-ზე მეტი ტომი სერიისა „ლიობის კლასიკური ბიბლიოთეკა". აღნიშნული სერია შეიცავს ანტიკური ხანის მწერლების ნაწარმოებთა მეცნიერულად დადგენილ ტექსტებს ინგლისური თარგმანით, კომენტარებითა და ინდექსებითურთ. სერია დაარსებულია XX საუკუნის დასაწყისში ინგლისელი მეცნიერის ჯეიმს ლიობის მიერ. ბიბლიოთეკაში უკვე არის თხზულებანი ჰომეროსის, ჰეროდოტეს, სტრაბონის, ოვიდიუსის, ვირგილიუსის, ტაციტის და სხვა ავტორებისა.

უცხოეთიდან გაცვლით მიღებული სხვა გამოცემებიდან აღსანიშნავია ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიღებული ჰუნგერის „ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ლექსიკონი", „ბიზანტიელი მემატიანეები" (8 ტომი).

აშშ კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიღებულია „ვილსონის ბიბლიოგრაფიული ცნობარი" (13 ტ.), ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკიდან—კულტერმანის „თანამედროვე არქიტექტურა", უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიიდან—„უნგრეთის ფაუნა" (3 ტომი). ლონდონის უნივერსიტეტიდან — „ისლამის ბიბლიოგრაფიული ცნობარი", ბროუნის „სპარსული ლიტერატურის ისტორია", ტ. I—IV. ბრიტანეთის მუზეუმიდან მიღებულია „ბაბილონის ფირფიტების ლურსმული ტექსტების I—II ტომი", ჯ. ლკინსონის „არანიუტონ-სებური სითხეები", კორნის „სამეცნიერო და საინჟინრო საქმის მათემატიკური ლექსიკონი"

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიიდან მიღებულია „ქართული პოეზიის ანთოლოგია", შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და სხვა ძვირფასი წიგნი და ჟურნალი.

აკადემიკოსმა ა. შანიძემ აცნობა ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, რომ კუნძულ ქიოსზე კორაისის სახელობის ბიბლი-

სურ. 4

საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი მ. ნიჟარაძე უფრ. ბიბლიოგრაფ ლ. მაისაშვილთან და ბიბლიოთეკარ მ. სიმონიშვილთან ერთად არჩევს საერთაშორისო წიგნთგაცვლით მიღებულ უცხოურ ლიტერატურას.

ოთეკაში დაცულია „პეტრიწონის წესდების“ ძველი ქართული რედაქცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი მეცნიერებისათვის. კერძოდ მას აღნიშნული ხელნაწერი ჭირდებოდა „პეტრიწონის წესდების“ ძველი ქართული ტექსტის გამოცემისათვის. ბიბლიოთეკის დირექციამ ხანგრძლივი ენერგიული ღონისძიებების შედეგად, რომელიც ერთ წელს გაგრძელდა, კუნძულ ქიოსიდან მიიღო აღნიშნული ძეგლის ორი ხელნაწერის (№ 1598 და № 1599) ფოტოპირი. № 1598 ხელნაწერში ტიპიკონის იმ ძველი ქართული ტექსტის გარდა აღმოჩნდა ბერძნული ტექსტიც, რომელიც თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით XI—XII საუკუნეს მიეკუთვნება. ამ ხელნაწერის ბერძნული ტექსტი (გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონი) პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა თარგმნა, შესავალი წერილი დაურთო და

გამოსცა[1]. ხოლო აკად. ა. შანიძე ამზადებს ტიპიკონის ძველ ქართულ რედაქციის ტექსტის გამოცემას.

1962 წელს აკადემიკოს გ. წერეთლის თხოვნით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიღებულია იერუსალიმის ბერძნული და სომხური საპატრიარქოების ბიბლიოთეკების ხელნაწერთა 90 მიკროფილმი. აღნიშნული მიკროფილმებით დაინტერესდა აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტი, სადაც ამჟამად წარმოებს მიკროფილმიდან ფოტოპირების გადაღება და პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ტექსტების დასადგენად.

1951—1955 წწ. მიღებულია 75200 წიგნი და ჟურნალი, 1956—1960 წწ.—81000 წიგნი და ჟურნალი.

საერთაშორისო წიგნთგაცვლით მიღებული ლიტერატურის სანაცვლოდ ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე სისტემატურად უგზავნიდა უცხოელ პარტნიორებს აკადემიის შრომებს და საერთო აკადემიური გამოცემის თითო ეგზემპლარს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I—VII.

რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I—III

შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე—ქართული ფილოსოფიის ისტორია ტომი I—II. მისივე, Творчество Руставели.

დ. უ ზ ნ ა ძ ე—Экспериментальные основы психологии установки.

ა. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი—ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი—საქართველოს და ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარება.

ი. დ ო ლ ი ძ ე—ძველი აღმოსავლეთის სამართალი.

გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი—ზოგადი ფონეტიკის შესავალი.

ა. შ ა ნ ი ძ ე—ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები.

ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა—„ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში“.

ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე—აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი.

გ. რ ო გ ა ვ ა—ქართველურ ენათა ისტორიულ ფონეტიკის საკითხები.

ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ს ა და გ. ი მ ნ ა შ ვ ი ლ ი ს—ქართული ენის კახური დიალექტი.

---

[1] გეორგიკა, ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1963. ტ. V, გვ. 205.

ა. კ ი ზ ი რ ი ა—მარტივი წინადადებების შედგენილობა ძველ ქართულში.

ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე—ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში.

გ. წ ე რ ე თ ე ლ ი—Арабские диалекты.

გ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ნ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე— Литология и палеогеография полосы среднеюрских угленосных отложений западной Грузии".

ს. დ უ რ მ ი შ ი ძ ე—Дубильные вещества и антоциани виноградной лозы и вина.

საქართველოს ფლორა ტ. I—VI.

ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი—კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში.

ლ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე—მცენარეთა სქესი, ნაწ. I.

ბ. ყ უ რ ა შ ვ ი ლ ი— Гельминты охотничье—промысловых птиц Грузии.

ი. ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი— О нервных механизмах пространственной ориентации высших позвоночных животных.

გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი—ქართული ოქრომჭედლობა.

შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი—ქართული ხელოვნების ისტორია.

ვ. ბ ე რ ი ძ ე—სამცხის ხუროთმოძღვრება, XII—XVI საუკუნეში.

ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი—ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხები.

კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე—ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1—8.

ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე—ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.

ი. ა ბ უ ლ ა ძ ე—ქართული და სომხური ლიტერატურის ურთიერთობა IX—X სს.

ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა—იოსებ ზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები.

მ. შ ა ნ ი ძ ე—ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII სს. ხელნაწერების მიხედვით.

გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი—რუსთველოლოგიური ლიტერატურა.

ქართლის ცხოვრება ტ. I—II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

მცხეთა. არმაზის ხევის არქეოლოგიური ძეგლები.

გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი—Урартские клинообразные надписи.

ა. ა ფ ა ქ ი ძ ე—ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, ტ. I.

გ. ნ ი ო რ ა ძ ე — ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში.

ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა— Государственные крестьяне Грузии I-ой половине XIX века (до крестьянской реформы 1864 г.).

გარდა აღნიშნული მონოგრაფიებისა, ბიბლიოთეკა სისტემატურად გზავნიდა უცხოეთში გაცვლით აკადემიის ინსტიტუტების პერიოდულ გამოცემებს, მათ შორის: ა. რაზმაძის სახ მათემატიკის ინსტიტუტის, ფიზიკის, კიბერნეტიკის, გეოფიზიკის, პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების, ეკონომიკის, ივ. ჯავახიშვილის სახ ისტორიის, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომებს. გაგზავნილია 1951—1955 წწ. 73.600. 1956—1960 წწ. 80.000.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა რესპუბლიკის სხვა ბიბლიოთეკებისაგან განსხვავებით გაცვლას აწარმოებს მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურისას. აგზავნის რა უცხოეთში აკადემიის პერიოდულ გამოცემებსა და მონოგრაფიებს, იგი უცხოელი პარტნიორებისაგან ღებულობს სამეცნიერო წიგნებსა და ჟურნალებს. მეორე დამახასიათებელი მომენტი ის არის, რომ ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა აწარმოებს გაცვლას აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის ცენტრალიზებული წესით.

საერთაშორისო გაცვლის ცენტრალიზებული წესით წარმოება ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ. მას ახასიათებს რიგი უპირატესობისა: ა) ცენტრალიზებული გაცვლა საშუალებას იძლევა მანევრირება ვაწარმოოთ აკადემიის ყველა გამოცემით და მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ უცხოეთის დაწესებულებების მოთხოვნა, მათგან კი უფრო მეტი რაოდენობით მივიღოთ ჩვენთვის საინტერესო გამოცემები. ბ) პარტნიორების შერჩევა უფრო ოპერატიულია და მათთან სწრაფად ხდება შეთანხმების გაფორმება. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები საჭიროებენ, უპირველეს ყოვლისა, ოპერატიულ ინფორმაციას უცხოეთში წარმოებულ ახალ გამოკვლევებზე, რომელთა შესახებ ცნობები უმთავრესად მოცემულია პერიოდულ გამოცემებში.

გაცვლით შემოსული ლიტერატურის უმეტესი ნაწილი სწორედ პერიოდულ გამოცემებს წარმოადგენს. გ) საერთაშორისო გაცვლის ცენტრალიზაცია აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას რესპუბლიკის დიდ ბიბლიოთეკებთან მუშაობის კოორდინირების საშუალებას აძლევს, რომ თავიდან იქნეს აცილებული პარალელიზმი და დუბლირება მუშაობაში.

საერთაშორისო წიგნთგაცვლის საქმეში ბიბლიოთეკას დიდ დახმარებას უწევენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: აკად. ა. შანიძე, აკად. შ. ნუცუბიძე, აკად. გ. წერეთელი, აკად. გ. ჩუბინაშვილი, აკად. ნ. მუსხელიშვილი, აკად. ე. ხარაძე, აკად. ს. დურმიშიძე, აკად. რ. დვალი, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, პროფ. ი. აბულაძე, დოც. ა. გამყრელიძე და სხვები.

ბიბლიოთეკას წიგნთგაცვლის საშუალებით მუდმივი ურთიერთობა აქვს სხვადასხვა ქვეყნების ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, როგორიც არიან: ინგლისში—ვ. მინორსკი, დ. ლენგი, ვ. ალენი; ბელგიაში—ჟ. გარიოი; შვეიცარიაში—ჯ. ჰუბშმიტი; უნგრეთში—ლ. ფეკეტე; ავსტრიაში—კ. ტრემიერი; ჩეხოსლოვაკიაში—ი. იედლიჩკა და მრავალი სხვა. ისინი დიდად აფასებენ ჩვენს ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობას. ზოგმა მათგანმა თბილისში ყოფნისას ინახულა ბიბლიოთეკა, მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის კოლექტივს; მათ რიცხვში იყვნენ ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერი ქართველოლოგი იაროსლავ იედლიჩკა, ინგლისელი ქართველოლოგი პროფ. დ. ლენგი, ამერიკელი ჟურნალისტი მეცნიერ-ეკონომისტი ჯ. ლიგვისტონი და სხვები.

ბიბლიოთეკის მისამართით მოსულია უცხოეთის გამოჩენილ მეცნიერთა ბევრი წერილი, რომლებიც დიდად აფასებენ ბიბლიოთეკის დახმარებას მათთვის ქართული სამეცნიერო გამოცემების მიწოდების საქმეში საერთაშორისო გაცვლის გზით. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მათ მიერ გამოგზავნილი ზოგი წერილი.

ბრიტანეთის აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. მინორსკი:

Глубокоуважаемый академик Дзоценидзе,

Обращаюсь к Вам с просьбой: нельзя ли получить „Историю Тбилиси“, вышедшую по случаю тысячелетия на русском языке. Автор, кажется Бадриашвили. Может были и другие работы и статьи по русски. Работы мения очень интересуют, так как лет 30 назад я сам написал очень длинную статью Tbilisi дая энцикл. Ислама. Она у Вас. конечно, есть.

Большое спасибо за груз. рус. словарь, но я вряд ли доживу до окончания этого прекрасного, но слишком для моих глаз сложного применения.

Я слышал, что д-р Ланг послал Вам мою: **A History of Sharvan and Darband, 1958.**

Если нет, я напомню ему опять.

Вышла ли вторая часть Картлис цховреба?

С искренним приветом

В. Минорский

ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი ჟერარ გარითი იწერება: ბატონო პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ო,

თქვენი 1956 წლის 27 დეკემბრის № 12/1138 წერილის პასუხად მე გამოგიგზავნეთ 18 ნოემბერს: 1) აღმოსავლეთის ჰაგიოგრაფიული ბიბლიოთეკა, 2) ლაგრანჟი—ახალი აღთქმის სწავლების შესავალი, 3) სინას ხელნაწერების ჩემი კატალოგი. დღეს მე გიგზავნით „სომხური ვერსიების წარმოშობას“ და იქიდან ამოღებულ ორ სტატიას. გისურვებთ ამ წიგნების მიღებას და მადლობას გიხდით იმათზე, რომელიც გინდოდათ გამოგეგზავნათ. მე დიდი სიამოვნებით მივიღებ თბილისის აკადემიის ახალ გამოცემებს, რომელთა გამოგზავნა თქვენ შეგეძლებათ. ვრჩები თქვენს განკარგულებაში და მზად ვარ, რომ გამოგიგზავნოთ წიგნები, რომლებსაც მოისურვებთ.

კეთილი სურვილებით. ჟ. გ ა რ ი თ ი.

ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის და აფრიკისმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი დ. ლენგი იწერება

პატივცემულო ბ ა ტ ო ნ ო,

დიდი სიამოვნებით მივიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი უხვი საჩუქარი, რომელიც შედგება 31 ტომისაგან, და თქვენი თავაზიანი წერილი, სადაც დასახელებულია ის მასალა, რომელიც გსურთ მიიღოთ სამაგიეროდ.

ჩვენ უკვე შევუკვეთეთ აღნიშნული წიგნები და სტატიები და გამოგიგზავნით ახლო მომავალში. ჯერ-ჯერობით კი გიგზავნით ჩემს სტატიას ლორის მეფის და მისი ფულის შესახებ და აგრეთვე სტატიას ბირმინჰამში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ. გთხოვთ გააცნოთ ეს მასალა ამ საქმით დაინტერესებულ მეცნიერებს.

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ დავაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა. მე დიდად ვწუხვარ, რომ ინგლისში ვერსად ვიშოვე იმერე-

თის ეპისკოპოსის გაბრიელის მოძღვრებანი, რომლის თარგმანი შესრულებულია მალანის მიერ.

გულწრფელი სალმით

დ. მ. ლ ე ნ გ ი.

ჩეხოსლოვაკიიდან ქართველოლოგი იარომირ იედლიჩკა იწერება:

Центральная научная библиотека
АН Груз. ССР
Директору В. У з н а д з е

Многоуважаемый директор,

Я получил книги: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები.

თ. შარაშენიძის—ენათა კლასიფიკაციის პრობლემები.

Большое спасибо.

Прошу Вас, сообщить, какие книги желаете, чтобы прислать Вам. Обещанную книгу пришлю на днях.

Я пишу статью о древнейших формах падежных суффиксов в грузинском языке и мне нужна работа Арн. Чикобава Морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками. (Изв. ИЯИМК, VII. 149—168).

Мне кажется, что без этой статьи я не могу покончить с моей работой.

Прошу прислать мне, если возможно.

Ваш Др. Я р о м и р Е д л и ч к а.

ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯ. ლიგვისტონმა 1956 წელს იმოგზაურა სსრკ-ში. ის იყო თბილისშიც ინახულა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მან 50 ჟურნალში გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებები: ერთ ერთი სტატია მიუძღვნა თბილისში მოგზაურობას და ასევე გამოუგზავნა ბიბლიოთეკას. ქვემოთ მოგვყავს წერილის შინაარსი რომელიც ბიბლიოთეკას ეხება.

„...მეორე დღეს ვინახულე მეცნიერებათა აკადემია. იგი შეიცავს 30-ზე მეტ მეცნიერების სხვა და სხვა განყოფილებას. საქართველოს აკადემიას თავისი სიდიდის მხრივ მესამე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში მოსკოვისა და კიევის შემდეგ.

აკადემიაში ვნახე მთელი რიგი ამერიკული ჟურნალები: „ყოველთვიური ამერიკული მათემატიკური ჟურნალი“, „ნაციონალური გეოგრაფია,“ „ამერიკული ქირურგიული ჟურნალი“, „ექსპერიმენტული ზოოლოგიის ჟურნალი“ და სხვა.

ბატონმა უზნაძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ყოველწლიურად 20.000 ცალზე მეტ ლიტერატურას ღებულობს უცხოურ ქვეყნებიდან დაკვეთისა და გაცვლის სახით.

საბჭოთა კავშირში ამერიკულ ჟურნალებზე მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემია ახდენს მათ ფოტოკოპირებას. მე ვნახე მთელი რიგი ფოტოპირებული უცხოური ჟურნალები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

ბატონმა უზნაძემ მიაღწია, იმას, რომ მან კავშირი დააყარა გაცვლისათვის რამდენიმე ამერიკულ ორგანიზაციასთან როგორიცაა: „ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, კონგრესის ბიბლიოთეკა, კალიფორნიის უნივერსიტეტი, მეცნიერებათა ნაციონალური აკადემია, ნიუიორკის საჯარო ბიბლიოთეკა და სხვა.

მან პირადად მთხოვა მადლობა გადავცე კონგრესის ბიბლიოთეკას ძვირფასი მიკროფილმებისათვის, ძვირფასი ხელნაწერებისა რომლებიც ფოტოგრაფირებულია იერუსალიმში კლარკის მიერ. ეს ხელნაწერები დიდი განძია საქართველოს ისტორიისათვის.

დარწმუნებული იყავით ჩვენ დიდად დავალებული ვართ ამერიკელებისაგან ამით. მან დაუმატა იზრუნეთ შემდეგშიაც გაცვლისათვის ასეთი მეცნიერული შრომების ინფორმირებისათვის...“.

ასეთი წერილების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ აღნიშნული წერილებიც ნათელს ხდის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობის მაღალ შეფასებას უცხოეთის მეცნიერთა მიერ.

ფონდების ორგანიზაცია

ბიბლიოთეკის მუშაობის სწორად დაყენებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ფონდების სწორ ორგანიზაციას.

ბიბლიოთეკის მუშაობა წლების მანძილზე იმგვარად წარმოებდა, რომ მკითხველთათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ბიბლიოთეკის ძვირფასი სამეცნიერო ლიტერატურის ფონდი. ამ მიზნის განხორციელებისათვის დაიწყო ფონდების წესრიგში მოყვანა, შედგა მკითხველთა ანბანური და სისტემატური და სამსახურებრივი ანბანური კატალოგი.

ბიბლიოთეკის ფონდი იყოფა ძირითად და დამხმარე ფონდად. ძირითად ფონდში თავმოყრილია მეცნიერების ყველა დარგის ლიტერატურა. ეს ფონდი წიგნსაცავის განყოფილების გამგებლობაშია. ძირითადი ფონდის საშუალებით კმაყოფილდება მკითხველთა ყველა მოთხოვნილება. ამ ფონდს ეყრდნობა მკითხველთა მომსახურების განყოფილება.

ძირითად ფონდში შედის წიგნის ფონდი, ჟურნალების ფონდი, გაზეთების ფონდი, ჯგუფური დამუშავების მასალების ფონდი, მიკროფილმებისა და ფოტოპირების ფონდი, გამოჩენილ მეცნიერთა კოლექციების ფონდი და იშვიათ გამოცემათა ფონდი. ენების მიხედვით ძირითადი ფონდი შედგება ქართული წიგნებისა და პერიოდიკის ფონდის, რუსული წიგნებისა და პერიოდიკის ფონდისაგან და უცხოური წიგნებისა და პერიოდიკის ფონდისაგან.

ძირითად ფონდთან ერთად ბიბლიოთეკაში შექმნილია დამხმარე ფონდები: აბონემენტზე, ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში, ფილიალსა და სამკითველო დარბაზში. სამკითხველო დარბაზის ფონდში თავმოყრილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საცნობო ხასიათის ლიტერატურა. ის მაქსიმალურად არის მიახლოვებული გაცემის ადგილთან, რითაც მკითხველს საშუალება ეძლევა მუშაობის მსვლელობაში ერთდროულად ისარგებლოს ლიტერატურის დიდი რაოდენობით. დამხმარე ფონდები თავისი მოცულობით დიდი არ არის, ისინი ოპერატიული ფონდებია, ხოლო ის წიგნები, რომლების მოთხოვნაც ნაკლებად ხდება, შეიძლება მიღებულ იქნეს ძირითადი ფონდიდან.

ბიბლიოთეკის ძირითადი ფონდი საცავში განლაგებულია ფორმატულ-ინვენტარული წესით. ფართობის ეკონომიის მიზნით ყველა წიგნი მისი ყუის სიმაღლის მიხედვით 5 ფორმატად იყოფა და თითოეულ ფორმატად ცალკე ლაგდება თაროებზე. ცალკეული ფორმატის ფარგლებში წიგნები გაწყობილია საინვენტარო ნომრის თანმიმდევრობის მიხედვით. თითოეული ფორმატისათვის განკუთვნილია შესაბამისი საინვენტარო წიგნი. თითოეულ მათგანში ნუმერაცია იწყება № 1-დან. ასე, რომ სხვადასხვა ფორმატის რამდენიმე წიგნს ერთნაირი ნომერი აქვს, ხოლო გამოცნობისათვის საინვენტარო ნომრის წინ იწერება ფორმატის აღნიშნული ციფრი (1, 2, 3, 4) და ენის აღმნიშვნელი ასო (ქართული, რუსული, უცხოური) მაგ:. 1R—400, 2R—1002 და ა. შ.

პერიოდიკა განლაგებულია სისტემატურ-ანბანური წესით.

ქართული წიგნის ფონდით (101000 ტომი) ბიბლიოთეკა ისე მდიდარი არ არის, როგორც რუსულით (512 000). ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, იმ გარემოებით, რომ ქართული გამოცემების ტირაჟი და სახელწოდება მცირეა რუსულთან შედარებით, მეორე მხრივ, ბიბლიოთეკას დიდი ხნის ისტორია არ აქვს, ამიტომ ძველი ქართული გამოცემები ბიბლიოთეკაში მცირე რაოდენობითაა. გარდა ამისა ქართულ ფონდში არ არის სახელმძღვანელოები, პროგრამები, სარეკლამო კატალოგები, მცირე ტირაჟიანი საუწყებო გამოცემები.

ბიბლიოთეკა დიდ ყურადღებას უთმობს ქართული წიგნების ფონდის სამეცნიერო ლიტერატურით დაკომპლექტებას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ქართული სამეცნიერო ლიტერატურით სრულად არის დაკომპლექტებული და რესპუბლიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ამ ფონდის შევსებისათვის ბიბლიოთეკა რესპუბლიკური ბიბკოლექტორისა და საქართველოს წიგნის მაღაზიებისაგან იძენს მეცნიერების ყველა დარგის ლიტერატურას, ყოველი გამოცემის 2—3 ეგზემპლიარს, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებს — 5 ცალს. გარდა ამისა თბილისის, მოსკოვის და ლენინგრადის ბუკინისტური მაღაზიებიდან იძენს რევოლუციამდელ ქართულ გამოცემებს.

რუსული წიგნის ფონდის რაოდენობა 512000 ტომს აღწევს. მასში წარმოდგენილია წიგნები XVIII საუკ. მეორე ნახევრიდან დღევანდლამდე. მაგ., მ. ვ. ლომონოსოვის შრომები, გამოცემული რუსეთის აკადემიის მიერ ავრეთვე სხვა გამოცემები. დიდი ნაწილი ფონდში უჭირავს ომისშემდგომ საბჭოთა გამოცემებს. ბიბლიოთეკა მოსკოვის სამეცნიერო ბიბკოლექტორიდან იღებს რუსული გამოცემების ფასიან სავალდებულო ცალებს. ამის შედეგად რუსული წიგნების ფონდი უზრუნველყოფილია ახლად გამოსული თითქმის ყველა გამოცემით.

უცხოური წიგნების ფონდი შედგება 61000 ტომისაგან. ფონდში მოცემულია წიგნები უცხოურ ენაზე მეცნიერების ყველა დარგიდან, როგორიცაა: ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მედიცინა, ტექნიკა, საზოგადოებრივი მეცნიერებანი. განსაკუთრებით საყურადღებოა სამეცნიერო ლიტერატურა ქართველოლოგიის დარგში ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, ჩეხურ, უნგრულ და სხვა ენებზე. უცხოური წიგნების ფონდი ყოველწლიურად ივსება 4—5 ათასი ტომით.

ქართული და რუსული პერიოდიკის ფონდში არის 475000 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა. საბჭოთა გამოცემებიდან აღსანიშნავია სსრკ და მოკავშირე მეცნიერებათა აკადემიების, უნი-

ვერსიტეტებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ გამოცემული ჟურნალები, კრებულები, ბიულეტენები და სხვა პერიოდული გამოცემები.

უცხოური პერიოდიკის ფონდი ითვლის 35000 ნომერს. სრულად არის წარმოდგენილი პერიოდული გამოცემები მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ბიოლოგიის, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებიდან. აქ არის უცხოური ჟურნალების როგორც ორიგინალები, ისე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ფოტოპირები. ბიბლიოთეკის ფონდში არის უახლესი უცხოური პერიოდული გამოცემები ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, ჩეხურ, უნგრულ, ფრანგულ და სხვა ენებზე. ყოველწლიურად ბიბლიოთეკაში შემოდის 200-ზე მეტი სახელწოდების უცხოური პერიოდული გამოცემა აკადემიის ინსტიტუტების პროფილის მიხედვით.

ბიბლიოგრაფიული და საცნობარო ფონდი შეიცავს 16000 ტომს. მასში შეგროვილია საყურადღებო ბიბლიოგრაფიული გამოცემები, ენციკლოპედიები, განმარტებითი ლექსიკონები, ცნობარები, ლიტერატურა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში და სხვა. უცხოური გამოცემებიდან საყურადღებოა:

1. **Encyclopaedia Britannica. Vol. I—XXIV.**
2. **Encyclopedia Italiana di scienze, lettere ed arti. Vol. I—XXXV.**
3. **Larousse du XX-e Siécle. T. I—VI.**
4. **McGraw—Hill Encyclopedia of Science and Technology Vol. I—XV.**
5. **The Oxford English Dictionary. Vol. I—XII.**
6. **The Encyclopedia Americana. Vol. I—XXX.**

ამ ფონდში მოიპოვება აგრეთვე სსრკ და საქ. სსრ წიგნის პალატის მიერ გამოცემული სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიები.

იშვიათი წიგნების ფონდში 1600 ტომია. ამ ფონდში ინახება მეტად ძვირფასი გამოცემები: ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ლათინურ ენებზე. იშვიათი ფონდი ინახება ძირითად წიგნსაცავში და მისი გაცემა შინ არ წარმოებს. იშვიათი წიგნების ფონდიდან შეიძლება დავასახელოთ: „სადღესასწაულო“ 1805 წელს გამოცემული მოსკოვში. წიგნი შედგენილია სინოდის წევრის არქიეპისკოპოსის ვარლამ ქსნის ერისთავის შრომითა და ცენზურით. იშვიათ ფონდშია სამკურნალო ლიტერატურა „შტაბ-

ლეკარის“ პეტრე კლაპიტონოვის მიერ გამოცემული და გადათარგმნილი ქართულ ენაზე „მოკლე ცარაბადინი“, მოსკოვი 1828 წელი.

შესანიშნავი გამოცემებია მ. ბროსესა და ჩუბინაშვილისა. „ქართლის ცხოვრება“ დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, თარგმნილი და გამოცემული მეცნიერებათა აკადემიის საიმპერატორო წევრის მ. ბროსეს მიერ. ნაწ. პირველი. სანკტპეტერბურღი, მეცნიერებათა აკადემიის სტამბა. თავფურცელი ქართულ და ფრანგულ ენაზე.

„ქართლის ცხოვრება“ დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. ნაწ. II. 1469—1800 წწ. გამოცემული ვ. ჩუბინოვისაგან. სანკტპეტერბურგი, სამეცნიერო აკადემიის სტამბა, 1854.

ჩუბინოვი, დ. ქართულ-რუსულ ფრანცაცული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ. 1840. სანკტპეტერბურგი.

საისტორიო მასალებით მდიდარია—საბინინის საქართველოს სამოთხე. გამოცემული პეტერბურღს. 1882.

რუსული გამოცემებიდან საყურადღებოა:

Маркс, К. Капитал. т. I 1878. С/П. Перевод с немецкого.

Писарек, С. Житие Петра Великого Императора. 1772. С/П.

უცხოური წიგნებიდან იშვიათ ფონდშია 1643 წელს გამოცემული:

Von den letzten Worten Davids. Wittemberg. 1643.

Arithmetica. Leipzig und Frankfurt am Main, 1693.

Heine, H.—Sämtliche Werke. T. IX. Stuttgart, 1640.

Rappolte, F.—Poetica Aristotelica Gipsial. 1679.

Lessing. G.—Schriften. Berlin, 1753.

Schiller. F.—Sämmtliche Werke. T. X, 1827. და სხვა მრავალი.

სამკითხველო დარბაზის ფონდი შედგება 10.000 ტომისაგან. ფონდში თავმოყრილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, აგრეთვე სამამულო და უცხოური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა. სამკითხველო დარბაზში თაროებთან დაშვება თავისუფალია, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო ოპერატიულად ისარგებლოს სამკითხველო დარბაზის ფონდით. აქვე გამოფენილია ახლადშემოსული სამეცნიერო პერიოდიკა, რომელიც სისტემატურად იცვლება.

ჯგუფური დამუშავების ფონდში ირიცხება 548000 ბეჭდური ერთეული. 1956 წელს შემუშავდა ბეჭდვით ნაწარმოებთა ჯგუფუ-

რი დამუშავების ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც წარმოებს შესაბამისი მასალის გადარჩევა. ბიბლიოთეკაში გარდა ისეთი ბეჭდური ნაწარმოებებისა, რომლებიც ინდივიდუალურად აღიწერება და აისახება კატალოგებში, შემოდის ისეთი მასალაც, რომელიც თავისი მნიშვნელობით არ მოითხოვს მთლიან ბიბლიოთეკურ დამუშავებას. ამგვარი მასალა მუშავდება გამარტივებული წესით, ჯგუფურად. მასალის ჯგუფური დამუშავება უზრუნველყოფს ბიბლიოთეკაში შემოსული ყველა ბეჭდური ერთეულის დაცვას, ამასთან ძირითადი კატალოგები განტვირთულია წვრილი ბეჭდური მასალის აღწერილობებისაგან. ბიბლიოთეკა ჯგუფურად ამუშავებს: ა) ადგილობრივი ორგანოების ოფიციალურ დოკუმენტალურ და სადირექტივო მასალას, ბ) საინსტრუქციო მასალებს, გ) პროგრამებს, დ) პლაკატურ-ფურცლოვან გამოცემებს, ე) ბლანკებს. ყველა ეს მასალა, როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდუალურად არ მუშავდება, არამედ შინაარსისა და გამოცემის ტიპის მიხედვით ჯგუფდება და მუშავდება ჯგუფურად. ჯგუფი სისტემატურ კატალოგში აისახება ერთ ბარათზე, მაგ., „სასწავლო პროგრამები მათემატიკაში საშუალო სკოლებისათვის 1960 წ.“.

გაცვლითი ფონდი შეიცავს 55500 წიგნსა და ჟურნალს. ესაა უმთავრესად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემები 1950 წლიდან დღემდე. განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო, ისტორიული, ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობის დარგის ლიტერატურა. ფონდის შედგენილობა ასეთია: 32.000 ქართული გამოცემაა, 22.000—რუსული, 1000 ტომი კი სხვა დანარჩენ ენებზეა გამოცემული. გაცვლითი ფონდიდან შინაგანი გაცვლის წესით მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების ბიბლიოთეკებს ეგზავნებათ რუსული გამოცემები და ქართულიდან მხოლოდ ის წიგნები და ჟურნალები, რომლებსაც რუსულ ენაზე აქვთ რეზიუმე. ხოლო საერთაშორისო გაცვლით პარტნიორებს ეგზავნებათ ლიტერატურა როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რეზიუმე. ყოველწლიურად გაცვლით ფონდში შემოდის საშუალოდ 10.000 წიგნი და ჟურნალი, საერთაშორისო და შინაგანი გაცვლით კი იგზავნება 7—8 ათასი ცალი.

ფონდების აღრიცხვა

ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვა არ წარმოადგენს ვიწრო ტექნიკურ სამუშაოს, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ბიბლიოთეკის

ძირითად სამუშაოსთან—ბიბლიოთეკის ფონდის დაკომპლექტებისა და მკითხველთა მომსახურებასთან. ოპერატიულად დაყენებული აღრიცხვა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა წიგნის ფონდის დაკომპლექტებაზე. აღრიცხვა ხელს უწყობს აგრეთვე ბიბლიოთეკის ფონდის, როგორც სოციალისტური საკუთრების, დაცვას. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის არსებობის პირველ წლებში აღრიცხვის საქმე არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. 1949 წლიდან ამ მდგომარეობას მიექცა სათანადო ყურადღება და შემოღებულ იქნა ლიტერატურის ჯამობრივი და ინდივიდუალური აღრიცხვა, რომელსაც აწარმოებს დაკომპლექტების განყოფილება.

ბიბლიოთეკაში ფონდების აღრიცხვა იწყება ახალი ლიტერატურის მიღებით. ახლადშემოსული ლიტერატურა მოწმდება თანმხლები დოკუმენტის მიხედვით და თუ დოკუმენტი არ ახლავს, დგება აქტი. თითოეული წიგნი მოწმდება მისი შინაარსისა და ღირებულების თვალსაზრისით, თანმხლებ დოკუმენტზე კეთდება სათანადო მინაწერი წიგნების მიღების შესახებ და წარმოებს წიგნების დათვგვა. ამის შემდეგ ახლადმიღებული წიგნების პარტია ტარდება ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში. ამავე წიგნში აღირიცხება გარიცხული წიგნები, ამიტომ ჯამობრივი აღრიცხვის წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება—შემოსვლისა და გასვლის. ჯამობრივი აღრიცხვის წიგნი ჯამდება კვარტალურად და წლიურად.

ბიბლიოთეკაში დადგენილია აღრიცხვის შემდეგი სისტემა:

ა) წიგნები აღირიცხება ტომების მიხედვით

ბ) ჟურნალები აღირიცხება ნომრების მიხედვით

გ) გაზეთები აღირიცხება კვარტალური კომპლექტების მიხედვით

დ) რუქები და მუსიკალური ნოტები აღირიცხება ფურცლების მიხედვით

ე) მიკროფილმები აღირიცხება რულონების მიხედვით

ვ) ფოტოპირები გვერდების მიხედვით

ზ) ტექნიკური ლიტერატურის სპეცსახეები ბეჭდური ერთეულების მიხედვით.

ინდივიდუალური აღრიცხვა წარმოებს საინვენტარო წიგნის საშუალებით, რომელიც მუდმივად ინახება ბიბლიოთეკაში. ინდივიდუალური აღრიცხვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბიბლიოთეკაში შემოსული თითოეული გამოცემა იწერება საინვენტარო წიგნში და ღებულობს საინვენტარო ნომერს. საინვენტარო წიგნში ასა-

ხულია ბიბლიოთეკის მთელი წიგნის ფონდი მისი არსებობის მანძილზე. თითოეული საინვენტარო წიგნი აკინძულია და ბეჭდით დამოწმებული ბიბლიოთეკის დირექტორის მიერ.

წიგნების ამოღება ბიბლიოთეკის ფონდიდან ხდება სიძველის, მკითხველთა მიერ მათი დაკარგვის, მოძველების გამო და ა. შ. ამოსაღები წიგნებისათვის დგება აქტი და დირექციის მიერ დამტკიცების შემდეგ ხდება წიგნების ამოღება.

შემოსული წიგნების აღრიცხვისა და ტექნიკური დამუშავების შემდეგ დაკომპლექტების განყოფილება წიგნებს გადასცემს სათანადო აქტით კატალოგების და დამუშავების განყოფილებას, რომელიც წიგნებს ამუშავებს დაახლოებით 7—10 დღეში, რის შემდეგ წიგნები გადაეცემა წიგნსაცავს, რომელიც ხელს აწერს აქტს წიგნების მიღებაზე და აქტს უბრუნებს დაკომპლექტების განყოფილებას, სადაც ის იკინძება სპეციალურ კაბრაში და ინახება მუდმივად.

მიუხედავად ფართობის სიმცირისა, ბიბლიოთეკამ მიაღწია წიგნების ფონდის კარგ დაცვას და დიდად გააუმჯობესა სანიტარულ ჰიგიენური პირობები წიგნსაცავში.

წიგნსაცავის განყოფილებასთან შექმნილია ჰიგიენისა და რესტავრაციის სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს წიგნების ფონდის დაცვას. სისტემატურად წარმოებს ფონდების გასინჯვა, რათა გამოვლინდეს წიგნები და ჟურნალები, რომელთაც ჭირდებათ რესტავრაცია ან სანიტარული დამუშავება. გარდა ამისა წარმოებს წიგნების გაწმენდა მტვრისაგან. წიგნები და ჟურნალები, რომელთაც ესაჭიროება ყდაში ჩასმა, ეგზავნება საამკინძაო სახელოსნოს. 1951—1960 წწ. ყდაში ჩასმულია 136.000 ცალი წიგნი და ჟურნალი.

წიგნოგრივი ფონდის დამუშავება და კატალოგების ორგანიზაცია

1949 წლამდე ბიბლიოთეკაში შემოსული ლიტერატურა არ მუშავდებოდა და ამდენად მკითხველებისათვის იგი მიუწვდომელი იყო. ამ მდგომარეობამ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დააყენა საკითხი სწრაფი წესით დამუშავებულიყო დაგროვილი ლიტერატურა. შედგენილიყო მკითხველისათვის ანბანური და სისტემატური კატალოგი, აგრეთვე ანბანური სამსახურებრივი კატალოგიც. ამ სამუშაოების შესრულებისათვის საკმაო რაოდენობით გამოიყო არასამტატო პერსონალის ხელფასის ფონდი. შედგა სპეციალისტთა ბრიგადა 15 კაცის რაოდენობით, რომლის ხელმძღვანელად მოწვეული იყო საქართველოს სსრ წიგნის პალატის მთა-

ვარი ბიბლიოგრაფი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი თინათინ ნაკაშიძე.

ბრიგადის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად წიგნობრივი ფონდის ბიბლიოთეკური დამუშავება დამთავრდა სამ წელიწადში. შედგა ანბანური და სისტემატური კატალოგი, რამაც საშუალება მისცა მკითხველებს ფონდის სრულად სარგებლობისა.

წიგნობრივი ფონდის დამუშავებისათვის სახელმძღვანელოდ მიღებული იყო რუსინოვის „ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილები" და საკავშირო წიგნის პალატის მიერ ამ ცხრილების დამატების სახით შემუშავებული ცვლილებანი, მიღებული საკავშირო წიგნის პალატის გამოცემებისათვის, პირველ რიგში ბეჭდური საკატალოგო ბარათებისათვის. როგორც ცნობილია, რუსინოვის წიგნი წარმოადგენს ცხრილებს, შედგენილს „საერთაშორისო ათწილადი კლასიფიკაციის" მე-5 გამოცემის საფუძველზე და შეკვეთილ-შესწორებულს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სინამდვილის გათვალისწინებით. ეს უკანასკნელი გამოიხატა ძირითადად ათწილადი კლასიფიკაციის მესამე განყოფილებაში, კერძოდ მის ქვეგანყოფილებაში: მარქსიზმ-ლენინიზმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კლასიფიკაციის დროს გამოყენებული იქნა რუსინოვის მიერ მიღებული ტრაპოვსკის ცხრილები, სადაც გათიშვა—მარქსიზმ-ლენინიზმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიას შორის, რომელიც საერთაშორისო ცხრილებში არის, თავიდან აცილებულია და მარქსიზმ-ლენინიზმში სკკპ თანმიმდევრობით ერთ მთლიანობაში არის მოცემული. წიგნების კლასიფიკაციასთან ერთად დგებოდა სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.

ბრიგადის მუშაობის დაწყებისას (1949 წლის სექტემბერი) „ბეჭდური ნაწარმოებების აღწერის ერთიანი წესები" გამოცემული არ იყო, ბრიგადა ხელმძღვანელობდა საკავშირო წიგნის პალატის მიერ მოკავშირე რესპუბლიკების წიგნის პალატებისათვის შედგენილი ინსტრუქციებით და ტიხომიროვისა და გ. ფირსოვის ანბანური კატალოგის ალბომით. ამ მასალების საფუძველზე ბრიგადის ხელმძღვანელმა თ. ნაკაშიძემ შეადგინა წიგნების აღწერის ინსტრუქცია ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის, რაც მოიწონა და დაამტკიცა დირექციამ. წიგნის მკითხველებთან მიახლოების მიზნით ბრიგადა ცდილობდა წიგნის შინაარსის მაქსიმალურად გახსნას, როგორც კლასიფიკაციის დროს, ისე ბიბლიოგრაფიული აღწერისას. ამ მიზნით გაფართოვდა საკატალოგო ბარათის მეოთხე აბზაცი, ე. ი. შენიშვნები და დეშიფრაცია—წიგნის სათაურისა და ქვე-

სათაურის შევსება—განმარტება. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შენიშვნების მიზანი იყო მკითხველს მისცემოდა ისეთი დამატებითი ცნობები, რომლებიც აღწერილობის ტექსტში გამოსატულებას ვერ პოულობდა. შენიშვნებში აღინიშნებოდა: 1) ცნობები ავტორისა და წიგნის აღწერილობის წყაროს შესახებ. 2) ცნობები წიგნის სათაურში ტექსტის ენის შესახებ. 3) გამოცემის თავისებურების შესახებ. 4) ცნობები წიგნის შინაარსის შესახებ—კრებულებისა და რჩეული ნაწარმოებების შინაარსის მოყვანა; წიგნის დამატებებისა და დართული მასალების არსებობა. 5) ცნობები აღნიშნული წიგნის კავშირის შესახებ სხვა ნაწარმოებებთან. (დამატება, ამონაბეჭდი და სხვა) 6. ცნობები დართული ბიბლიოგრაფიის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნების აღწერაში ფართოდ არის გამოყენებული დამხმარე აღწერილობები, როგორც დამატებითი, ისე მითითებითი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეული ნაწარმოებების კლასიფიკაციისას გამოყენებული იყო საკავშირო წიგნის პალატის გამოცდილება—დეტალური კლასიფიკაცია (თიოეული ნაწარმოები დაახლოებით 6—8 ინდექსი). ეს საშუალებას იძლევა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები მოთავსდეს ყველა იმ განყოფილებაში, რომელსაც ეხება ნაწარმოები.

ბრიგადამ მუშაობა დაამთავრა 1952 წელს. ბიბლიოთეკაში უკვე იყო კატალოგების მთელი სისტემა—წიგნების ანბანური და სისტემატური კატალოგი მკითხველებისათვის, აგრეთვე პერიოდული გამოცემების ანბანური და სისტემატური კატალოგი. კატალოგების შედგენამ ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვი გაზარდა და წიგნების ფონდი უფრო ოპერატიული გახადა.

როგორც ცნობილია, კატალოგი მოითხოვს სისტემატურ მოვლასა და რედაქციას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისად. მიუხედავად სისტემატური მეთვალყურეობისა კატალოგები მაინც არ იყო დაზღვეული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული რუბრიკა და მათი ფორმულირება არასწორად ასახავდა საკითხებს, ზოგიერთი განყოფილება მოითხოვდა გადაკეთებას. 1958 წელს ბიბლიოთეკის წინაშე დადგა სისტემატური კატალოგის რედაქციის საკითხი. ამ მიზნით დაისახა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

1. იმ განყოფილებების შემდეგი დეტალიზაცია, რომლებშიც დიდი რაოდენობით დაგროვდა ბარათები, და აქტუალური საკითხების ცალკე დამოუკიდებელ განყოფილებად გამოიყოფა.

2. რუბრიკების შევსება და მისი ფორმულირების შემოწმება.

3. სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ახალი გეოგრაფიული განმსაზღვრელების გამოყენება.

პირველ რიგში მთლიანად შეიცვალა მეცნიერების (001) განყოფილება. დეტალურად დამუშავდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განყოფილებები, შესწორდა პოლიტიკური ეკონომიის განყოფილება.

ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით გამოყენებული გეოგრაფიული მსაზღვრელები უსერხულობას ქმნიდა: ძნელდებოდა საბჭოთა კავშირის შესახებ ლიტერატურის წინ წამოწევა, ამასთან ერთად გათიშული იყო სსრ კავშირი და მოკავშირე რესპუბლიკები. მათ შორის მოთავსებული იყო საზღვარგარეთის სახელმწიფოების გეოგრაფიული მსაზღვრელები. ამ საქმის გამოსწორებაში დიდად დაგვეხმარა დოც. ნ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული გეოგრაფიული განმსაზღვრელების ახალი სქემა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. ამ სქემის მიხედვით პირველ ადგილზეა სსრ კავშირი (с თავისი დანაყოფებით) და შემდეგ მოდის სხვა სახელწოდებები (42) (43) და ა. შ. შესატყვისი ცვლილებები იქნა შეტანილი სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნობრივ საძიებელში.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე სისტემატური კატალოგის ხაზით. ახლად გაუკეთდა რედაქცია ისტორიული მატერიალიზმისა (МИ), და პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებების ისტორიული მატერიალიზმის განყოფილებაში შეიცვალა ან ახლად დაემატა 17 რუბრიკი, ხოლო პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებაში—52 რუბრიკი. ყველა შესწორება, რაც დაკავშირებული იყო პიროვნების კულტის საკითხთან შეტანილია. სისტემატურ კატალოგში დროულად პოულობდა ასახვას სკკპ და საბჭოთა მთავრობის ყველა ახალი დადგენილება. სისტემატურ კატალოგში ფართოდ აისახა ივნისის პლენუმის მასალები: გამოიყო ცალკე გამყოფი „ივნისის პლენუმი“, სადაც მოთავსებულია პლენუმის დადგენილება და პლენუმზე გამოსული ამხანაგების მოხსენებების აღწერილობები. გარდა ამ განყოფილებისა, ეს მასალები აისახა მრავალ ასპექტში: პარტიული

აგიტაცია,—ხელოვნება (7), ლიტერატურა (8). ამჟამად სისტემატური კატალოგის განყოფილებები შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

სურ. 5

დამუშავებისა და კატალოგების განყოფილების მთ. ბიბლიოთეკარი ე. ბერძენიშვილი განყოფილების სხვა სპეციალისტებთან, ერთად აწარმოებს წიგნების ბიბლიოთეკურ დამუშავებას

სისტემატური კატალოგის ძირითადი განყოფილებები და მათი თანმიმდევრობა.

0-ზოგადი განყოფილება
- 001+მეცნიერება
- 002—ბეჭდვითი სიტყვა. წიგნთმცოდნეობა. დოკუმენტაცია. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია.
  - 01—ბიბლიოგრაფია
  - 02—ბიბლიოთეკათმცოდნეობა
  - 03—ზოგადი ხასიათის ენციკლოპედიები
  - 05/07—პერიოდული ბეჭდვითი სიტყვა
  - 082—ზოგადი ხასიათის კრებულები
  - 091—ხელნაწერები

I—ფილოსოფია	IM, IMИ —მარქსისტული ფილოსოფია: —დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.
	I (C)—რუსული ფილოსოფია
	I Б —ბურჟუაზიული ფილოსოფია
	I [A—Я] — ცალკეულ ფილოსოფოსთა ნაშრომები და დოქტრინები, მათი ბიოგრაფიები და მათ შესახებ ნაწარმოებები.
	15—ფსიქოლოგია
	16—ლოგიკა
	17—ეთიკა

2—ათეიზმი. რელიგია

3K მარქსიზმ-ლენინიზმი	$_3$KI/$_3$K2 —მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები. მათი ნაშრომები, ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაწარმოებები მათ შესახებ.
	3КП —საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.
	3КИ—საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიები.
	3КСМ —საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კავშირი. ალკკ.

301—საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრებანი: სოციოლოგია.

308—პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ცხოვრება ცალკეული ქვეყნებისა.

31—სტატისტიკა

32—პოლიტიკა

33—ეკონომიური მეცნიერებანი. ეკონომიკა. პოლიტიკური ეკონომია.

34—სამართალი. კანონმდებლობა. იურისპრუდენცია.

35—ადმინისტრაციული სამართალი. მმართველობა. საბჭოთა აპარატი.

3 საზოგადოებრივი მეცნიერებანი	355/359—თავდაცვა. სამხედრო საქმე. —სამხედრო ტექნიკა. 36—სოციალური დახმარება. სოციალური უზრუნველყოფა. დაზღვევა. 37—სახალხო განათლება. 38—საქონელბრუნვა. ვაჭრობის ეკონომიკა. კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის ეკონომიკა. 39—ეთნოგრაფია. ყოფა-ცხოვრება. ფოლკლორი.
4 ენათმეცნიერება. ფილოლოგია.	41—ზოგადი ფილოლოგია. შედარებითი ენათმეცნიერება. 491.71—რუსული ენა. 499.962.1—ქართული ენა. 42/43—გერმანული ენები. 44/46—რომანული ენები. 47—ლათინური ენა 48—ბერძნული ენა. 49—დანარჩენი ენები.
5 მათემატიკა და ბუნებისმეტყველება	51—მათემატიკა. 52—ასტრონომია. გეოდეზია. კარტოგრაფია. 53—ფიზიკა. მექანიკა. 54—ქიმია. 548/549—კრისტალოგრაფია. მინერალოგია. 55—გეოლოგია. გეოფიზიკა. ფიზიკური გეოგრაფია. 56—პალეონტოლოგია. 57/59—ბიოლოგიური მეცნიერებანი.

6 გამოყენებითი მეცნიერებანი მედიცინა. ტექნიკა. სოფლის მეურნეობა.	60—ტექნიკის ზოგადი საკითხები 61—მედიცინა. ვეტერინარია. 62—საინჟინრო ხელოვნება. 63—სოფლის მეურნეობა 64—შინამეურნეობა. საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ტექნიკა. 65—მმართველობის ტექნიკა. კავშირგაბმულობა. ტრანსპორტი. პოლიგრაფიული წარმოება. 66/68—მსუბუქი მრეწველობა. 66—სამრეწველო ქიმია. ქიმიური ტექნოლოგია. 663—სამრეწველო მიკრობიოლოგია. 664—კვების მრეწველობა. პროდუქტების კონსერვირება. 69—საამშენებლო საქმე. შენობათა აგება.
7 ხელოვნება	796—ფიზკულტურა და სპორტი.
8 მხატვრული ლიტერატურა. ლიტერატურის თეორია. ისტორია, კრიტიკა.	
9 ისტორია. გეოგრაფია. ბიოგრაფია	902.6—არქეოლოგია. 902.7—ისტორიული ეთნოგრაფია.

სისტემატური კატალოგის რედაქციის პარალელურად მიმდინარეობდა სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნობრივი საძიებლის რედაქცია.

სისტემატური ყურადღება ექცეოდა ანბანურ კატალოგს, რომელიც ბიბლიოთეკაში არსებობს 1949 წლიდან. 1952 წლიდან პარტიის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით რედაქცია გაუ-

კეთდა სკკპ შესახებ არსებული ლიტერატურის მთელ აღწერილობებს. დიდი სამუშაო ჩატარდა XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე ანბანური კატალოგის რედაქციის ხაზით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სამუშაო, რომელიც ჩატარდა ქალაქებისა და ოლქების სახელწოდებათა შეცვლასთან დაკავშირებით. ასეთივე სამუშაო ჩატარდა პერიოდულ და გრძელდებადი გამოცემების ანბანურ კატალოგში. 1963 წლიდან ბიბლიოთეკამ დაიწყო ანბანური სამსახურებრივი კატალოგის სრულ წესრიგში მოყვანა, რომლის დასრულება გათვალისწინებულია 1964 წლის ბოლოსათვის.

პერიოდული და გრძელდებადი გამოცემები როგორც აღვნიშნეთ ასახულია ანბანურსა და სისტემატური კატალოგში. მოცემულ პერიოდში, რედაქცია გაუკეთდა პერიოდული გამოცემების ანბანურ კატალოგს, ხოლო სისტემატური კატალოგი გადაკეთდა პერიოდული გამოცემების სისტემატურ საძიებლად.

ბიბლიოთეკის კატალოგების სისტემას შეემატა ჯგუფურად დამუშავებული ლიტერატურის, მიკროფილმების, ფოტოპირებისა და გამოჩენილ მეცნიერთა კოლექციების კატალოგები.

მკითხველთა მომსახურება

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანა 1949 წლამდე წიგნობრივი ფონდის დაგროვება იყო. წიგნების ბიბლიოთეკური დამუშავება და მკითხველთა მომსახურება მანამდე არ წარმოებდა.

მიუხედავად ფართობის სიმცირისა, 1949 წლიდან ბიბლიოთეკამ მაინც დაიწყო მკითხველთა მომსახურება ლიტერატურის ადგილზე და შინ გაცემით. მოთხოვნილება ლიტერატურაზე ძალზე დიდი იყო, განსაკუთრებით ძველ გამოცემებზე, მაგრამ ბიბლიოთეკის ფონდებში ამ გამოცემების უქონლობის გამო მკითხველთა მოთხოვნებს „უარით“ უპასუხებდნენ. „უარის“ რაოდენობა საერთო მოთხოვნასთან შედარებით 21%-ს შეადგენდა. ამ მდგომარეობამ ბიბლიოთეკის წინაშე დააყენა ამოცანა, რათა გაეძლიერებინა ფონდების შევსება ძველი გამოცემებით, რისთვისაც დაუკავშირდა ბუკინისტურ მაღაზიებს არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვსა და ლენინგრადში, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. გარდა ამისა ბიბლიოთეკამ ცალკეულ მეცნიერ თანამშრომლებს მიმართა თხოვნით, გადმოეცათ ბიბლიოთეკისათვის თავიანთი ადრე გამოცემული

შრომები. ბიბლიოთეკის ამ თხოვნას მეცნიერები თანაგრძნობით შეხვდნენ. გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა გაძლიერდა წიგნების გაცვლით მიღება როგორც სსრკ უდიდეს ბიბლიოთეკებიდან, ისე უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებიდან, რის შედეგად ბიბლიოთეკის წიგნების ფონდის ხარისხობრივი შემადგენლობა გაუმჯობესდა „უარის“ რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

ბიბლიოთეკის არსებობის პირველ წლებში მკითხველთა ძირითად კონტიგენტს აკადემიის სისტემაში მომუშავე მეცნიერი მუშაკები შეადგენენ. უკანასკნელი წლების მანძილზე მკითხველთა კონტინგენტი გაფართოვდა, ლიტერატურა შინ სარგებლობისათვის ეძლევა ყველა მეცნიერ მუშაკს, მიუხედავად იმისა, თუ სად მუშაობს. გარდა ამისა ბიბლიოთეკა მომსაუხრებას უწევს სოფლის მეურნეობის მოწინავეებს და წარმოების ნოვატორებს, საბჭოთა და პარტიული აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს. 1949 წლიდან შესაძლებელი გახდა სამკითხველო დარბაზისათვის სათანადო ფართობის გამოყოფა, რამაც ადგილზე მომუშავე მეცნიერ მუშაკთა მომსახურება გააუმჯობესა. 10 წლის მანძილზე სამკითხველო დარბაზსა და აბონემენტზე მკითხველთა მომსახურების შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები: 1952—1961 წლებში სამკითხველო დარბაზში ლიტერატურით ისარგებლა 297139 კაცმა, წიგნების გაცემა 674815 ტომს შეადგენდა. 1961 წლისათვის აბონემენტზე ირიცხებოდა 3020 მკითხველი. 1952—1961 წწ. აბონემენტზე გაიცა 136211 ტომი.

წლიდან წლამდე იზრდება მკითხველთა მოთხოვნა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ასტრონომიისა და ტექნიკის დარგის ლიტერატურაზე.

აბონემენტზე გაცემული ლიტერატურა დარგების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

1. მარქსიზმ ლენინიზმის კლასიკოსები—22620 ტომი,
2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური—32240 ტომი
3. ბუნებისმეტყველება და მათემატიკა—32600 ტომი
4. სამეცნიერო ტექნიკური—37400 ტომი
5. ცოდნის სხვა დარგები—11351 ტომი

მკითხველებისათვის გაცემული ლიტერატურისა და წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობების ანალიზიდან ჩანს, რომ მეცნიერ მუშაკთა თემატიკაში წამყვანი ადგილი უკავია მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის საქმეს. მეცნიერ მუშაკთა თემატიკაში გაიზარდა ხვედრითი წონა ტექნიკური, ფიზიკა-მათემატიკური და ქიმიური

მეცნიერების, მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისა.

სურ. 6
მკითხველთა მომსახურების განყოფილების გამგე ე. აბაზაძე წიგნებს ურჩევს პროფ. ი. ანთელავას.

მკითხველთა მოზიდვისა და წიგნის პროპაგანდის საქმეს დიდად შეუწყო ხელი მკითხველთა მომსახურების ისეთი აქტიური მეთოდის დანერგვამ, როგორიცაა მკითხველთა თავისუფალი დაშვება თაროებთან. წარმოებასთან კავშირის განმტკიცებისა და ტექნიკური ლიტერატურის მდიდარი ფონდების სრულად გამოყენების მიზნით ბიბლიოთეკამ 1960 წ. გახსნა ფილიალი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით. ფილიალი ემსახურება საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალს. ფილიალში ფართოდ არის გამოყენებული მკითხველთა თავისუფალი დაშვება წიგნის თაროებთან.

მარტო 1962 წელს ფილიალის 610 მკითხველზე გაიცა 4876 წიგნი და ჟურნალი. გაიცა ისეთი ტექნიკური წიგნები, რომლებზეც წლების მანძილზე მოთხოვნა არ იყო.

ფილიალის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკკპ XXII ყრილობის და სკკპ ცკ პლენუმების გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. სისტემატურად ეწყობა ფილიალში ახალი წიგნების გამოფენები და თემატიკური გამოფენები. თემატიკური გამოფენებიდან აღსანიშნავია: „დიფუზია ლითონებსა და შენადნობებში“, „ლითონების რჩილვა“, „ლითონების ჯგუფური დამუშავება“ და სხვა მრავალი. ფილიალის გამგე ამხ. რ. ხაიკინი გაზეთში სისტემატურად ათავსებს ანოტაციებს ახლადშემოსულ წიგნებზე.

ფილიალის მხრივ დროული და ეფექტიური დახმარება ხელს უწყობს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს და მუშა-მოსამსახურეებს აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია, დაეუფლონ მოწინავე და პროგრესულ ტექნოლოგიას, დანერგონ ავტომატიზაცია და მექანიზაცია წარმოებაში.

ერთ-ერთი წამყვანი ინჟინრის წერილობითი განცხადებით, ფილიალი დაეხმარა მათ ახალი ტექნიკის დანერგვაში. მაგ... ჰიდროწნეხების მოდერნიზაციით მიღებული ეკონომია შეადგენს 4 ათას მანეთს ხოლო ერთ-ერთი სპეცმოწყობილობის დაპროექტებამ მისცათ 3,5 ათასი მანეთის ეკონომიური ეფექტი.

ფილიალის კარგ მუშაობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი. რომ საკ. ალკკ ცკ-ის მდივანმა ამხ. ი. ტორსუევმა, რომელიც ესტუმრა ფილიალს, გულთბილი სიტყვები თქვა მისი მისამართით საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობაზე. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ფილიალის მკითხველთა დიდ ნაწილს შეადგენს ახალგაზრდობა, ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ძირითადად ტექნიკური ლიტერატურით სარგებლობენ.

ამხ. ი. ტორსუევმა აღნიშნა ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექციის დამსახურება, რომელმაც გამოიჩინა ინიციატივა ფილიალის დაარსებაში.

„უარის“ შემცირების მიზნით ბიბლიოთეკა ფართოდ იყენებს სსრკ უდიდესი ბიბლიოთეკებიდან ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით წიგნების მიღებას. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მიღებულია 35170 წიგნი და პერიოდული გამოცემა, რითაც დიდი დახმარება გაეწია მეცნიერ მუშაკებს სამეცნიერო გეგმების შესრულებაში. ბშა-თი ლიტერატურას ვიღებთ 180 ბიბლიოთეკიდან. მათ შორის აღსანიშნავია: ვ. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკა, მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, მოსკოვის საჯარო ისტორიული, ლე-

ნინბრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, საგარეო ვაჭრობის ცენტრალური ბიბლიოთეკა, სსრკ სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა და სხვა.

სურ. 7
ფილიალის გამგე საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი რ. ხაიკინი ურჩევს წიგნებს ფილიალის მკითხველებს.

ბშა-თი სამეცნიერო სამამულო და უცხოურ ლიტერატურას ბიბლიოთეკა ღებულობდა აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების ცენტრალური ბიბლიოთეკებიდან.

ბშა-თი მიღებული წიგნებიდან დავასახელებთ ზოგიერთს:

Анализы некоторых кавказских вин, 1889.

Шереф ад-дин Зафир Намэ, 1957.

Сборник. Природные богатство Северо-кавказского края, 1936.

Гумбольдт, А.—География растения, 1936.

Материалы по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. I—II—III—IV.

Paulsen—Das Problem der Empfindung, 1907.

The Journal of the Royal Asiatic Society, 1914.

Roger, A. English and American Philosophy Since 1800.

Strange, G.—Baghdad during the Abbaside Galiphate, Oxford, 1900.

Tables of Interatom Distances and Configuration in Molecules and Ions. London, 1958.

Pridham, J.—Phenolics in Plants, in Health and Disease, 1960.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავის მხრივ სამეცნიერო ლიტერატურას უგზავნის ბელორუსიის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ესტონეთის სსრ, სომხეთის სსრ და სხვა რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკებს; აგრეთვე კრასნოდარის სამეცნიერო-ტექნიკურ, ბიბლიოთეკას, ხარკოვის ცენტრალურ სამედიცინო ბიბლიოთეკას და საქართველოს რესპუბლიკის მასობრივ ბიბლიოთეკებს. ბიბლიოთეკის ფონდებით 131 სამეცნიერო დაწესებულებამ და ბიბლიოთეკამ ისარგებლა. ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გაიცა 15800 წიგნი და ჟურნალი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მიღების შემდეგ ბშა-თი წიგნების მიღება და გაცემა კიდევ უფრო გაფართოვდა.

უკანასკნელ წლებში ბიბლიოთეკამ დანერგა მკითხველთა მომსახურების კიდევ ერთი საინტერესო ფორმა—საერთაშორისო აბონემენტი.

საერთაშორისო აბონემენტის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი, ისე უცხოეთის მეცნიერებისათვის. მომსახურების ეს ფორმა სამეცნიერო ლიტერატურით, ურთიერთდახმარების საუკეთესო საშუალებაა და ხელს უწყობს საბჭოთა მეცნიერების მიღწევების პროპაგანდას ჩვენი ქვეყნის გარეთ.

1959 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ დაამტკიცა საერთაშორისო აბონემენტის ინსტრუქცია, რის შემდეგ ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ აკადემიის მეცნიერი მუშაკებისათვის უცხოეთიდან მიიღო ბევრი მეტად საჭირო სამეცნიერო წიგნი და პერიოდიკა.

ლიტერატურა მიღებულია აკად. ი. ბერიტაშვილისათვის, აკად. ა. ბოჭორიშვილისათვის, აკად. ს. დურმიშიძისათვის, დოც. ნ. ორლოვსკაიას და სხვებისათვის.

საერთაშორისო აბონემენტით მიღებული წიგნებიდან შეიძლება დავასახელოთ:

Przywara. E.—Drei Richtungen der Phänomenologie Bd. 115, 1928.
Abhandlungen der Internationalen Vereinigung für Brückenbau und Hochbau. Bd. 3 Zürich, 1935.
International Review of Neurobiology. Vol. 1, New York and London, 1959.
Gröben, M.—Konstruktive Psychologie und Erlebnis. Stuttgart, 1934.
Roffenstein, G.—Das Problem des psychologischen Verstehens. Göttingen, 1926.
Travaux du Laboratoire de Géologie de la Faculté des Sciences de l'Université de Grenoble Vols. 25,26,27, 1947.
Baemmler, A.—Das Problem der Allgemeingültigkeit in Kants Ästhetik, 1915.

„უარის" შემცირების საქმეში ბიბლიოთეკა ფართოდ იყენებს მიკროფილმების მიღებას და ᲑᲨᲐ-თი მიღებული წიგნების მიკროფილმირებას, ბიბლიოთეკის ფოტოლაბორატორიის საშუალებით.

სურ. 8
სამკითხველო დარბაზი

მკითხველთა მომსახურების ხარისხზე დიდად მოქმედებს წიგნების თავის დროზე მიწოდება. შენობის მოუხერხებლობის გამო

ბიბლიოთეკას არ აქვს საშუალება წიგნების მიწოდების საქმეში ტექნიკის გამოყენების, მიუხედავად ამისა წიგნების მიწოდებისათვის საჭირო დრო 10—15 წუთს არ აღემატება. ეს მდგომარეობა მიღწეულია მოთხოვნის პუნქტის და წიგნსაცავის შეთანხმებული მუშაობით. წლების მანძილზე ამ დარგში წარმატებით მუშაობდნენ თანამშრომლები: ს. ხადური, ნ. ჯგუშია, ე. ჯერენაშვილი, ა. ჩოჩიევა, ე. აბაზაძე, ბ. ყოჩიაშვილი, ა. მიქაძე, ნ. ამაშუკელი, მ. სოლოღაშვილი და სხვა.

გარდა ამისა სამკითხველო დარბაზისათვის დამხმარე ფონდის გამოყოფამ და თაროებზე მკითხველთა თავისუფალმა დაშვებამ საგრძნობლად გააუმჯობესა მკითხველთა მომსახურება.

სამეცნიერო და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის როლი. ამ დარგში ბიბლიოთეკის მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობასთან. მკითხველთა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას ახორციელებს სამეცნიერო და საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება. 1951 წლიდან საცნობო-ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო მუშაობა ფართოდ ვითარდება. თუ 1952 წელს ამ დარგში ერთი თანამშრომელი მუშაობდა, 1964 წლისათვის 10 თანამშრომელი მუშაობს. გაუმჯობესდა ბიბლიოგრაფიული მუშაობის ხარისხი. ბიბლიოთეკა იყენებს ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. გარდა მკითხველთა ინდივიდუალური მომსახურებისა ბიბლიოთეკა ბიბლიოგრაფიული ცნობებით ფართო მომსახურებას უწევს რესპუბლიკის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. ბიბლიოთეკის ფონდების გაცნობისათვის ეწყობა თათბირები და წიგნების მიმოხილვები, კონსულტაციები, კატალოგებთან მორიგეობა, ახლადშემოსული წიგნების გაგამოფენები და სხვა. 1950 წლიდან ყოველთვიურად გამოდიოდა ახლადშემოსული საინფორმაციო ბიულეტენი 200 ცალის რაოდენობით. სადაც წიგნების დასახელება მოცემული იყო მეცნიერებათა დარგების მიხედვით. მასში აღნიშნული იყო წიგნების ტოპოგრაფიული შიფრიც. საინფორმაციო ბიულეტენი ეგზავნებოდა აკადემიის ნამდვილ წევრებს და სხვა მეცნიერ მუშაკებს, რომელთა შორის დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. სამწუხაროდ, ამ ბიულეტენის გამოცემა ამჟამად შეწყდა.

დიდ დახმარებას უწევს მკითხველებს ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობები და თემატური ბიბლიოგრაფიები მეცნიერების წამყვანი პრობლემების შესახებ, რომელთა გადაჭრაზე მუშაობს მეცნიერებათა აკადემია.

წერილობითი ცნობების შედგენისას გამოიყენება შემდეგი ბიბლიოგრაფიული წყაროები: ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები — ზოგადი სისტემატური კატალოგი, მიმდინარე პერიოდული გამოცემების ანალიტიკური კარტოთეკა, ავტორეფერატების, რეცენზიების კარტოთეკები, კარტოთეკა-პერსონალია, უცხოური ლიტერატურის ბეჭდური კარტოთეკა, აგრეთვე რეფერატული ჟურნალები, ანოტირებული ბიბლიოგრაფიული ჟურნალები, მატიანეები და სხვა ბიბლიოგრაფიული გამოცემები.

ბიბლიოთეკამ მკითხველებისათვის შეადგინა ბიბლიოგრაფიული სიები: „ნახევრადგამტარები", „ლუმინესცენცია და ლუმინესცენტური ანალიზი", „რადიოსპექტროსკოპია", „თირკმლების გადანერგვა", „სახალხო-ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერება საქართველოს სსრ-ში", „ინგლისის კომპარტიის ბრძოლა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის", „მწერალი, მოაზროვნე იბ.—ტუფეილი" და სხვ.

აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტებისათვის შედგა შემდეგი წერილობითი ცნობები „ახალი ტექნიკისა და ავტომატიზაციის ეკონომიური ეფექტი მრეწველობაში (1956—1961 წწ.)". „Водные и не водные суспензии, применяемые в нефтебурении" „საკისართა გამოსაცდელი მანქანები", „ინერტული გაზების გაწმენდა შერევა", „მუდმივი მაგნიტების დასამზადებელი შენადნობების მიღების ტექნოლოგიური პროცესი", „ვაზის ქლოროზი", „ატმის და ყურძნის შედგენილობაში შაქრის მჟავეების და წყლის რაოდენობა", „საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებაში შერწყმა", მუშათა კონტროლი წარმოებაზე", „პატრიოტიზმის სწავლება სკოლაში" და სხვა მრავალი. გაცემული წერილობითი ცნობები დიდ დახმარებას უწევდა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს სამეცნიერო გეგმების შესრულების საქმეში.

გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის შედგენილია წერილობითი ცნობა „ულტრაბგერი სხივების გამოყენება მეცნიერებასა და მრეწველობაში", „შავი ბახის ჩაის ფერმენტაცია". საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მანქანა-ავტომატების ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროსთვის: „თიხის ჭურჭლის დამზადების კუსტარული წესი" და სხვ.

გარდა ჩვენი მკითხველებისა, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული სიებით ისარგებლეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა. ასე მაგ., სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კოლის ფილიალის ბიბლიოთეკას გაეგზავნა: „ქარვის შემცვლელი მადნის გამდიდრება“, 2. „ფოსფორიტების გამდიდრება“. იგივე ბიბლიოგრაფიული სიები გაეგზავნა ვ. ი. ლენინის სახ. სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკას და სხვა დაწესებულებებს. ქ. ვორკუტის მცხოვრებს ა. პოპოვს: „მიკროელემენტები და ფერმენტები“. დაღესტნის კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს: „საკონსერვო მრეწველობა“, „საკონსერვო მრეწველობის ბაზა“. მოსკოვის იშვიათ ელემენტთა მინერალოგიის, გეოქიმიისა და კრისტალოქიმიის ინსტიტუტის ეკონომიკის ლაბორატორიას: „მიკროელემენტები ბიოლოგიასა და მედიცინაში“. ლუგანსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს: „ხახვი“. ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს—„ჰორმონები“. ქ. აბაკანის მცხოვრებს ამხ. ბ. ხოვრატოვიჩს—„ქართული ფოლკლორი“ და სხვ.

ცენტრალური ბიბლიოთეკა წლების მანძილზე დიდ დახმარებას უწევს სსრკ-ის და საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებს სხვადასხვა თემაზე ბიბლიოგრაფიების შედგენის საქმეში. ასე მაგალითად, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიისათვის შედგენილი იქნა ბიბლიოგრაფია „საქართველოში გამოქვეყნებული მასალები გ. დიმიტროვის შესახებ“.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისათვის შედგენილია ბიბლიოგრაფია თემაზე „ინდოეთი, ლიტერატურა ქართულ ენაზე“. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტისათვის—„უ. შექსპირი ქართულ ენაზე“.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკისათვის შედგა ბიბლიოგრაფია „საქართველოში გამოქვეყნებული ტ. შევჩენკოს ნაწარმოებები და ლიტერატურა მის შესახებ“.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის თხოვნით შედგენილია საშუალო საუკუნეების ისტორიის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ცნობარი, ე. წ. „ახალ პოტჰასტში“ შესატანად ძველი საქართველოს ისტორიის ქართული, სომხური და არაბულ-სპარსულ-თურქული წყაროების ბიბლიოგრაფია რომელშიც შესულია 123 სახელწოდების საისტორიო ძეგლი. აღნიშნული ბიბლიოგრაფიის შედგენას ხელმ-

ძღვანელობდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ლორთქიფანიძე.

მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებისათვის ბიბლიოთეკამ შეადგინა დასაბეჭდად „ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ლიტერატურის ბიბლიოგრაფია“. სპეციალისტებს შორის ამ ბიბლიოგრაფიამ მოწონება დაიმსახურა. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ბ. პიოტროვსკი ბიბლიოთეკის კოლექტივს გულთბილ მადლობას უთვლის.

ბიბლიოთეკის არქივში არის მრავალი დადებითი რეცენზია და მადლობის წერილი, გამოგზავნილი სხვადასხვა დაწესებულებისა და ცალკეული პირების მიერ. ასე მაგალითად, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ვ. დონჩაკი შემდეგი შინაარსის წერილს გვწერს: „С благодарностью подтверждаем получение библиографического списка: „Литература о жизни и творчестве Т. Г. Шевченко, напечатанная в Грузии на грузинском и русском языках“.

Этот ценный список, тщательно составленный сотрудниками Вашей библиотеки, будет с большой пользой использован нами в работе над библиографией Т. Г. Шевченко.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი გვწერს: Очень признательны Вам за присланный Вами материал по библиографии стран Юго-восточной Азии на грузинском языке. Он, несомненно, принесет нам большую пользу при составлении нашего Указателя“.

ბიბლიოთეკამ მოცემულ პერიოდში გამოსცა 19 შრომა ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ:

ბურჯანაძე პ., კამალოვი, ნ. და ყურაშვილი, ბ. ბიბლიოგრაფია ადამიანის, ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჰელმინთებზე და ჰელმინთოზებზე საქართველოში (1865 წლიდან 1955 წლამდე) რედ. ბ. ყურაშვილი. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1956. 53 გვ. საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

გიორგიძე გ., და კარტოზია გ., საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი. რედ. ვ. უზნაძე, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1962. გვ. 203. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

გუგუნავა ე., და ნებიერი, ვ. ივანეს სოლომონის-ძე ბერიტაშვილი. შესავალი სტატია პროფ. ს. ნარიკაშვილისა. რედ. ს. ნარიკაშვილი თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1957. გვ. 128. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია და თბილისის სახელმწ. უნ-ტი).

ლორთქიფანიძე ნ., ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები სსრ კავშირში. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1960. გვ. 105. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

ლორთქიფანიძე ნ., საგნობრივი კატალოგი. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959, 99 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრ. სამეცნიერო ბიბ-კა).

ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნ. 1. 1829—1917. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა თ. მაჭავარიანმა. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1954. გვ. 34. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია (ცენტრალური სამეცნ. ბიბ-კა და კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწ. საჯარო ბიბ-კა).

ოთაროვა ა., და გენძეხაძე ე., ტარას შევჩენკო. საქართველოში გამოქვეყნებული ტ. შევჩენკოს ნაწარმოებებისა და მის შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. რედ. ვ. უზნაძე: თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963, გვ. 91. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრ. სამეცნიერო ბიბლიოთეკა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა ბიბლიოგრაფია. 1937—1956 წწ. შემდგენელი ე. ჟუჟუნაძე. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959, გვ. 944. (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

ჩაშვებულია დასაბეჭდად აკადემიის სტამბაში და უკვე იბეჭდება შემდეგი შრომები:

1. ე. არჯევანიძე—ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა.
2. თ. მაჭავარიანი—ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწილი II. 1917—31 წწ. კ. მარქსის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად.
3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა ბიბლიოგრაფია, ტ. 2. (1957—60 წწ.).
4. ნ. ლორთქიფანიძე—ბეჭდური პროდუქციის განსაკუთრებული სახეების კატალოგიზაცია, 6 საავტ. თაბახი.

ბიბლიოთეკის მუშაობის პირველ წლებში მასობრივ მუშაობას ეწეოდა მკითხველთა მომსახურების განყოფილება. 1958 წლიდან ამ მუშაობას ხელმძღვანელობს სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული

სურ. 9

მორიგი ბიბლიოგრაფი ა. სელეზნოვა თემატიკური კარტოთეკიდან წიგნებს ურჩევს მკითხველს

განყოფილება. მასობრივი მუშაობა მკითხველთა შორის ფართოდ ვითარდება, ეწყობა ლიტერატურის გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები, ლექციები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.
წარსულ წლებთან შედარებით ლიტერატურის გამოფენებმა მიიღო გეგმიანი ხასიათი, საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ გამოფენებთან ერთად ეწყობოდა თემატური გამოფენები. 1957 წლიდან 1961 წლის ჩათვლით მოეწყო 508 თემატური გამოფენა, ფარებზე გამოფენილი იყო 77500 წიგნი და ჟურნალი ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილი თემატური გამოფენებიდან შეიძლება დავასახელოთ: „კიბერნეტიკა ბიოლოგიაში", „მცენარეთა ფოტოსინთეზი და განვითარება", „დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი", „სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა" (მუდმივმოქმედი), „მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები საქართველოში".

საგამოფენო მუშაობაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიის XX, XXI და XXII ყრილობისა და ცკ-ის პლენუმების მასალების პროპაგანდას. მოეწყო სერია გამოფენებისა, რომლებიც შეეხებოდა აღნიშნული ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკითხებს. ასე მაგალითად, დევიზით „XX ყრილობის შესახვედრად" გამოფენილი იყო ლიტერატურა სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მდგომარეობის შესახებ.

საგამოფენო მუშაობაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სკკპ XXII ყრილობის მასალების პროპაგანდას. ბიბლიოთეკაში გახსნილია დიდი გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია XXII ყრილობის შესახებ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა.

გარდა თემატური გამოფენებისა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სისტემატურად ეწყობა ლიტერატურის გამოფენები, როგორც მაგალითად, „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი", „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი", „დარვინის დაბადების 150 წლისთავი", „სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი", „თბილისის 1500 წლისთავი" და სხვა. საბჭოთა თვალსაჩინო მეცნიერის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის 70 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო ლიტერატურის დიდი გამოფენა. ლიტერატურის გამოფენები ეწყობოდა აგრეთვე სხვა ქართველ და საბჭოთა მეცნიერთა იუბილეებთან დაკავშირებით.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიასთან დაკავშირებით 1955 წლის 24 ნოემბერს ქ. თბილისში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში მოეწყო ამ აკადემიების ბეჭდური პროდუქციის გამოფენა. მან დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოებაში და დიდად შეუწყო ხელი მოძმე რესპუბლიკების სამეცნიერო პროდუქციის ურთიერთგაცნობის საქმეს.

1959 წლის 8—15 ივნისს სსრ კავშირის წიგნის განყოფილებამ ჩვენი ბიბლიოთეკის შუამდგომლობის საფუძველზე პირველად მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ქ. თბილისში სამხატვრო გალერიის შენობაში მოაწყო გერმანული წიგნის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სამეცნიერო და ტექნიკური ხასიათის გამოცემები (2000 ეგზემპლიარამდე) გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკებიდან. გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად. მან საშუალება მისცა ქართველ მეცნიერებს, გაცნობოდნენ გერმანიაში გამოცემულ უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას. გარდა ამისა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ და სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა შეიძინა მრავალი ძვირფასი გამოცემა. მაგალითად, ფიზიკის ინსტიტუტმა გამოფენიდან შეიძინა: Handbuch der Physic“ 30 ტომი.

ბიბლიოთეკა სისტემატურად აწყობს მკითხველთა კონფერენციებს, რომელსაც მკითხველთა დიდი რაოდენობა ესწრება. მკითხველთა მოზიდვას კონფერენციებზე ხელს უწყობს თემატიკის აქტუალობა და მომხსენებელთა მაღალკვალიფიციურობა. ჩატარებულ კონფერენციებიდან შეიძლება დასახელებული იქნას „რუსეთთან—უკრაინის შეერთების 300 წლისთავი“. ცალკეულ საკითხებზე მოხსენებები გააკეთეს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. ანჩაბაძემ—რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წელი და ნ. რიბაკის „პერიასლავის რადა“. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ასათიანმა—„ლესია უკრაინკა და საქართველო“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ო. გვინჩიძემ—ნ. წერეთელი უკრაინული ხალხური შემოქმედებითი ძეგლების შემკრები და გამომცემელი“, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. გვარამაძემ—„უკრაინა და დ. გურამიშვილი“.

მეორე კონფერენცია მიეძღვნა ავტომატური თარგმანის საკითხს. მოხსენება გააკეთა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა შ.

ჭიჭინაძემ; სიტყვით გამოვიდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თ. შარაძენიძე და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. გონიაშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკიდან სინას მთისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების მიღებასთან დაკავშირებით 1956 წლის 5 ივლისს ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია თემაზე „სინას მთისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის“ მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ი. აბულაძემ, სიტყვებით გამოვიდნენ აკად. ა. შანიძე, აკად. გ. წერეთელი და პროფ. ს. ყაუხჩიშვილი.

ბიბლიოთეკამ ჩაატარა მკითხველთა კონფერენცია თემაზე „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა და გაბრიელ მცირის უცნობი მემუარული თხრობანი“ მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ლოლაშვილმა, სიტყვებით გამოვიდნენ აკად. ა. ბარამიძე და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ფირალიშვილი.

1959 წელს ჩატარდა მკითხველთა ორი კონფერენცია თემაზე— „დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური რაკეტები“. მომხსენებელი—აკად. ე. ხარაძე, „ინფორმაციის გარდაქმნისა და გადაცემის პრობლემა მეცნიერებაში“, მომხსენებელი—კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ჭავჭანიძე.

1961 წელს ჩატარდა მკითხველთა 3 კონფერენცია მათ შორის შეიძლება დავასახელოთ „კიბერნეტიკის ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილების შუქზე“ მომხსენებელი—მეც. კანდიდატი რ. სხირტლაძე, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორი“, მომხსენებელი—მეცნ. კანდიდატი გ. გარსევანიშვილი.

მკითხველები კონფერენციებზე ყოველწლიურად ისმენენ დირექციის მოხსენებას ბიბლიოთეკის მუშაობის გეგმისა და ანგარიშის შესახებ.

ბიბლიოთეკა სისტემატურად ატარებს ლექციებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის, სსრკ საერთაშორისო მდგომარეობის, მეცნიერების, ტექნიკის და სხვა საინტერესო საკითხებზე.

ბიბლიოთეკის მუშაობას მკითხველთა მომსახურების საქმეში დადებით შეფასებას აძლევენ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. აქ ჩვენ მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანის შთაბეჭდილებას და სურვილებს ბიბლიოთეკის

კოლექტივის მუშაობაზე: აკადემიკოსი ა. ბოჭორიშვილი „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა ახალგაზრდა დაწესებულებაა. მისი შესაძლებლობანი და ფუნქციები მცირეც რომ იყოს, გასაგები და საპატიო იქნებოდა. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. ბიბლიოთეკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასაკის სიმცირემ მას ვერ დააჩინა უარყოფითი კვალი. იგი ისე ასრულებს თავის საპატიო მოვალეობას, როგორც ხანგრძლივი გამოცდილებით აღჭურვილი დაწესებულება. ეს უმთავრესად მისი თანამშრომლების დამსახურებაა. ბიბლიოთეკის ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო იყო არა მარტო მძლავრი მატერიალური ბაზა, არამედ და პირველ რიგში, ადამიანის მაღალი კულტურა, მთელი გულით მუშაობა და შრომის რაციონალური მეთოდების მუდმივი ძიება. ეს გარემოება არა მარტო შეუგნიათ ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომელთ, არამედ მთელი თავისი არსებით განუცდიათ და თავისი მოღვაწეობის შინაარსად უქცევიათ. ერთ-ერთი შედეგი ამგვარი შრომისა ისაა, რომ ეს ბიბლიოთეკა მის მომხმარებელ-მეცნიერთა ცნობიერებაში წარმოდგენილია, როგორც უაღრესად ახლობელი და საიმედო, როგორც ისეთი ინსტანცია, რომელიც გვაკავშირებს ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების აზროვნების ცენტრებთან. არ შეიძლება არ უსურვო ასეთ დაწესებულებასა და მის მესვეურებს ახალი მიღწევები და შეუჩერებელი განვითარება“.

ლენინური პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა სულ რაღაც 15 წლის მანძილზე გადაიქცა ძლავრ საბიბლიოთეკო კერად, რომელიც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მეცნიერების ყველა დარგის მუშაკებს. ეხოლოდ თავისი საქმის დიდ ენთუზიასტებს, ყეთილშობილი შრომის დიდ პატრიოტებს, შეეძლოთ მოკლე ხნის განმავლობაში ასეთი მდიდარი ფონდების შექმნა, ასეთი სანიმუშო წესრიგისა და მკითხველთა მომსახურების მაღალი კულტურის დანერგვა, რომელიც ასე გვხიბლავს ყველას, ვისაც გვიხდება ხოლმე ბიბლიოთეკის თანამშრომლების ხშირი შეწუხება.

მაღალ შეფასებას იმსახურებს აგრეთვე ის დიდი მუშაობა, რომელსაც ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაკები ეწევიან უცხო ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან ცხოველი ურთიერთობის დასამყარებლად. ამის შედეგად, სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლის გზით, ბიბლიოთეკა უცხოეთიდან იღებს უახლოეს გამოცემებს, რაც უცილობლად ამდიდრებს მის ფონდებს. მეორე მხრივ, ამის მეოხე-

ბით ჩვენი სამეცნიერო პროდუქციაც ფართოდ იკვლევს გზას მსოფლიოს ყველა დიდ სამეცნიერო ცენტრისაკენ, რაც უკვლობლად დიდ სამსახურს უწევს ქართული საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდის საქმეს.

მინდა ვუსურვო ბიბლიოთეკის მუშაკებს შემდგომშიც ასევე თავდადებულად და წარმატებით ემუშაოთ და თავისი წვლილი შეეტანოთ ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში".

ფილიალის მკითხველი ბ. ცარევი: „Мне как постоянному читателю филиала хотелось давно рассказывать о большом значении филиала для наших читателей и особенно для воспитания технических кадров из нашей молодежи.

большой выбор книг, исключительно оперативное обслуживание потребностей нужными книгами Со стороны сотрудника тов. Р. С. Хайкина, его внимательность к запросам читателей, делают филиал ценнейшим учреждением для нашего посетителя.

От многих читателей я часто слышу благодарность организаторам филиала, считаю ее вполне заслуженным и присоединяю к ней свою благодарность. Не знаю, уместно ли, но скажу откровенно что обслуживание нас, читателей, со стороны Романа Семеновича может служить самым лучшим примером для подражания. За это ему очень большое спасибо".

მეთოდური მუშაობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებში მუშაობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აკადემიის პრეზიდიუმის 1959 წლის 10 დეკემბრის დადგენილებას, რომლის თანახმად 1960 წლის თებერვლის თვეში ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან ინსტიტუტების ბიბლიოთეკების მუშაობის სახელმძღვანელოდ შეიქმნა მეთოდური განყოფილება.

განყოფილებამ დაარსების დღიდან გაშალა ნაყოფიერი მუშაობა. უპირველეს ყოვლისა, ადგილზე შეისწავლა აკადემიის სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკების საქმიანობა, შეიმუშავა მათი მუშაობის გეგმებისა და აღრიცხვის ფორმები. გარდა ამისა, აღნიშნულ ბიბლიოთეკებს სისტემატური დახმარება ეწეოდა მეთოდურ და პრაქტიკულ-ორგანიზაციულ საკითხებში. ინსტიტუტის ბიბლიოთე-

კის გამგეებს და მათ თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებოდათ კონსულტაციები, თათბირები, ლექციები და სემინარები, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის საკითხებზე. განყოფილება აქტიურად ეხმაურებოდა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სკკპ ცკ-ის დადგენილებების განხორციელებას აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებში.

მაგ. 1963 წელს ჩატარდა 902 ინდივიდუალური და 10 ჯგუფური კონსულტაცია, 4-ჯერ მოეწყო ლიტერატურის მიმოხილვა. მეთოდური განყოფილების დახმარებით შედგა 15 სარეკომენდაციო სია ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკითხებზე.

ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილება აქტიურ მონაწილეობას იღებდა აკადემიის გარეშე მოწყობილ ღონისძიებებშიც. მაგ. საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის ინიციატივით მოწყობილ თათბირში, რომელიც 1962 წლის 25 ოქტომბერს შედგა თბილისში, ტექნიკის სახლში, განყოფილების წარმომადგენელი გამოვიდა მოხსენებით: „საკავშირო სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის გამოცემების გამოყენება აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებში“.

ბიბლიოთეკის მეთოდურ განყოფილებას მჭიდრო საქმიანი კონტაქტი აქვს დამყარებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტთან და მის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტთან. მათთან ერთად ჩატარდა ერთობლივი ღონისძიებები: მეთოდური სემინარი მკითხველთა ინფორმაციის ფორმებისა და მეთოდების საკითხებზე, ტექნიკურ ბიბლიოთეკებში უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის გამოყენების შესახებ და ა. შ.

აკადემიის სისტემის ტექნიკური ბიბლიოთეკების თანამშრომლები სისტემატურად ესწრებიან საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტთან არსებულ მუდმივმოქმედ სემინარს. აღნიშნულ სემინარზე მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელმა წაიკითხა მოხსენება: „ტექნიკური ბიბლიოთეკების საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა“.

1963 წლის 24—27 მაისს მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელი ე. ჟუჟუნაძე მივლინებული იქნა ქ. ერევანს ამიერკავკასიის ტექნიკური ბიბლიოთეკების მუშაკთა თათბირ-სემინარზე საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობისა და უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციაზე გადასვლის შესახებ. თათბირის მასალები და დასკ-

ვნები შემდეგში მოსმენილ იქნა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების მეთოდურ სემინარებზე.

ამავე საკითხებს მიეძღვნა უფრო ადრე 1963 წლის 13 თებერვალს აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების თათბირი, რომელმაც აირჩია მეთოდური კომისია და დაავალა მას აკადემიის სისტემაში უნივერსალური ათწილად კლასიფიკაციაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

სურ. 10
მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელი საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი ე. ჟუჟუნაძე კონსულტაციას უტარებს ინსტიტუტების ბიბლიოთეკების მუშაკებს

ბიბლიოთეკის შტატი და მატერიალური პირობები

როგორც ავღნიშნავდით ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკის შტატი დაარსების პირველ წლებში განისაზღვრებოდა 14 ერთეულით.

თანამშრომელთა აღნიშნული რაოდენობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკას არ ქონდა დებულება, არც სტრუქტურული დანაყოფები. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო იმგვარად, რომ ძალზე მცირე იყო ბიბ-

ლიოთეკარ სპეციალისტთა რაოდენობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის არა ერთი შუამდგომლობისა სსრკ სახელმწიფო საშტატო კომისიის წინაშე უშედეგოდ რჩებოდა წლების მანძილზე. 1954 წელს მიღწეულ იქნა დამატებითი საშტატო



სურ. 11.

ერთეულების მიღება 13 ერთეულის რაოდენობით, მათ შორის დირექტორის მოადგილისა სამეცნიერო ნაწილში. საშტატო ერთეულების მიღებამ ნაწილობრივ გააუმჯობესა ბიბლიოთეკის მუშაობა. მიმდინარე დაკომპლექტებით მიღებული ლიტერატურის ბიბლიოთეკური დამუშავება საშტატო თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა, ხოლო ძველი წლების დაგროვილი ლიტერატურის ბიბლიოთეკური დამუშავება ხდებოდა არასაშტატო პერსონალის ხელფასის ფონდით მოწვეულ სპეციალისტთა ბრიგადის მიერ. 1956 წლიდან საშტატო ერთეულების მიღება გეგმაზომიერი გახდა. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ღებულობს 8—10 საშტატო ერთეულს რამაც ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი. 1964 წ. 1 იანვრისათვის ბიბლიოთეკის შტატი შეადგენდა 74 ერთეულს, მ. შ. 55 საბიბლიოთეკო პერსონალია. 51 უმაღლესი განათლებითაა, მ. შ. 2 მეცნიერებათა კანდიდატია, ხოლო 2 მალე დაიცავს დისერტაციას. ეს ის თანამშრომლებია, რომლებიც ბიბლიოთეკამ მოსკოვისა და ლენინგრადის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ინსტიტუტში გააგზავნა ასპირანტურაში მოსამზადებლად. საბიბლიოთეკო პერსონალიდან 29 კაცს უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლებითაა. ბიბლიოთეკის დირექცია ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებასა და დაწინაურებას დიდ ყურადღებას აქცევს. ბიბლიოთეკაში მოცემული პერიოდის განმავლობაში უმთავრესად მიღებული არიან ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო-პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, რომლებთანაც სათანადო მუშაობა წარმოებდა პრაქტიკული დახელოვნების საქმეში. ბიბლიოთეკის სამეცნიერო ნაწილი წლიბის მანძილზე ატარებს მუდმივმოქმედ სემინარს, რომლის მუშაობაში ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა სპეციალისტები. დამუშავდა ბევრი საინტერესო მოხსენება ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის საკითხებზე.

ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი იქნა დაწინაურებული. მაგალითად, ნ. გურგენიძე დამუშავებისა და კატალოგების განყოფილების გამგედ; ა. ირემაშვილი—სამეცნიერო ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგედ (ორივე ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია) და სხვა.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება. თუ 1951 წ. დამტკიცებული ჰქონდა 61190 მანეთი (ახალი გაანგარიშებით), მ. შ. მეხუთე მუხლით 23100 მანეთი,

1963 წლისათვის დამტკიცებული იყო 182371 მანეთი, ხოლო მეხუთე მუხლით 86250 მანეთი. ბიბლიოთეკას დაფინანსების მხრივ შეფერხება არ ჰქონდა.

ბიბლიოთეკა დაარსებიდან ფართობის მხრივ სივიწროვეს განიცდიდა. ის მოთავსებულია აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8) 1949 წელს მას ეკავა ორი ოთახი 96 კვ. მეტრის ფართობით და სარდაფი, სადაც მოთავსებული იყო დამუშავებული წიგნები. პრეზიდიუმის ძირითად შენობიდან გეოფიზიკისა

სურ. 12
დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ს. ხადური ატარებს მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობას.

და ენერგეტიკის ინსტიტუტების გადასვლის შემდეგ ბიბლიოთეკა გაფართოვდა, მას გადაეცა ამ ინსტიტუტების მიერ განთავისუფლებული ფართობი და აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და გამომცემლობის საწყობები. გარდა ამისა საბურთალოზე მეცნიერებათა ქალაქში მიიღო 300 კვ. მეტრი ფართობი, სადაც მოწყობილია ფოტო-ლაბორატორია და მოთავსებულია ბიბლიოთეკის არაოპერატიული ფონდი. ამჟამად ბიბლიოთეკას უჭირავს 1500 კვ. მეტრი ფართობი. ძირითადი ფონდი მოთავსებულია პრეზიდიუმის მთავარი შენობის ცოკოლის სართულში. პირველ-

სართულზე მოთავსებულია მკითხველთა მომსახურების განყოფილება და სამკითხველო დარბაზი. პრეზიდიუმის შენობის ეზოში არსებულ ფლიგელში მოთავსებულია დაკომპლექტებისა და დამუშავებისა და კატალოგების განყოფილებები. მესამე სართულზე მოთავსებულია დირექცია და უცხოური სექტორი. ფართობის მხრივ ბიბლიოთეკა ამჟამადაც სივიწროვეს განიცდის, მაგრამ ეს მდგომარეობა მალე გამოსწორდება: 1965 წლის პირველ ნახევრისათვის დამთავრდება ბიბლიოთეკის ახალი შენობის აგება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1950 წელს ბიბლიოთეკის დირექციას დაავალა შეედგინა ახალი შენობის აშენებისათვის საბურთალოზე, ცირკის მოპირდაპირე მხარეს, (აკადემიის ქალაქის ტერიტორიაზე პრეზიდიუმის მთავარი კორპუსის გვერდით) საპროგრამო დავალება. საპროგრამო დავალება შედგენილ იქნა იმავე წელს და გადაეცა მთავარ არქიტექტორ გ. ლეჟავას და არქიტექტორ ვ.ლიბერმანს. მათ 1952 წლისათვის დაამთავრეს ბიბლიოთეკის შენობის პროექტის შედგენა, რომელიც შემდეგ წლებში დახუსტდა და შესწორდა. უკვე 1953 წელს შენობის პროექტი დაამტკიცა აკადემიის პრეზიდიუმმა და დაავალა კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას სათანადო თანხის დაგეგმვა და მშენებლობის სატიტულო სიაში შეტანა, მაგრამ სხვადასხვა ფინანსური დაბრკოლებების გამო შენობის მშენებლობა დაიწყო მხოლოდ 1962 წელს.

ბიბლიოთეკის შენობა ოთხსართულიანი იქნება. მშენებლობაში გამოყენებულია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები, ბიბლიოთეკის მშენებლობის როგორც სამამულო, ისე უცხოური გამოცდილება. მშენებლობის პირველი რიგი გათვალისწინებულია 6 მილიონი ტომისათვის, ხოლო მეორე რიგის მშენებლობა—4 მილიონი ტომისათვის. წიგნსაცავში წიგნები განლაგდება სისტემატური წესით (მეცნიერებათა დარგების მიხედვით), ბიბლიოთეკას ექნება საერთო სამკითხველო დარბაზი 200 კაცისათვის, 6 დარგობრივი სამკითხველო დარბაზი თავის დამხმარე წიგნობრივი ფონდით. მკითხველთა დიფერენციალური მომსახურებისათვის,—პერიოდიკის განყოფილების სამკითხველო დარბაზი, აკადემიკოსების ცალკე მომსახურებისათვის ეწყობა ბოქსები. მომსახურე პერსონალი მოთავსდება ცოკოლსა და პირველ სართულზე, მკითხველთა მომსახურების განყოფილება კი II და III სართულზე. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იქნება კონდიციური ჰაერით. შენობის პროექტი ისეა შედგენილი,

რომ მაქსიმალურად გაუმჯობესდეს მკითხველთა მომსახურება და ნაკლები დრო დაიხარჯოს წიგნის მკითხველთათვის მიწოდებაზე.

1958 წელს ქ. თბილისში ჩატარებულმა სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკების დირექტორების თათბირმა მოისმინა დოც. ნ. ლორთქიფანიძის მოხსენება და არქიტექტორ გ. ლეჟავას თანამოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პროექტის შესახებ. თათბირმა დაადგინა: „Совещание директоров библиотек Академии наук СССР и академий наук союзных республик, заслушав сообщение о проекте здания для Центральной научной библиотеки Академии наук Грузинской ССР одобряет его основные положения и рекомендует библиотекам использовать в проектных заданиях на строительство опыт планирования нового здания библиотеки Академии наук Грузинской ССР“.

ბიბლიოთეკის შენობის პროექტის ნახაზები გამოცდილების გაზიარების მიზნით მოითხოვს, მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების ცენტრალურმა ბიბლიოთეკებმა, აგრეთვე უნგრეთისა და ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკებმა. ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობას დიდ დახმარებას უწევდნენ აკადემიის პრეზიდიუმი და კაპიტალური მშენებლობის განყოფილება.

ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობა ისეთ სტადიაშია, რომ ის ნამდვილად დასრულდება 1965 წელს. ამით საშუალება მიეცემა ბიბლიოთეკას გაშალოს ფონდები და მკითხველებად მიიღოს არა მარტო მეცნიერ მუშაკები არამედ მოსახლეობის ფართო მასა.

აკადემიის სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკებისა და ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმთან არსებული საბიბლიოთეკო საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ აკადემიკოსები: ი. კაჭარავა, ი. ვეკუა, ა. შანიძე, გ. ძოწენიძე, ი. დოლიძე. ამჟამად საბჭოს ხელმძღვანელობს აკად. მ. საბაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი საბიბლიოთეკო საბჭოს წარმოდგენით ყოველი წლის ბოლოს თავის სხდომაზე ისმენს ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ და სახავს ღონისძიებებს ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პრეზიდიუმი დიდი ყურადღებით ეკიდება ბიბლიოთეკის მოთხოვნილებებს და იღებს ზომებს მათ დასაკმაყოფილებლად. სწო-

რედ ამის შედეგია ის, რომ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ სათანადო ადგილი დაიჭირა რესპუბლიკის დიდ ბიბლიოთეკებს შორის და მოწინავე ბიბლიოთეკად ითვლება მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკებს შორის.

პრეზიდიუმის ბიბლიოთეკის გამგედ 1941 წლის მარტიდან 1942 წლის აპრილამდე მუშაობდა ა. იურკინა. 1942 წლის აპრილიდან 1945 წლის იანვრამდე — თ. მაქსიმელაშვილი. 1945 წლის იანვრიდან 1945 წლის აგვისტომდე—ე. ჟუჟუნაძე.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორებად მუშაობდნენ: დოცენტი გ. გიორგიძე 1945 წლის აგვისტოდან 1948 წლის ივნისამდე, დ. ფურცელაძე,—1948 წლის ივნისიდან 1948 წლის ოქტომბრამდე. 1948 წლის ოქტომბრიდან 1949 წლის ივლისამდე დირექტორის მოვალეობას ასრულებდა მთ. ბიბლიოთეკარი ე. ჟუჟუნაძე. 1949 წლის ივლისის თვიდან ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე მოწვეულ იქნა ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც დღესაც განაგრძობს მუშაობას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკათა დირექტორების თათბირებს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დელეგატები საქმიან მონაწილეობას ღებულობდნენ აღნიშნული თათბირების მუშაობაში, გამოდიოდნენ მოხსენებებითა და სიტყვებით დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე, შექონდათ საქმიანი თეორიული და პრაქტიკული წინადადებები. სულ ჩატარდა 7 თათბირი.

პირველი თათბირი მოწვეული იქნა 1949 წლის ოქტომბრის თვეში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წიგნის განყოფილებისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის მიერ. თათბირზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმოდგენილი იყო მოხსენებით თემაზე „ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის დაკომპლექტებისა და შემდგომი ამოცანების შესახებ".

მეორე თათბირი 1950 წელს ჩატარდა ქ. ლენინგრადში. თათბირს ხელმძღვანელობდა ლენინური პრემიის ლაურეატი სოცია-

ლისტური შრომის გმირი აკად. ნ. ნალიკინი, იმხანად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი.

მესამე თათბირი 1951 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარდა ქ. მოსკოვში. დღის წესრიგში იყო 10 საკითხი, მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის მოხსენება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ“.

მეოთხე თათბირი ჩატარდა 1955 წლის ნოემბერში ქ. ლენინგრადში. ამ თათბირზე საქართველოს დელეგაციამ შეიტანა წინადადება თათბირები ჩატარებულიყო მოკავშირე რესპუბლიკებში, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საბიბლიოთეკო საბჭოს მონაწილეობით არა ყოველწლიურად, არამედ ორ წელიწადში ერთხელ. აღნიშნული წინადადება მიღებულ იქნა და მეხუთე თათბირის ჩატარების ადგილად მიჩნეულ იქნა ქ. თბილისი. ამ გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი დადებითად შეხვდა და გამოყო ორგკომიტეტი თათბირის წარმატებით ჩატარებისათვის. თათბირი ჩატარდა 1958 წლის ნოემბრის თვეში. დღის წესრიგში იყო 3 საკითხი. აქედან 2 საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ ჩვენი ბიბლიოთეკის წარმომადგენლები. ეს მოხსენებები იყო: „საერთაშორისო და შინაგანი წიგნთგაცვლის მდგომარეობა და ამოცანები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში“ და „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი შენობის საპროექტო დავალება“.

მეექვსე თათბირი 1960 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარდა ქ. კიევში დღის წესრიგში იყო 10 საკითხი. მ. შ. შეიძლება დავასახელოთ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტის ვ. შუნკოვის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და აკადემიური ბიბლიოთეკების ამოცანები“.

შეშვიდე თათბირი ჩატარდა ქ. რიგაში 1962 წელს აგვისტოს თვეში. დღის წესრიგში იდგა 8 საკითხი. მათ შორის აღსანიშნავია დოც. ს. ველენსკაიას მოხსენება „აკადემიური ბიბლიოთეკების კატალოგების რედაქტირება XXII ყრილობის შუქზე“.

მერვე თათბირის ჩატარება გათვალისწინებულია ალმა-ატაში. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა აქტიურ მონაწილეობას

ღებულობდა სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციების მიერ მოწყობილ თათბირებშიც. სსრკ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ 1961 წლის მაისში ჩატარდა ამიერკავკასიის ბიბლიოთეკების მუშაკთა სარესპუბლიკათშორისო თათბირი. თათბირი მიეძღვნა სკკპ XXII ყრილობისათვის მზადებას. მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი აკადემიის ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა. ასევე აქტიურად მონაწილეობდა ბიბლიოთეკა სსრკ კულტურის სამინისტროსა და ვ. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის მიერ 1960 წლის იანვრის თვეში მოწვეულ თათბირში მხარეთმცოდნეობის საკითხებზე და ა. შ.

1953 წელს ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ შეისწავლა საკითხი აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის შესახებ და აკადემიის პრეზიდიუმს განსახილველად წარუდგინა წინადადებები ინსტიტუტების ბიბლიოთეკების არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლის შესახებ. ჩვენი აზრით, ინსტიტუტების ბიბლიოთეკები უნდა გადაიქცნენ ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფილიალებად, ლიტერატურის შეძენა მოხდება ცენტრალიზებული წესით, შტატი დაექვემდებარება ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, ე. ი. ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში თავს მოიყრის აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების ადმინისტრაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა.

აღნიშნული ორგანიზაციის შედეგად:

1. საინსტიტუტო ბიბლიოთეკების ლიტერატურით დაკომპლექტების საქმეს მიეცემა გეგმიანი ხასიათი და ამ მიზნით თანხების გამოყენება უფრო რაციონალური იქნება.

2. მოწესრიგდება ფილიალების საკატალოგო მეურნეობა. წიგნი ბიბლიოთეკურად დამუშავდება ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, უფრო კვალიფიციური მუშაკების მიერ, ფართოდ იქნება გამოყენებული წიგნის პალატის ბეჭდური ბარათები, რომლის ერთი ცალი დარჩება ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეერთებული კატალოგისათვის. ამით ინსტიტუტების ბიბლიოთეკის მუშაკები განთავისუფლდებიან ყველაზე შრომადი სამუშაოსაგან და მათი მთავარი ამოცანა იქნებოდა მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესება.

3. ცენტრალიზაცია ხელს შეუწყობს ბიბლიოგრაფიული მუშაობის კოორდინაციას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

პრეზიდიუმმა 1953 წ. 30 აპრილს განიხილა აღნიშნული საკითხი და დროებით აღნიშნული ღონისძიების გატარება გადადო. დღეისათვის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას დავალებული აქვს ინსტიტუტების ბიბლიოთეკების, მეთოდური ხელმძღვანელობა; ხოლო ცენტრალიზებული წესით წარმოებს საერთაშორისო წიგნთგაცვლა და უცხოური ლიტერატურის გამოწერა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შეეეცადეთ დაგვეხასიათებინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობა მისი არსებობის 23 წლის მანძილზე. მოყვანილი მასალები ადასტურებს, რომ ბიბლიოთეკის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც მის წინაშე იყო დაყენებული.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვლილი პერიოდი საინტერესოა არა მარტო ბიბლიოთეკათმცოდნეებისათვის, არამედ სამეცნიერო საზოგადოების ფართო მასებისთვისაც. სულ მალე დადგება ის დრო, რომ თანამედროვე ტექნიკა, პირველ რიგში კიბერნეტიკა ფართოდ შევა ბიბლიოთეკების მუშაობაში, რაც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკის კოლექტივს კიდევ უფრო გააუმჯობესოს მუშაობა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის წარმატებით განხორციელებისათვის.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

I—XI

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1964 წლის 14 მაისის № 197 დადგენილების დანართი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულება

I. ზოგადი ნაწილი—ბიბლიოთეკის მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა წარმოადგენს აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებას და იმყოფება საქართველოს სსრ მეცნიერებათა პრეზიდიუმის გამგებლობაში.

2. ბიბლიოთეკის ძირითად ამოცანებს შეადგენს:

ა. მეცნიერების ყველა დარგიდან ბეჭდვითი და ხელნაწერი წიგნების შეკრება, დაცვა და მათი ბიბლიოგრაფიული და ბიბლიოთეკური დამუშავება;

ბ. აკადემიის გამგებლობაში მყოფი ყველა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების, აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტების, აგრეთვე ყველა მეცნიერი თანამშრომლის, წარმოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა და მოწინავეთა მომსახურება ბეჭდვითი და ხელნაწერი ნაწარმოებებით;

გ. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციების და ფართო მოსახლეობის მომსახურება ბიბლიოგრაფიული ცნობებით;

დ. სამეცნიერო მუშაობა ბიბლიოგრაფიის და ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში;

ე. მეთოდური ხელმძღვანელობა აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების მიმართ;

3. ამ ამოცანათა განხორციელებისათვის ბიბლიოთეკა

ი. აგროვებს და იცავს ბეჭდვითი ნაწარმოებებს და მეცნიერული ღირებულების მქონე ხელნაწერებს;

ბ. ავსებს თავის ფონდებს უცხოური მნიშვნელოვანი გამოცემებითა და ხელნაწერებით მეცნიერების ყველა დარგიდან;

გ. აწარმოებს წიგნების გაცემას თავის დარბაზებში და კაბინეტებში; ბიბლიოთეკის გარეთ გასცემს წიგნებს აკადემიის ნამდვილ წევრებზე და წევრ-კორესპონდენტებზე, აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლებზე; აგრეთვე წარმოების ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე, მრეწველობისა და სოფლის ნოვატორებსა და მოწინავეებზე.

დ. აწყობს წიგნების გამოფენებს, ატარებს ლექციებს, კონსულტაციებს და კონფერენციებს ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკითხებზე;

ე. მკითხველთა სრულად მომსახურების მიზნით, ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის საფუძველზე, იღებს წიგნებს საბჭოთა კავშირის სხვა ბიბლიოთეკებიდან და ამავე საფუძველზე აწვდის თავის წიგნებს სხვა ბიბლიოთეკებს.

ვ. აწვდის საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეებსა და დაწესებულება-ორგანიზაციებს მის ფონდებში დაცულ იშვიათ გამოცემებს. ხელნაწერებს, ფოტო-პირებს და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში მოთავსებული მნიშვნელოვანი წერილების თარგმანებს;

ზ. მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე ადგენს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს და აწვდის მათ მეცნიერ მუშაკებს და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, აგრეთვე სამეცნიერო და სამეურნეო დაწესებულებებს;

თ. ადგენს ბიბლიოგრაფიულ სიებსა და მიმოხილვებს; აწარმოებს სამეცნიერო მუშაობას ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში; აწყობს სამეცნიერო სხდომებს; საჭიროებისამებრ უკავშირდება სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს;

კ. გამოცემს მის მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიებს და ნაშრომებს ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში;

ლ. უწევს აკადემიის სისტემაში შემავალ ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ბიბლიოთეკებს სამეცნიერო მეთოდურ ხელმძღვანელობას.

II. ბიბლიოთეკის დაკომპლექტება

4. ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტება წარმოებს შემდეგი საშუალებებით:

ა. საბჭოთა კავშირის ბეჭდვითი პროდუქციის ფასიანი საავალდებულო ცალების მიღებით;

ბ. ხარჯთაღრიცხვით გამოყოფილ თანხებით ბეჭდვითი და ხელნაწერ ნაწარმოებთა შეძენით;

გ. სხვა ბიბლიოთეკებთან და დაწესებულებებთან წიგნების გაცვლით.

III. მკითხველთა მომსახურება

5. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკით სარგებლობა სწარმოებს მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამტკიცებული წესების მიხედვით.

6. ბიბლიოთეკის მუშაობის საათებს აწესებს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

7. ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანის უფლებით სარგებლობენ აკადემიის ნამდვილი წევრები, წევრ-კორესპონდენტები და აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერი თანამშრომლები, აგრეთვე წარმოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები და მოწინავეები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხელნაწერები, ძველნაბეჭდი წიგნები, იშვიათი გამოცემანი, ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის წესით მიღებული წიგნები და საცნობო წიგნები გაიცემა მხოლოდ სამკითხველო დარბაზში.

8. ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებით სარგებლობა შეუძლია ყველა მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან.

9. ბიბლიოთეკათშორის აბონემენტს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა უხსნის სამეცნიერო, სპეციალურ, საოლქო და საქალაქო ცენტრალურ ბიბლიოთეკებს.

10. ბიბლიოგრაფიული ცნობები მკითხველებსა და დაწესებულება ორგანიზაციებს მიეცემა იმ ბიბლიოგრაფიული კარტოთეკებისა და ცნობების საფუძველზე, რომლებიც ცენტრალური ბიბლიოთეკის განკარგულებაში მოიპოვება; წინააღმდეგ შემთხვევაში მიეთითება მკითხველს იმ წყაროზე, საიდანაც მას შეუძლია ცნობის ამოკრება. პირველადი მასალების გადასინჯვითა და დამუშავებით ცნობები მიეცემა მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს, წევრ-კორესპონდენტებს და მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებებს.

IV. ბიბლიოთეკის სტრუქტურა

11. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

ა. დირექცია

ბ. დაკომპლექტებისა და წიგნთგაცვლის განყოფილება

გ. დამუშავებისა და კატალოგების განყოფილება

დ. წიგნის დაცვის განყოფილება

ე. მკითხველთა მომსახურების განყოფილება

ვ. სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიის განყოფილება

ზ. მეთოდური განყოფილება

თ. სამეურნეო-ადმინისტრაციული ნაწილი.

12. ბიბლიოთეკასთან შეიძლება დაარსებულ იქნეს დამხმარე საწარმოები: საამკინძაო სახელოსნო, ფოტოლაბორატორია, საღურგლო და სხვა.

13. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებებთან, რომელთაც არ აქვთ ბიბლიოთეკები, ცენტრალურ ბიბლიოთეკას შეუძლია ჰქონდეს ფილიალები.

V. ბიბლიოთეკის მმართველობა

14. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკის სრული გამგებლობა და ხელმძღვანელობა ეკისრება ბიბლიოთეკის დირექტორს, რომელიც პასუხისმეგებელია აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე ბიბლიოთეკის მუშაობისა და მისი მდგომარეობისათვის.

15. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორს ნიშნავს საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

16. ბიბლიოთეკის დირექტორს ჰყავს მოადგილე, რომელიც ეხმარება მას მოვალეობის შესრულებაში და სცვლის მას მისი არყოფნის დროს.

17. დირექტორის მოადგილეს ნიშნავს და ათავისუფლებს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ბიბლიოთეკის დირექტორის წარდგენით.

18. ბიბლიოთეკის დირექტორი ერთპიროვნულად განაგებს ბიბლიოთეკის მუშაობას; ის აძლევს მიმართულებას ბიბლიოთეკის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობას და ხელმძღვანელობს

ადმინისტრაციულ და ფინანსიურ სამეურნეო საქმიანობას; კერძოდ: დირექტორს ევალება:

ა. ბიბლიოთეკის საქმიანობაზე მისი ფონდების დაცვაზე, შევსებაზე, დამუშავებაზე და ბიბლიოთეკის ყველა ორგანოების ფუნქციონირებაზე ზრუნვა და მეთვალყურეობა.

ბ. ბიბლიოთეკის სახელით ურთიერთობა სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან;

19. ბიბლიოთეკის მუშაობის ძირითადი საკითხების განსახილველად და შესასწავლად დირექტორთან არსდება ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ბიბლიოთეკის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სწავლული მდივანი, ძირითად განყოფილებათა გამგეები, მთავარი ბიბლიოთეკარები და ბიბლიოგრაფები, კონსულტანტები და მეცნიერებათა აკადემიის თითოეული განყოფილებიდან ერთი წარმომადგენელი.

შენიშვნა: ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭოს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას მოიწვიოს სხდომაზე სხვადასხვა დარგის მეცნიერები და სპეციალისტები.

20. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

21. ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭო განიხილავს ბიბლიოთეკის სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის ძირითად საკითხებს, როგორიცაა:

ა. ბიბლიოთეკის სტრუქტურასთან და მის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი;

ბ. ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმები და ანგარიშები;

გ. სამეცნიერო მუშაობის თემები, ბიბლიოგრაფიულ და ბიბლიოთეკათმცოდნეობის თემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები;

დ. ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტების საკითხები;

ე. განყოფილებათა დებულებები, სამუშაო ინსტრუქციები და წესები, მკითხველთა მომსახურებისა და წიგნების ფონდის ორგანიზაციის საკითხები;

ვ. ბიბლიოთეკაში შესრულებული სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების საკითხი;

ზ. სხვადასხვა საკითხები, რომელთაც დააყენებს ბიბლიოთეკის დირექტორი საბჭოს წინაშე.

12. სამეცნიერო საბჭოს დადგენილებანი ძალაში შედიან ბიბლიოთეკის დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ.

23. სამეცნიერო საბჭოს სხდომები იმართება არანაკლებ ერთისა კვარტალში.

24. ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ბიბლიოთეკის დირექტორი ან მისი არყოფნის დროს, მისი მოადგილე.

VI. პირადი შემადგენლობა

25. ბიბლიოთეკის სამეცნიერო პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ბიბლიოთეკის დირექტორის წარდგენით. დანარჩენ თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს ბიბლიოთეკის დირექტორი.

26. ბიბლიოთეკის თანამშრომლების ფუნქციები, მათი მუშაობის ხასიათი და პირობები განისაზღვრება სპეციალური ინსტრუქციებით და შინაგანაწესით.

VII. ქონება და სახსრები ცენტრალური ბიბლიოთეკისა

27. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა წარმოადგენს იურიდიულ პირს და უფლება აქვს, მისი ამოცანების შესაბამისად, შეიძინოს ქონება და იკისროს ვალდებულებანი.

28. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება იყოს გასხვისებული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილების გარეშე.

29. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის სახსრებს შეადგენს:

ა. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები;

ბ. ბიბლიოთეკის სპეციალური თანხები, რომელთა ხარჯვა წარმოებს სამეცნიერო დაწესებულებებისათვის კანონით დადგენილი წესისამებრ.

30. ბიბლიოთეკას აქვს თავისი შტამპი და ბეჭედი საქართველოს სს რესპუბლიკის ღერბის გამოსახვით, წარწერით „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა“.

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკით სარგებლობისა

I. ზოგადი დებულებები.

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ემსახურება მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს, წევრ-კორესპონდენტებს, აკადემიის სისტემაში შემავალ ყველა სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერ თანამშრომლებს, ასპირანტებსა და მუშა-მოსამსახურეებს.

შენიშვნა: სხვა უწყებათა სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ თანამშრომლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ასპირანტებსა და დანარჩენ პირთ ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ დირექტორის სპეციალური ნებართვით.

2. ბიბლიოთეკაში ჩაწერისას უნდა წარმოადგინონ:

ა) აკადემიის ნამდვილმა წევრებმა, წევრ-კორესპონდენტებმა, მეცნიერ-თანამშრომლებმა და პროფესორ მასწავლებლებმა სამსახურებრივი მოწმობები;

ბ) ასპირანტებმა საასპირანტო მოწმობები;

გ) დანარჩენმა მოქალაქეებმა შუამდგომლობა დაწესებულებისა, სადაც ისინი მუშაობენ და პასპორტი.

II წიგნების შინგაცემა

3. შინ სარგებლობისათვის წიგნები შეიძლება მიეცეს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს, აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერ თანამშრომლებს, ასპირანტებსა და მუშა-მოსამსახურეებს.

შენიშვნა: შინ არ გაიცემა: იშვიათი გამოცემები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, გაზეთის კომპლექტები, საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით მიღებული წიგნები, ბიბლიოთეკაში ერთ ცალად დაცული ჟურნალები და ხელნაწერები.

აღნიშნულით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ სამკითხველო დარბაზში.

4. წიგნის შინ წაღებისათვის საჭიროა მკითხველი პირადად გამოცხადდეს ბიბლიოთეკაში და წარმოადგინოს მეორე მუხლში აღნიშნული საბუთები, რის შედეგაც გაეხსნება მას აბონემენტი.

5. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს ერთდროულად მიეცემათ არაუმეტეს 7 სამეცნიერო წიგნისა, დანარჩენ პირთ კი—არა უმეტეს 5 სამეცნიერო წიგნისა, მხატვრული ლიტერატურა არა უმეტეს 2 წიგნისა.

6. სამეცნიერო ლიტერატურა შინ გაიცემა ერთი თვის ვადით, მხატვრული ლიტერატურა 10 დღით, პერიოდული გამოცემები, 5 დღით.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში შეიძლება წიგნზე ვადის გაგრძელება. თუ სხვა მკითხველის მიერ იგი არ არის მოთხოვნილი.

7. მკითხველზე გაცემული წიგნი იწერება მკითხველის ფორმულარში, რომელზედაც ის ხელს აწერს. წიგნის დაბრუნებისას ბიბლიოთეკარი მკითხველის თანდასწრებით წაშლის ფორმულარში მკითხველის ხელისმოწერას და ხელს აწერს, რომ წიგნი დაბრუნდა.

8. მკითხველი ვალდებულია ფრთხილად მოეპყრას ბიბლიოთეკის წიგნს, არ გააკეთოს წიგნში არავითარი აღნიშვნები, არ გააფუჭოს, არ დაკარგოს და აღნიშნულ ვადაზე დაუბრუნოს იგი ბიბლიოთეკას.

შენიშვნა: ბიბლიოთეკიდან წიგნის მიღებისას მკითხველმა უნდა გადაათვალიეროს წიგნი, რაიმე დეფექტის შემჩნევისას აცნობოს ამის შესახებ ბიბლიოთეკარს. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნის დაზიანებისათვის მკითხველი პასუხს აგებს.

9. წიგნის დაკარგვისა ან გაფუჭებისას მკითხველი ვალდებულია დაუბრუნოს ბიბლიოთეკას სხვა ცალი ამავე წიგნისა ან სამაგიეროდ წარმოადგინოს ისეთი წიგნი, რომელსაც ბიბლიოთეკა სცნობს თანაბარი ღირებულების მქონედ, წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი იხდის წიგნის აღდგენითს ღირებულებას.

10. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას მკითხველი ვალდებულია აცნობოს ბიბლიოთეკას თავისი ახალი მისამართი.

11. იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი მიემგზავრება ხანგრძლივ ექსპედიციაში ან მივლინებაში იგი ვალდებულია წაღებული წიგნები დაუბრუნოს ბიბლიოთეკას.

12. აკრძალულია, რომ ბიბლიოთეკიდან მიღებული წიგნები სხვა პირს გადაეცეს.

13. წიგნების შინ გაცემა წარმოებს 9 საათიდან 5 საათამდე.

III. წიგნების გაცემა სამკითხველო დარბაზში

14. სამკითხველო დარბაზით სარგებლობა შეუძლია პირველ პარაგრაფში აღნიშნულ პირებს, რისთვისაც საჭიროა მათ წარმოუდგინონ ბიბლიოთეკარს პირადობის დამამტკიცებელი საბუთი.

15. წიგნის მისაღებად მკითხველმა უნდა დაწეროს სპეციალური მოთხოვნის ბარათი. თითო სახელწოდების წიგნზე ივსება თითო ბარათი.

16. ერთდროულად მკითხველს შეიძლება მიეცეს არაუმეტეს 10 წიგნისა.

17. თუ საჭიროება მოითხოვს, მკითხველს გადაენახება გამოწერილი წიგნები ოცი დღის ვადით.

18. სამკითხველო დარბაზიდან წიგნის გატანა აკრძალულია.

19. მკითხველი ვალდებულია სამკითხველო დარბაზში დაიცვას სრული სიჩუმე; საუბარი, კოლექტიური მეცადინეობა და ხმამაღალი კითხვა აკრძალულია.

20. თუ მკითხველის მიერ მოთხოვნილი წიგნი ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება, მკითხველს უფლება აქვს, მოითხოვოს მისი გამოწერა საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით.

21. სამკითხველო დარბაზი ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

IV. მკითხველთა ინფორმაცია და ბიბლიოგრაფიული ცნობებით მომსახურება

22. ბიბლიოთეკა მეცნიერების სხვადასხვა საკითხზე ადგენს ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკას და მის საფუძველზე აწვდის მკითხველებს დაწესებულება-ორგანიზაციებს, წარმოების ნოვატორებს და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს.

იმ შემთხვევაში, თუ მკითხველის მიერ მოთხოვნილ საკითხებზე ბიბლიოთეკას არ მოეპოვება მასალები, ბიბლიოგრაფი უთითებს მკითხველს იმ წყაროზე, საიდანაც მას შეუძლია ცნობების მიღება.

23. მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ცენტრალური ბიბლიოთეკა ვალდებულია:

ა) გაუწიოს კონსულტაცია მკითხველს საჭირო წიგნის შერჩევაში, მისცეს მას საშუალება ისარგებლოს კატალოგებით, სარეკომენდაციო სიებით და ბიბლიოგრაფიული მასალით.

ბ) მისცეს ინფორმაცია მკითხველს ბიბლიოთეკაში ახლადშემოსული ლიტერატურის შესახებ.

გ) მოაწყოს ლიტერატურის თემატიკური გამოფენები.

დ) მოიწვიოს მკითხველთა კონფერენციები საბიბლიოთეკო საკითხების განსახილველად.

ე) მოაწყოს ლექციები საბიბლიოთეკო საკითხებზე.

V. სასჯელის დადება

24. თუ ვინმე შემჩნეულ იქნა წიგნების გატაცებაში ან განზრახ წიგნის დაზიანებაში (ფურცლების ამოხევა, სურათების ამოჭრა და სხვა) მიცემულ იქნება პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით. მას წარედგინება სარჩელი მატერიალური ზარალის აღდგენისათვის.

25. მკითხველი, რომელიც დაარღვევს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესებს, კარგავს ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლებას ერთი თვიდან სამ თვემდე დირექტორის შეხედულების მიხედვით.

ბეჭდვითი წარმოების ჯგუფური დამუშავების ინსტრუქცია

ა. ძირითადი დებულებანი

1. ბიბლიოთეკაში გარდა ისეთი ბეჭდვითი ნაწარმოებებისა, რომლებიც მთლიანად მუშავდება (ე. ი. აიწერება ინდივიდუალურად და აისახება ბიბლიოთეკის ძირითად კატალოგებში: ანბანურში, სისტემატურში და სხვ.), შემოდის ისეთი მასალაც, რომელიც თავისი მნიშვნელობით არ მოითხოვს მთლიან დამუშავებას, ანდა განსაკუთრებული პოლიგრაფიული გაფორმების გამო ძნელია მათი საერთო წესით დამუშავება.

ასეთი ხასიათის მასალა მუშავდება გამარტივებული წესით, ე. ი. მუშავდება არა ცალკეული ბიბლიოგრაფიული ერთეული, არამედ მთელი ჯგუფი ერთი და იმავე ტიპის გამოცემებისა—წარმოებს მასალის ჯგუფური დამუშავება.

2. ჯგუფური დამუშავების ძირითად ამოცანას შეადგენს:

ა) დაცულ იქნეს ყოველი ბეჭდური ერთეული, შემოსული ბიბლიოთეკაში ფასიანი ან უფასო სავალდებულო ცალების სახით, განურჩევლად მათი ფორმისა და შინაარსისა.

ბ) გამარტივებული იაფი ხერხით დამუშავდეს და დაიცვას მთელი მასალა.

გ) აისახოს ეს მასალა კატალოგში და ამ გზით დაყვანილ იქნეს მკითხველებისადმი.

დ) განიტვირთოს ბიბლიოთეკის ძირითადი კატალოგები წვრილი მასალის აღწერილობისაგან.

3. ჯგუფური წესით დასამუშავებელი მასალა შემდეგი ნიშნებით გადაირჩევა:

ა. შინაარსით: მასალა, რომლის მოხმარება განსაზღვრულია მოკლე ვადით, ანდა ისეთი მასალა, რომელიც მეტად ვიწრო წრისათვის წარმოადგენს ინტერესს.

ბ. პოლიგრაფიული გაფორმებით: ფურცლოვანი გამოცემანი, ბლანკები და მსგავსი გამოცემები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ცალკეულ შემთხვევაში ერთ-ერთი ამ ნიშანთაგანი არ შეიძლება იყოს საკმარისი ბეჭდვითი ერთეულის ჯგუფურად დასამუშავებლად აღებისათვის. მაგალითად, დისერტაციები, მიუხედავად მათი ფურცლოვანი წერით გამოცემისა, ინდივიდუალურად უნდა დამუშავდეს.

ბ. ჯგუფურად დასამუშავებელი მასალა

4. ჯგუფურად მუშავდება ძირითადად შემდეგი სახის გამოცემები:

ა. ოფიციალურ-დოკუმენტური და სადირექტივო მასალა.
ბ. საინსტრუქციო-საწარმოო მასალა
გ. საპროგრამო-მეთოდური მასალა
დ. საცნობარო-საინფორმაციო გამოცემები
ე. პლაკატურ-ფურცლოვანი გამოცემები
ვ. ბლანკები

5. ოფიციალურ-დოკუმენტალური და სადირექტივო მასალა შეიცავს:

ა) ადგილობრივი (საოლქო, საქალაქო, სარაიონო) და პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დადგენილებებს, რეზოლუციებს, ოქმებს და მიმართვებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საკავშირო და რესპუბლიკური ორგანიზაციების ანალოგიური გამოცემები ინდივიდუალურად მუშავდება.

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების (საოლქო, სარაიონო, საქალაქო) დადგენილებები და განკარგულებები, გეგმები, ანგარიშები და მიმოხილვები.

გ) სამინისტროების, სამმართველოების, კომიტეტების და ცალკეული დაწესებულებების ბრძანებები, განკარგულებები, სადირექტივო-საინსტრუქციო მასალები.

დ) ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების დადგენილებები, მიმართვები და სხვა.

6. საინსტრუქციო-საწარმოო მასალა შეიცავს:

ა) თანამდებობათა სიებსა და საოანამდებებო ინსტრუქციებს, შინაგანაწესებს, სახანძრო წესებს და სხვა.

ბ) სოცშეჯიბრების მასალებს; გამოცდილების გაზიარებას, თემებს გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის და ა. შ.

გ) საწარმოო ხასიათის ინსტრუქციებს და სამახსოვროებს, უშიშროების ტექნიკის წესებს, აგროზოოვეტწესებს; სამეურნეო და კოლექტიური ხელშეკრულების ტექსტებს, მასალები ინვენტარიზაციისათვის, ანგარიშებისა და სხვა.

7. საპროგრამო-მეთოდური გამოცემები:

ა) სტაციონალური და დაუსწრებელი სასწავლებლების სასწავლო პროგრამები ცალკეულ დისციპლინებში.

ბ) სტაციონალური და დაუსწრებელი სასწავლებლებისათვის სასწავლო-მეთოდური მითითებანი და წერილები, სასწავლო დოკუმენტაცია, განაკვეთები, საგამოცდო ბილეთები, მისაღები და გადასაყვანი გამოცდების პროგრამები, თვალსაჩინო-სასწავლო მასალის ტექსტები და სხვ.

გ) პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა ლექციებისა და საუბრების თემატიკა და მსგავსი მასალა.

8. საცნობარო-საინფორმაციო გამოცემები შეიცავს:

ა. კალენდრებს (კედლისა და ტაბელებს), სატელეფონო და სამისამართო წიგნებს, ქუჩაში მოძრაობის წესებს, რკინიგზის, გემებისა და ავიაციის მიმოსვლის ცნობარებს, სახელმწიფო სესხის ტირაჟების ცხრილებს, მარშრუტების მაჩვენებლებს და სხვ.

ბ. თეატრებისა და სხვა სანახაობათა მოკლე ლიბრეტოებსა და პროგრამებს, კონკურსებისა და ოლიმპიადების მასალების რადიოგადაცემათა პროგრამებს, სასპორტო შეჯიბრებათა პროგრამებს, კინოფილმების სამონტაჟო ფურცლებს და ა. შ.

გ) საავტორო მოწმობები და სტანდარტებს.

დ) პრეისკურანტებს, ტირაჟების, ფასებისა და ნიხრის წიგნებს, ტექნიკურ ნომრებისა და შეფასებების ცნობარებს, საქონლის ჩაბარება-მიწოდების პირობებს.

ვ) კატალოგებს (საგამომცემლო, წიგნთ სავაჭრო, ტექნიკურსა, გამოფენებისა და თესლების).

ე) დაწესებულება-ორგანიზაციების და სასწავლებლების თათბირებისა და კონფერენციების პროგრამებს, მოსაწვევ ბილეთებს ღონისძიებათა და კამპანიების გეგმებს.

9. პლაკატურ-ფურცლოვანი გამოცემები შემდეგი მასალისა:

ტექსტები:

ა. კონსტიტუციების ტექსტებს

ბ. დებულებებს არჩევნებისა—სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოსი, ადგილობრივი საბჭოების, სახალხო სასამართლოების, წინასაარჩევნო მასალები, დეპუტატებისა და სახალხო მოსამართლეების კანდიდატების სიებისა და ბიოგრაფიებს.

C) ჰიმნების ტექსტები.

D) კალენდარული გეგმები, აფიშები, პლაკატები, მოწოდებები და ლოზუნგები, პრესბიუროს მასალა.

E) სიმღერების ტექსტები.

სახვითი გრაფიკა:

a) საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო პლაკატები

b) თვალსაჩინო მასალა

c) წიგნები-სურათები და გასაფერადებელი წიგნები

d) ფოტოგაზეთები.

10. ბლანკები.

ანგარიშების სხვადასხვა ფორმები, შესავსები ანკეტები, დღიურები და სხვ.

გ. ჯგუფური დამუშავების მეთოდები

11. ჯგუფური დამუშავება გულისხმობს ცალკეული ბეჭდვითი ერთეულის ინდივიდუალურ დამუშავების უარყოფას და ერთი ტიპის მასალის დასამუშავებლად ერთ ჯგუფში გაერთიანებას.

12. ჯ გ უ ფ ე ბ ი ყალიბდება შემდეგი ორი ძირითადი ნიშნის მიხედვით:

ა. მასალის გამომცემი დაწესებულება-ორგანიზაციის ავტორობის მიხედვით; მაგ., „სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტრო“, „საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაცია“ და ა. შ.

ბ. შინაარსის მიხედვით, მაგ., ტრაქტორები, თეატრები და ა. შ.

13. მასალა გაერთიანებული ავტორის ნიშნით, კლასიფიცირდება საკლასიფიკაციო სქემით შესატყვის განყოფილებაში მოთავსებით. მაგ., ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციების გამოცემები, შეგროვილი ამ ორგანიზაციის სახელწოდებით, მიიღებენ სკკპ-ის ინდექსს; სამინისტროების ბრძანებები, გაერთიანებული სამინისტროს სახელწოდებით, ღებულობენ სამინისტროს საქმიანობის ინდექსს.

14. შინაარსის მიხედვით გაერთიანებული მასალა, კლასიფიცირდება სქემის შესაფერი განყოფილების მიხედვით. მაგ. აგრონომიული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურებში ღებულობენ ინდექსს „სოფლის მეურნეობა.“

15. საკლასიფიკაციო ინდექსი მიეცემა გამოცემათა ჯგუფს მიუხედავად იმისა, ავტორების ნიშნით თუ შინაარსით არის ის გაერთიანებული.

16. ერთი საკლასიფიკაციო ინდექსით გაერთიანებული ჯგუფი დიდი არ უნდა იყოს, მაგრამ არც ისე მცირე, რომ უახლოვდებოდეს ინდივიდუალურ დამუშავებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მიღებული უნდა იქნეს ბიბლიოთეკაში მიღებული სქემა, ე. ი. ათწილადი, მხოლოდ შემოკლებული ინდექსით.

17. ჯგუფური დამუშავება შემდეგი პროცესებისაგან შედგება:

ა. დაჯგუფება—სისტემატიზაცია

ბ. მასალის აღრიცხვა—რეგისტრაცია

გ. აღწერა

დ. დაშიფვრა

ე. კატალოგების ორგანიზაცია

ვ. ფონდების ორგანიზაცია

დ. მასალის აღრიცხვა, დაშიფვრა, დაცვა.

18. ჯგუფურად დამუშავებული მასალა დაჯგუფდება წლების მიხედვით.

19. ერთი წლის მასალა კლასიფიცირდება ბიბ-კაში მიღებული სქემით ათწილადი კლასიფიკაციის შემოკლებული ინდექსებით. თითოეულ ბეჭდვითი ნაწარმოებზე გარეკანის ზემო მარცხენა კუთხეში დაისმის შიფრი, რომელიც შედგება ინდექსისა და გამოცემის წლისაგან.

20. თითოეული ბეჭდვითი ერთეული დაითვლება ბიბლიოთეკის შტამპით. შტამპი დაისმის თავფურცელზე და უკანასკნელ გვერდზე. ფურცლოვან მასალაზე—ფურცლის უკანა მხარეზე, ქვედა მარჯვენა კუთხეში.

21. უფასო გამოცემებს ბიბლიოთეკა აფასებს სათანადო წესის მიხედვით. დადგენილი ფასი დაეწერება თითოეულ ბეჭდვითი ერთეულის გარეგან მეოთხე გვერდზე უკანო გამოცემებს—უკანასკნელი გვერდის) ზემო მარცხენა კუთხეში მელნით.

22. ბიბლიოთეკაში ერთდროულად შემოსულ მასალაზე დგება აქტი, რომელშიც თითოეული ბეჭდვითი ერთეული ჩაიწერება ინ-

დივიდუალურად. აქტში აღინიშნება: რიგითი №-რი, ავტორი და სათაური, ცალების რაოდენობა, ფასი და ინდექსი. აქტის ზემო მხარეს, ზემო მარცხენა კუთხეში იწერება მელნით პირობითი ნიშანი „X" აქტის რიგით ნომერს ქვენომრად მიეწერება ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის რიგითი №-რი.

23. აქტში ჩაწერის შემდეგ თითოეულ ბეჭდვით ეროეულზე გარეკანის მე-4-ე გვერდზე (ან უკანო გამოცემის უკანასკნელ გვერდზე) დაიწერება აქტის №-რი და აქტში ჩაწერის რიგითი №-რი, ნახევრის სახით, ფანქრით.

24. აქტის დასრულების შემდეგ ხდება აქტში ჩაწერილის მასალის დაჯამება, როგორც ბეჭდვითი ნაწარმოების რაოდენობისა, ისე მათი ღირებულებისა.

25. აქტის შედგენის შემდეგ ხდება მასალის ჯამობრივი აღრიცხვა. აღრიცხვის ერთეულად ერთ აქტში ჩაწერილი მასალა.

26. მასალის გარიცხვის შემთხვევაში დგება აქტი და ფონდების მოძრაობის წიგნში წარმოებს შესაფერისი ჩაწერა.

27. ფონდების მოძრაობის წიგნი შემდეგი გრაფებისაგან შედგება:

ნაწ. 1. შემოსული მასალა: 1. ჩაწერის თარიღი, 2. რიგითი №-რი, 3. საიდან შემოვიდა, 4. აქტის შედგენის თარიღი, 5. აქტის №-რი, 6. საერთო რიცხვი, 7. ღირებულება, 8. მასალის განყოფილებათა და ენების მიხედვით განაწილება. 9. შენიშვნა.

ნაწ. II. გარიცხული მასალა: 1. ჩაწერის თარიღი, 2. გარიცხვის აქტის №-რი, 3. საერთო ღირებულება, 4. რაოდენობა. 5. მასალის განყოფილებისა და ენების მიხედვით განაწილება. 6. გარიცხვის მიზეზი, 7. შენიშვნა.

28. თაროზე განლაგების ერთდროულად მიიღება ჯგუფი, ე. ი. რომელიმე ნიშნის მიხედვით (ავტორი, შინაარსი) გაერთიანებული მასალა, მოთავსებული ერთ კაბრაში.

29. კაბრები თაროებზე სისტემატურად გაიწყობა.

30. თითოეულ ჯგუფში მასალა წლების მიხედვით დაიწყობა.

31. თუ მასალა ცოტაა, შესაძლებელია ერთ სტანდატურ ფორმაში გაერთიანდეს რამოდენიმე ჯგუფი. იმ შემთხვევაში, თუ მასალა ერთ კაბრაში ვერ მოთავსდა, აიღება მეორე და შემდეგი კაბრები, და კაბრები დაინომრება.

32. კაბრის ფორმატი უდრის 32 სმ×22 სმ, 5 სმ. ყუით ფურცლოვანი მასალისათვის კი—75 სმ.×50 სმ. 10 სმ ყუით.

33. შიფრი დაისმის მასალაზე, კაბრის ყუაზე და საკატალოგო ბარათზე ზემოთ მარცხენა კუთხეში. ეს შიფრი განლაგების შიფრსაც წარმოადგენს.

ე. აღწერილობა.

34. ჯგუფურად დასამუშავებელ მასალაზე დგება გაერთიანებული აღწერილობა თითოეულ ჯგუფზე.

35. მასალის ხასიათის მიხედვით აღწერილობა დგება ან კოლექტიურ ავტორზე, ან საკლასიფიკაციო სქემის რუბრიკით.

36. ჯგუფური მასალის აღწერილობა შემდეგი ელემენტებისაგან შედგება.

1. აღწერილობის თავსათაური, 2. სათაური, 3. ბეჭდილობის ცნობები, 4. რაოდენობითი დახასიათება, 5. შენიშვნა.

37. აღწერილობის თავსათაურად მიიღება იმ ჯგუფის დასახელება, რითიც გაერთიანებულია მასალა.

ა. კოლექტიური ავტორის პრინციპით გაერთიანებული მასალა ღებულობს დაწესებულება-ორგანიზაციის ოფიციალურ სახელწოდებას; მაგ., „ა/კ რკინისგზა".

ბ. შინაარსის მიხედვით გაერთიანებული მასალისათვის თავსათაურს წარმოადგენს საკლასიფიკაციო სქემის განყოფილება ან ქვეგანყოფილება, მაგ., „მემინდვრეობა", მანქანათმშენებლობა და სხვ.

38. სათაურის ფორმულირებას თვით ბიბლიოთეკარი იძლევა ჯგუფში გაერთიანებული მასალის საფუძველზე. მაგ. „პროგრამები საშუალო სკოლისათვის", „ბრძანებები და დადგენილებანი" და სხვ.

39. ბ ე ჭ დ ი ლ ო ბ ი ს ც ნ ო ბ ე ბ შ ი დაიწერება გაერთიანებული მასალის გამოცემის წლები.

40. რაოდენობრივ დახასიათებაში მითითებული უნდა იყოს ჯგუფში გაერთიანებული ერთეულის საერთო ჯამი. ეს ცნობა ფანქრით იწერება შემდეგში შევსების მიზნით.

41. შენიშვნებში—დამატებითი რაიმე ცნობები, მითითება მასალის ადგილმდებარეობის შესახებ და სხვ.

აღწერილობის სქემა

შიფრი	აღწერილობის თავსათაური (ჯგუფის დასახელება). სათაური. (მასალის შინაარსი და ხასიათი). ბეჭდილობის ცნობები (რა და რა წლების მასალაა). რიცხობრივი დახასიათება. შენიშვნები.

აღწერილობა კოლექტიურ ავტორზე

37 ს	საქარ	თველოს სსრ განათლების სამინისტრო. ბრძანებები. 1954. 21 ერთ.

აღწერილობა სისტ. რუბრიკით

792 თ	თეატ	რები თბილისის პროგრამები. 1955. 16 ერთ.

3. ბიბლიოთეკის კატალოგში ასახვა.

42. ჯგუფური წესით დამუშავებულ მასალაზე დგება ცალკე კატალოგები, სისტემატური, ანბანური და სამსახურებრივი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულების საერთაშორისო წიგნთგაცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების საერთაშორისო წიგნთა გაცვლის მიზანია:

ა) საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის გაფართოება და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა კავშირის განმტკიცება საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებსა და ცალკეულ მეცნიერებთან.

ბ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებების უზრუნველყოფა აქტუალური უცხოური სამეცნიერო ლიტერატურით და საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებისადმი საბჭოთა მეცნიერული ლიტერატურის მიწოდება.

1. საერთაშორისო გაცვლისათვის განკუთვნილი იქნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების ის შრომები, რომელნიც გამოცემულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ და თავისუფლად იყიდება წიგნის მაღაზიებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმის გამო, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილის ლიტერატურა დიდი რაოდენობით ქვეყნდება. არა-აკადემიური გამომცემლობის მიერ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებს შესაძლებლობის შემთხვევაში ეძლევათ უფლება აწარმოონ წიგნთაგაცვლა არააკადემიური გამოცემებითაც.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების შრომების საერთაშორისო გაცვლა ხდება ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე მიახლოებითი ექვივალენტის დაცვით. არაექვივალენტური გაცვლა დასაშვებია მხოლოდ პოლიტიკური ან საქმიანი მიზანშეწონილებით.

უცხოურ დაწესებულებებთან წიგნთაგაცვლის საკითხებზე შეთანხმების ხასიათი ისაზღვრება მხარეთა პროფილით, ინტერესებითა და მატერიალური შესაძლებლობით.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების შრომების საერთაშორისო გაცვლა წარმოებს ცენტრალიზებული წესით ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის საშუალებით.

4. საზღვარგარეთის ყოველ ახალ სამეცნიერო დაწესებულებასთან წიგნთგაცვლის ურთიერთობა მყარდება ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მიერ აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელების მოთხოვნათა საფუძველზე.

5. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა უცხოური სამეცნიერო დაწესებულებებიდან გაცვლის გზით ღებულობს ლიტერატურას დაკვეთებით ან წინასწარი შეთანხმების თანახმად ყველა მათ გამოცემას.

6. ლიტერატურის შერჩევა და საზღვარგარეთ გაგზავნა ხდება უცხოურ სამეცნიერო დაწესებულებებთან შეთანხმების, ან მათი ცალკეული მოთხოვნების საფუძველზე.

7. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების სერიული და მონოგრაფიული გამოცემების გაგზავნა საზღვარგარეთ ხდება ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის განკარგულებით „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, საზღვარგარეთ სამეცნიერო ლიტერატურის გაგზავნის ინსტრუქციის“ შესაბამისად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი სთხოვს აკადემიის სათანადო პროფილის სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელებს წერილობით დასკვნას თავიანთი გამოცემების საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებ.

8. ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან და აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა ბიბლიოთეკებთან იქმნება საერთაშორისო წიგნთგაცვლის ფონდი, რომლის დასაკომპლექტებლად ბი-

უჯეტით ხდება გათვალისწინება სპეციალური თანხებისა. გარდა ამისა ბიუჯეტით გათვალისწინებული უნდა იქნეს თანხები გაცვლითი ლიტერატურის გასაგზავნად და სხვა სპეციალური ხარჯებისათვის.

9. აკადემიის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ საზღვარგარეთ შრომების ინდივიდუალური გაგზავნა ხდება ქალაქის საფოსტო განყოფილების საშუალებით.

10. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკას საერთაშორისო წიგნთგაცვლის ხაზით ჩატარებული მუშაობა შეაქვს თავის წლიურ და კვარტალურ აგანრიშებში და საერთაშორისო წიგთგაცვლის საკითხებს აკადემიის პრეზიდიუმი იხილავს პერიოდულად თავის სხდომებზე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების ნაშრომთა შინაგანი გაცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების შინაგანი გაცვლის მიზანია:

ა) აკადემიური დაწესებულებების გამოცდილებათა სწრაფი გაზიარება და ინფორმაცია სამეცნიერო მიღწევების შესახებ.

ბ) აკადემიური ბიბლიოთეკების წიგნების ფონდის შევსება.

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებული შრომების შინაგანი გაცვლა ხდება დაწესებულებათა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გასაცვლელ გამოცემათა ღირებულების ექვივალენტური დაცვა საჭირო არ არის.

2. საქართველო სსრ მეცნიერებათა აკადემიის თითოეული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებთან წიგნთგაცვლას აწარმოებს მხოლოდ საკუთარი შრომების მიმდინარე გამოცემებით, ხოლო ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა—აკადემიის დაწესებულებათა ყველა მიმდინარე გამოცემით.

3. არააკადემიურ დაწესებულებებთან შრომების გაცვლა ხდება ნებაყოფლობითი მოლაპარაკების საფუძველზე დაკვეთების საშუალებით.

4. შრომების გაცვლის წარმოებისათვის თითოეული აკადემიური დაწესებულება თავის ბიბლიოთეკასთან ქმნის გაცვლითი ლიტერატურის ფონდს შემდეგის საფუძველზე:

ა) თითოეული სამეცნიერო დაწესებულების გაცვლითი ფონდი უნდა შეიცავდეს ამ დაწესებულებების მიერ გამოცემულ შრომებს ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაცვლითი ფონდი კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყველა გამოცემას.

ბ) გაცვლითი ფონდი იქმნება დაწესებულებების ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული თანხებით, რომელსაც გამოყოფს ბიბლიოთეკის დაწესებულების დირექცია.

გ) გაცვლითი ლიტერატურის ცალობრივი რაოდენობა უნდა განისაზღვროს დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ.

დ) ფონდი აყვანილ უნდა იქნეს დაწესებულების ბალანსზე და ხდებოდეს მისი ზუსტი აღრიცხვა. აღრიცხვიანობაში დადგენილი ფორმების მიხედვით.

ე) ყოველ ახალ დაწესებულებასთან წიგნთგაცვლის ურთიერთობის დამყარების ნებართვას იძლევა დაწესებულების დირექტორი.

ვ) გაცვლითი ლიტერატურის გაგზავნა ხდება ბიბლიოთეკის მიერ ახლადგადმოცემული ნაშრომის მიღებისთანავე. სათანადო დოკუმენტები უნდა გადაეცეს ბუღალტერიას სააღრიცხვო დავთრებში გატარებისათვის.

5. წიგნთგაცვლის მუშაობის გაადვილებისათვის სამეცნიერო დაწესებულებები ერთმანეთს უგზავნიან საგამომცემლო გეგმებს.

დამატება VI

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

. . . წლის დროის ბიუჯეტი (აღრიცხვის ფორმა)

№№ რიგ.	თანამდებობა	თანამშრომელთა რაოდენობა			კაცდღეების რაოდენობა				მგმ. შესრ. %	შრომის ნაყოფიერება
		მგმ.	ფაქტ.	მგმ. შესრ.	მგმ	იმუშ. ფაქტ.	გაცდ. საპატ. მიზეზ.	გამოიმუშავა		
1	განყ-ბის გამგე									
2	მთ. ბიბლიოგრაფი									
3	მთ. ბიბლიოთეკარი									
4	უფრ. რედაქტორი									
5	რედაქტორ-სპეციალისტი									
6	უფრ. ბიბლიოგრაფი									
7	უფრ. ბიბლიოთეკარი									
8	ბიბლიოგრაფი									
9	ბიბლიოთეკარი									
10	მთარგმნელი-ბიბ-კარი									
11	ბიბთანაშემწე									
12	ბიბტექნიკოსი									
	სულ									

დირექტორი:

დამატება VII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

. . . . წლის გეგმის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (ფორმა)

№№ რიგ.	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	გეგმით	შესრულება	შესრ. %
	I ფონდების დაკომპლექტება			
1	წიგნობრივი ფონდის რაოდენობა 1965 წ. 1-თვის			
2	წიგნებ ის მიღება			
3	მათ შორის:			
	ა) ქართულ ენაზე			
	ბ) რუსულ ენაზე			
	გ) უცხოურ ენაზე			
3	შემოსავლის წყაროების მიხედვით:			
	ა) ფასიანი სავალდებულო ცალები			
	ბ) სსრ-კ-ის ფარგლებში შეძენით			
	გ) საზღვარგარეთიდან დაკვეთით			
	დ) საერთაშორისო გაცვლით			
	ე) შინა-საკავშირო გაცვლით			
	ვ] სხვა წყაროებიდან			
	გაცვლითი ფონდის რაოდენობა			
4	**II ლიტერატურის დამუშავება**			
1	ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერა			
2	კლასიფიკაცია			
3	გამრავლება			
4	კატალოგების შევსება			
	IiI. მკითხველთა მომსახურება			
1	მკითხველთა რაოდენობა ჩათვლით) 1965 წ. 1-თვი ს			
2	სამკითხველო დარბაზის დასწრება			
3	ლიტერატურის გაცემა—სულ			
	ა) სამკითხველო დარბაზში			
	ბ) აბონემენტზე			
	გ) ფილიალში			

№№ რიგ.	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	გეგმით	შესრულება	შესრ. %
4	**შინასაკავშირო და საერთაშორისო აბონემენტი**			
	ა) მიღება			
	ბ) გაგზავნა			
5	გამოფენების რაოდენობა სულ			
	ა) თემატიკური გამოფენები			
	—მათზე წარმოდგენილი ლიტ-რა			
	ბ) ახლად შემოსული ლიტ-რის გამოფენები:			
	—მათზე წარმოდგენილი ლიტ-რა			
6	მკითხველთა კონფერენციები			
	IV. ბიბლიოგრაფიული მუშაობა			
1	ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების შევსება			
	ა) ბარათების ჩართვა			
2	ბიბლიოგრაფიული ცნობების გაცემა:			
	ა) წერილობითი			
	ბ) ზეპირი			
3	თემატიკური ბიბლიოგრაფიები:			
	ა) თემების რაოდენობა			
	ბ) დასაბეჭდად მომზადებული შრომების რაოდ.			
	V. სამეცნიერო მუშაობა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში			
1	თემების რაოდენობა			
2	დასაბეჭდათ მომზადებული შრომების რაოდენობა			
3	გამოცემული შრომები			
	VI წიგნობრივი ფონდის ორგანიზაცია და დაცვა			
1	წიგნების განლაგება			
2	აკინძვა			
3	გაწმენდა			
4	რესტავრაცია			
	VII. ბიბლიოთეკის შტატი			
1	შტატიანი მუშაკები			
	მ. შ. საბიბლიოთეკო პერსონალი			

დირექტორი:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო

ბიბლიოთეკის _____ განყოფილების 196 ___

წლის სამუშაო გეგმა

№№ რიგები	სამუშაოთა დასახელება	რიცხობრივი მაჩვენებლები			დღიური ნორმა	სამუშაო დღეთა რაოდენობა			შესრულების ვადა	შრომის ნაყოფიერება		შრომის ნაყოფიერება %-ში	შენიშვნა
		გეგმა	შესრ.	შესრ. %		გეგმა	შესრ.	შესრ. %		გეგმით კაცდღეები	ფაქტიურად კაცდღეები		

თანამშრომლის მუშაობის სააღრიცხვო დღიური

გვარი, სახელი და მამის სახელი _____

_____ თანამდებობა _____

1964 წლის _____ სამუშაო დღე _____

ნამუშავარია _____ გაცდენილია _____

რიცხვი	მუშ. დრო	სამუშაო სახეების დასახელება									

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამოცემები

ბურჯანაძე, პ., კამალოვი, ნ. და ყურაშვილი, ბ. ბიბლიოგრაფია ადამიანის, ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჰელმინთებზე და ჰელმინთოზებზე საქართველოში (1865 წლიდან 1955 წლამდე) რედ. ბ. ყურაშვილი. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1956. 53 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

გიორგიძე, გ. და კარტოზია, გ. საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1962. 203 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

გუგუნავა, ე. და ნებიერი, ვ. ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი. შესავალი სტატია პროფ. ს. ნარიკაშვილისა. რედ. ს. ნარიკაშვილი თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1957. 128 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია და ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტი).

ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემათა სტატიების მაჩვენებელი. 1937—1953. რედ. ი. გიგინეიშვილი. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1955. 88 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის პერიოდული გამოცემების სტატიების მაჩვენებელი. სტატიების მაჩვენებელი შეადგინა თ. ღვალაძემ და ბიბლიოგრაფიული რედაქცია გაუკეთა თ. ნაკაშიძემ. რედ. ვ. მენაბდე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1956. 85 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

თურნავა, ს. ანდრე სტილი. რედ. დ. ფანჩულიძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1960. 73 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

ლორთქიფანიძე, ნ. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები სსრ კავშირში. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1960. 105 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

ლორთქიფანიძე, ნ. საგნობრივი კატალოგი. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959. 97 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრ. სამეცნიერო ბიბ-კა).

ლორთქიფანიძე, ნ. სისტემატური კატალოგი. რედ. გ. გიორგიძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1957. 114 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

ლორთქიფანიძე, ნ. ცენტრალიზებული კატალოგიზაცია. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961. 47 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა)

ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნ. 1. 1829—1917. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა თ. მაჭავარიანმა. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1954. 34 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კა და კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწ. საჯარო ბიბ-კა).

ა. და გენძეხაძე ე. ტარას შევჩენკო. საქართველოში გამოქვეყნებული ტ. შევჩენკოს ნაწარმოებებისა და მის შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963. 91 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა ბიბლიოგრაფია. 1937—1956 წწ. შემდგენელი ე. ჟუჟუნაძე. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959. 944 გვ. (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში დაცული დისერტაციების ბიბლიოგრაფია, 1941—1950 წწ. შემდგ. ე. ჟუჟუნაძე და თ. ნაკაშიძე. რედ. ვ. უზნაძე თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1951. 70 გვ. (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. I—XI. 1940—1950. სტატიების მაჩვენებელი. შემდგ. თ. მიქაბერიძე. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1953. 213 გვ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XII—XVI. 1951—1955. სტატიების მაჩვენებელი. შემდგ.: ნ. ჩუდეცკაია

და ა. ისაკაძე. რედ. ვ. უზნაძე. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1957. 102 გვ. (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

ჯიღაური, მ. სულხან-საბა ორბელიანი. ანოტირებული ბიბლიოგრაფია. (1658—1958 წწ.). რედ. ა. ბარამიძე, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1960. 143 გვ. (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ცენტრალური სამეცნიერო ბიბ-კა).

Каталог изданий Академий наук Грузинской ССР. Сост. Е. Жужунадзе, Ред. Г. Гиоргидзе. Тб,, Изд-во Акад. наук Груз. ССР. 1948. 24 с. (Акад. наук Груз. ССР Центр, научная биб-ка).

Узнадзе В, В. История Тифлисской публичной библиотеки (1846—1917 гг.). Ред. Н. Г. Лорткипанидзе. Тб., Изд-во Акад. наук Груз. ССР, 1957. 70 с, (Акад. наук. Груз. ССР. Центр. научная биб-ка).

დამატება XI

ლიტერატურა

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შესახებ, დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში

1. ბიბლიოთეკა ანგარიშს აბარებს. მკითხველთა კონფერენცია საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კაში 1963 წლის ივლისში).—თბილისი, 1963, 17 ივლ., გვ. 2.
2. გ ო გ ო ლ ა ძ ე, ვ. ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფია (საქ. წიგნის პალატის, თბილისის სახ. უნ-ტისა და საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ).—მნათობი, 1953, № 9, გვ. 145.
3. თ უ რ ნ ა ვ ა, ს. აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. (დაკომპლექტების შესახებ საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კაში).—კომუნისტი, 1958, 19 აგვ., გვ. 3.
4. თ უ რ ნ ა ვ ა, ს. წიგნები 39 ქვეყნიდან. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კაში).—კომუნისტი, 1958, 13 ნოემბ., გვ. 2.
5. კ ა რ ტ ო ზ ი ა, გ. ბიბლიოთეკა და მეცნიერები. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მუშაობის შესახებ).—თბილისი, 1958, 13 ნოემბ., გვ. 2.
6. კ ა რ ტ ო ზ ი ა, გ. ღირსშესანიშნავი ძეგლები. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მიერ მიღებული ქართული მიკროფილმების შესახებ).—თბილისი, 1959, 28 აპრ., გვ. 3.
7. კ ა ს რ ა ძ ე, ა., ღ ვ ა ლ ა ძ ე, თ. და წ ო წ ე ლ ი ა, ვ. ბიბლიოგრაფია ახალ მოთხოვნათა დონეზე. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის შესახებ).—სახ. განათლება, 1963, 28 აგვ., გვ. 4.

8. ლიტერატურის გაცვლა ინგლისის სამეცნიერო დაწესებულებებთან. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის შესახებ) —ახალგაზრდა კომუნისტი, 1956, 17 აპრ., გვ. 1.

9. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ი. ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სამეცნიერო თემაზე.—სახალხო განათლება, 1956, 11 ივლ., გვ. 4.

10. მეათე საუკუნის ქართული ხელნაწერი. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კაში ჰარვარდის უნივერსიტეტიდან მიღებული ბერთის ოთხთავის ხელნაწერის მიკროფილმი) —კომუნისტი, 1959, 17 მაისი, გვ. 4.

11. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, ი. ლენინგრადის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მიერ სინას მთისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების პირების მიღება).—ლიტ. გაზეთი, 1956, 16 ნოემბ., გვ. 4.

12. მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. (წიგნების გაცვლის წესით გაგზავნა საზღვარგარეთ).—ახალგაზრდა კომუნისტი, 1956, 16 ოქტ., გვ. 3.

13. ო ს ა ძ ე, ო. საზღვარგარეთის 38 ქვეყნიდან. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის შესახებ).—თბილისი, 1960, 31 მაისი, გვ. 3.

14. პ ა ტ ა რ ა ი ა, მ. წიგნების საერთაშორისო გაცვლა. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მიერ წიგნების საერთაშორისო გაცვლის შესახებ). —თბილისი, 1959, 17 მარტი, გვ. 2.

15. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მიერ წიგნების საერთაშორისო გაცვლის შესახებ).—გამარჯვება, 1952, 2 აგვ., გვ. 4.

16. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის კავშირი უცხოეთთან.—ახალგაზრდა კომუნისტი, 1957, 2 ნოემბ., გვ. 3.

17. უ ზ ნ ა ძ ე, ვ. ასე ხდება წიგნების გაცვლა. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მიერ წიგნების საერთაშორისო გაცვლის შესახებ).—კომუნისტი, 1956, 26 დეკ., გვ. 3.

18. უ ზ ნ ა ძ ე, ვ. გავაუმჯობესოთ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია (ბიბლიოთეკებში).—მეცნიერება და ტექნიკა, 1963, № 5, გვ. 36.

19. უ ზ ნ ა ძ ე, ვ. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა, (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მუშაობის შესახებ).—სახ. განათლება, 1953, 25 თებ., გვ. 4.

20. უ ზ ნ ა ძ ე, ვ. რამდენიმე დღე უნგრელ მეგობრებთან. (სსრ კავშირის მეცნ. აკად. სამეცნ. ბიბლიოთეკების მუშაკთა დელეგაცია უნგრეთის აკადემიის ფუნდამენტალურ და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებში).—თბილისი, 1959, 16 მარტი, გვ. 3.

21. უ ზ ნ ა ძ ე, ვ. საერთაშორისო წიგნთგაცვლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.—საქ. ეკონომისტი, 1958, № 3, გვ. 91—92.

22. ქართველ მეცნიერთა ბიბლიოთეკის ურთიერთობა საზღვარგარეთთან. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის კავშირი საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან).—ახალგაზრდა კომუნისტი, 1959, 19 მაისი, გვ. 3.—თბილისი, 1959, 20 მაისი, გვ. 2.

23. შ ა ნ ი ძ ე, ა. დაფარული საუნჯე. (ქართული მთავრული შრიფტის საკითხის გამო). (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ: ბიბ-კის შესახებ):—საბჭოთა ხელოვნება, 1962, № 2, გვ. 49—62.

24. შ ა ნ ი ძ ე, ა. ქართული ხელნაწერები იერუსალიმში და სინას მთაზე. (აღნიშნულია, რომ საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის დირექტორმა ვ. უზნაძემ მოახერხა მიეღო ქართული მიკროფილმები ვაშინგტონიდან).—კომუნისტი, 1958, 20 იანვ., გვ. 3.

25. წიგნები და მიკროფილმები საზღვარგარეთიდან. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კის მიერ საზღვარგარეთიდან მიკროფილმების მიღების შესახებ).—თბილისი, 1958, 20 იანვ., გვ. 3.

26. წიგნები უცხოეთიდან. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ: ბიბ-კის შესახებ):—კომუნისტი, 1958, 9 თებ., გვ. 4.

27. ხ უ ბ უ ლ უ რ ი, ლ. აქ შენდება ახალი აკადემია. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტ. სამეცნ. ბიბ-კის შენობის მშენებლობის შესახებ).—კომუნისტი, 1963, 11 სექტ., გვ. 4.

28. ჯ ო ლ ი ა, მ. წიგნების საერთაშორისო გაცვლა. (საქ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრ: სამეცნ. ბიბ-კის მიერ წიგნების საერთაშორისო გაცვლა).—ახალგაზრდა კომუნისტი, 1957, 26 მარტი, გვ. 3.

29. А л е к с а н д р о в а, Е. К. Центральные библиотеки Академий наук союзных республик в 1961 г. (В том числе Центр. науч. биб-ка АН Груз. ССР). — Библиотечно-библиографическая информация..., 1962, № 41, с. 43—73.

30. А л е к с е е в а, К. П. Задачи академических библиотек. (Совещание директоров биб-ка АН СССР и Акад. наук союзных республик): (Москва, ноябрь-декабрь. 1955 г.) — Вестник Акад. наук СССР, 1956, № 2 с. 134—136.

31. А р а й с, Э. М. Комплектование центральных библиотек академий наук союзных республик. (В статье о работе Центр. науч. биб-ки АН Груз. ССР). — Библиотечно-библиографическая информация..., 1962 № 41, с. 43—73.

32. В центральной библиотеке Академии наук. (О международном книгообмене). — Тбилиси, 1958, 20 янв., с. 3.

33. В центральной научной библиотоке Академии наук Грузинской ССР. (О читательской конференции и выставке). — Библиотечно-библиографическая информация..., 1960, № 26, с. 152—153.

34. В центральной научной библиотеке Академии наук. (О переписке с проф. Лондонского ун-та Ленгом, с англ. ученым В. Минорским, с бельг. уч. Г. Гариттом, с проф. Бернского ун-та И. Хюбшитом и др. и о получ. «Тарнэл Голуа» Л. Киачели на фр. яз.). — Веч. Тбилиси, 1959, 14 апр., с. 2.

35. В а р ф о л о м е е в а М. В. Библиотеки Академии наук Союзных республик в 1955 году. (О работе Центр. науч. биб-ки АН Груз. ССР в 1955 г.). — Библиотечно-библиографическая информация..., 1956, № 9, с. 67—93.

36. Жильцов, В. Почта академической библиотеки. (О международном книгообмене Центр. наук. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — «Заря Востока» 1959, 1 февр., с. 4.
37. Жужунадзе, Е. Работа по повышению квалификации работников Центральной научной библиотеки АН Грузинской ССР. — Библиотечно-библиографическая информация..., 1957, № 15, с. 120—124.
38. Жюгжда, Ю. И. Центр научной мысли. Беседа с вицепрезидентом Акад. наук Литовской ССР Ю. И. Жюгжда. (О научных связях Грузинской и Литовской Академии наук и об обмене книг между библиотеками этих академий). — «Заря Востока», 1960, 10 дек., с. 3.
39. Зарубежные связи библиотеки грузинских ученых. (О центр. науч. биб-ке АН Груз. ССР). — «Заря Востока», 1959, 27 мая, с. 3.
40. Кладиашвили, Н. Совещание директоров академических библиотек. (Доклад о международ. и внутросоюз. книгообмене в центр. науч. биб-ке Акад. наук Груз. ССР сделал директор биб-ки В. В. Узнадзе). — «Заря Востока». 1958, 4 дек., с. 4.
41. Книгохранилище на 9.000.000 книг. (О проекте здания Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — Веч. Тбилиси, 1960, 26 апр, с. 3.
42. Крупнейшая научная библиотека Грузии. (О Центр. науч. биб-ке Акад. наук Груз. ССР). — «Заря Востока», 1953, 2 ноября, с. 4.
43. Кунина, В. П. Работа Центральных библиотек Академии наук союзных республик в первом году семилетки. (Обзор работы Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — Библиотечно-библиографическая информация..., 1960, № 29, с. 1—40.
44. Микадзе, А. Б. Работа по реставрации и гигиене книг в Центральной научной библиотеке АН Груз. ССР. — Библиотечно-библиографическая информация..., 1959, № 21, с. 92—96.
45. Нижарадзе, М. Е. Международный книгообмен в Центральной научной библиотеке АН Груз. ССР. — Библиотечно-библиографическая информация..., 1957, № 13, с. 101—104.
46. Нуцубидзе, Ш. К происхождению греческого романа «Варлаам и и Иоасаф». Тб., 1956. Гл. 6, с. 190. Подстроч. примеч. (О микрофильмах Груз. рукописей, полученных Центр. науч. биб-кой АН Груз. ССР).
47. Обмен литературой с научными учреждениями Англии. (О международном книгообмене Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — «Заря Востока», 1956, 19 апр., с. 2.
48. Обмен научными трудами. (О международном книгообмене Центр. науч биб-ки Акад. наук Груз. ССР). — «Заря Востока», 1956, 16 окт., с. 3. — «Молодой сталинец», 1956, 17 мая, с. 3.
49. Отарова, А. М. (Выступление на 6-ом совещ. директоров биб-ки Акад. наук СССР и Акад. наук союзных республик). — Библиотечно-библиографическая информация..., 1961, № 31, с. 197—199.
50. Получила грузинская Академия наук. (О связях грузинских ученых с учеными зарубежных стран и о связях Центр. науч. биб-ки Акад.

наук Груз. ССР с библиотеками зарубежных стран). — Веч. Тбилиси, 1960, 1 окт., с. 2.

51. Почетные библиотекари республики. (О сотрудниках Центр. науч. библиотеки Акад. наук Груз. ССР). — Веч. Тбилиси, 1960, 10 дек., с. 2.

52. Смоляков, В. и Алпаткин, В. Нам помагают. (О работе филиала Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — Сталинец (орган (31-го завода), 1961, 29 июля, с. 2.

53. Спицына, И. Адрес: Академия наук Грузинской ССР. (Об обмене книгами через биб-ку Акад. наук. Груз. ССР видных грузинских ученых с учеными зарубежных стран. — Веч. Тбилиси, 1958, 28 июля, с. 1.

54. Третье совещание директоров академических библиотек. (О Центр. науч. биб-ке АН Груз. ССР).—Вестник Акад. наук СССР, 1952, № 1, с. 116.

55. Турнава, С. Ширится международные связи библиотек. (О международных связях Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — «Молодой сталинец», 1960, 22 марта, с. 3.

56. Узнадзе, В. В. (Выступление на 6-ом совещании директоров библиотек Акад. наук СССР и Акад. наук союзных республик). — Библиотечно-библиографическая информация..., 1961, № 31, с. 206—207.

57. Узнадзе, В. В. (Доклад на третьем совещании директоров библиотек Акад. наук СССР и Акад. наук Союзных республик 1951 года). — В кн.: Советская библиография. Сборник статей и материалов. Вып. 1 (32), 1952, с. 113.

58. Узнадзе, В. В. О деятельности Центральной научной библиотеки Академии наук Грузинской ССР. — Библиотечно-библиографическая информация..., 1957, № 14, с. 146—165.

59. Узнадзе, В. В. Центральная научная библиотека Академии наук Грузинской ССР в шестой пятилетке. — Библиотечно-библиографическая информация...., 1956, № 10, с. 76—83.

60. Хайкин, Р. Библиографическая справка. (О работе филиала Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — Сталинец (орган 31-го завода), 1961, 26 авг., с. 2.

61. Чачуа, Л. Строится для науки. (О строительстве Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — Веч. Тбилиси, 1963, 29 ноября, с. 3.

62. Челидзе, М. Библиографическая работа Центральной научной библиотеки АН Груз. ССР. — Библиотечно-библиографическая информация, 1957, № 15, с. 85—93.

63. Челидзе, Н. Книга залеживаются в библиотеках (О маленькой выдаче книг в Центр. науч. биб-ке Акад. наук. Груз. ССР и в некоторых других библиотеках Грузии). — Лит. газета, 1952, 5 июля, с. 2.

64. Шалманова, Е. Н. Краткий обзор деятельности центральных библиотек АН союзных республик в 1957 году. (О работе Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — Библиотечно-библиографическая информация..., 1958, № 18, с. 44—74.

65. Шалманова, Е. Н. О работе центральных библиотек АН союзных республик в 1958 году. (О работе Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — Библиотечно-библиографическая информация..., 1959, № 24, с. 7—32.

66. Шанидзе, А. Древняя грузинская рукопись в Гарвадском университете. (Микрофильм-Евангелия X века в Центр. науч. биб-ке Акад. наук Груз. ССР). — Веч. Тбилиси, 1959, 4 июня, с. 3.

67. Ширится связь грузинских ученых. (О международном книгообмене Центр. науч. биб-ки Акад. наук Груз. ССР). — Веч. Тбилиси, 1959, 14 марта, с. 3.

68. Шунков, В. И. Некоторые задачи академических библиотек. (В статье отмечается, что библиотека Акад. наук Груз. ССР проводит работу по научной информации). — Вестник Академии наук СССР, 1956, № 4, с. 26—29.

სარჩევი

შესავალი 3
მოკლე ისტორიული მიმოხილვა 4
ბიბლიოთეკის სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია . . 7
ბიბლიოთეკის ფონდები მათი დაკომპლექტება და ორგანიზაცია 11
საერთაშორისო წიგნთგაცვლა 21
ფონდების ორგანიზაცია 35
ფონდების აღრიცხვა 40
წიგნობრივი ფონდის დამუშავება და კატალოგების ორგანიზაცია 42
მკითხველთა მომსახურება 50
სამეცნიერო და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა . . 57
მეთოდური მუშაობა 67
ბიბლიოთეკის შტატი და მატერიალური პირობები . . . 69
დამატებები I—XI 79

ТИПОГРАФИЯ ИЗДАТЕЛЬСТВА «МЕЦНИЕРЕБА»

Тбилиси — 1965

Владимир Владимирович Узнадзе

ЦЕНТРАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА
АН ГРУЗИНСКОЙ ССР

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე
გამომცემლობის რედაქტორი დ. წერეთელი
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ც. ჯიმშელეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.1.1965; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ნაბეჭდი თაბახი 7.38; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.05;
უე 02012; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1354;
ფასი 64 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/5

ფასი 64 კაპ.